

ISSN 0206—5681



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

# მაცნე

75-9 / 2  
86

ფილოსოფიისა და  
ფსიქოლოგიის  
სერია

4. 1986

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“,  
ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1986, № 4

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

---

ფილოსოფიისა და  
ფსიქოლოგიის  
სერია

СЕРИЯ  
ФИЛОСОФИИ И  
ПСИХОЛОГИИ

ჟურნალი დაარსებულია 1980 წელს  
Журнал основан в 1980 году

გამოდის 3 თვეში ერთხელ  
Выходит раз в 3 месяца

4. 1986

**ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა :**

თ. ბუაჩიძე, ვ. გრიგოლავა (რედაქტორის მოადგილე), გ. თევზაძე, ვ. კეშელავა,  
ზ. მიქელაძე, შ. ნადირაშვილი, ა. ფრანგიშვილი, ნ. ჭავჭავაძე (რედაქტორი),  
ო. ჯიოევი (რედაქტორის მოადგილე).

პასუხისმგებელი მდივანი ც. შალამბერიძე

**РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:**

Буачидзе Т. А., Григолава В. В. (зам. редактора), Джиев О. И. (зам. редактора),  
Кешелав В. В., Микеладзе З. Н., Надирашвили Ш. А., Прангишвили А. С.,  
Тевзадзе Г. Б., Чавчавадзе Н. З. (редактор).

Ответственный секретарь Ц. А. Шаламберидзе

© „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“,  
ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1986, № 4

---

რ ე დ ა ქ ც ი ი ს მ ი ს ა მ ა რ თ ი : თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
А д р е с р е д а к ц и и : Т б и л ი ს ი , 3 8 0 0 6 0 , у л . К у т у з о в а , 1 9  
ტელეფონი 37-95-46 телефон

---

გადაეცა წარმოებას 1.08.86; ხელმოწერილია დასაბეჭდად 30.09.86; შეკვ. № 2432;  
ანაწყოების ზომა 7×11<sup>1</sup>/<sub>2</sub>; ქაღალდის ზომა 7×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; მაღალი ბეჭდვა; ნაბეჭდი  
თაბახი 9,8; სააღრიცხვო-სავამომცემლო თაბახი 7,8; სააღრიცხვო გატარება 10,4;  
უე 04779; ტირაჟი 650;  
ფასი 85 კაპ.

\*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

\*

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

## შინაარსი

### ფილოსოფია

ბ. შუშანაშვილი, სკკ XXVII ურილობა და მარქსისტულ-ლენინური ეთიკის ამოცანები	5
ნ. თომაშვილი, ენის შეშუტვებითი ფუნქციის პრობლემის გენეზისი	12
ა. ზაპარიაძე, მხატვრული სიმბოლოს ბუნებისათვის	22
ლ. ცერცვაძე, გენიის პრობლემა კანტის მოძღვრებაში	37

### ფსიქოლოგია

ბ. ნორაკიძე, პიროვნების ქარაქტეროლოგიურ თავისებურებათა როლი სოციალური შრომითი ჯგუფის ფორმაციასა და ფუნქციონირებაში	49
ბ. ლომოში, ხატის პრობლემა ფსიქოლოგიაში	64
ე. ნადირაძე, საპროექტო ინსტიტუტების ბრიგადირთა პიროვნების სოციალურ-ფსიქოლოგიური გამოკვლევა	78
ბ. ხოსროშვილი, სივრცითი შეფასებების განწყობისეული ეფექტები პერცეპტული დიფერენციაციის პირობებში	83

### ახალი თარგმანები

ივ. კანტი, პრაქტიკული გონების კრიტიკა	95
ანზორ კაციტაძე (ნეკროლოგი)	110
ოსთარ ბაკურაძე (ნეკროლოგი)	111
ვალერიან კილაძე (ნეკროლოგი)	119

## СОДЕРЖАНИЕ

### ФИЛОСОФИЯ

Г. И. ШУШАНАШВИЛИ, XXVII съезд КПСС и задачи марксистско-ленинской этики	5
Н. Н. ТОМАШВИЛИ, Генезис проблемы познавательной функции языка	12
А. Т. ЗАКАРИАДЗЕ, О природе художественного символа	21
Л. М. ЦЕРЦВАДЗЕ, Проблема гения в учении Каанта	37

### ПСИХОЛОГИЯ

Г. В. НОРАКИДЗЕ, Роль характерологических особенностей личности в формировании и функционировании социальных трудовых групп	49
Б. Ф. ЛОМОВ, Проблема образа в психологии	64
Е. Л. НАДИРАДЗЕ, Социально-психологическое исследование личности бригадиров проектных институтов	73
Г. Г. ХОСРОШВИЛИ, Установочные эффекты в пространственных оценках в условиях перцептивной дифференциации	83

### НОВЫЕ ПЕРЕВОДЫ

Им. КАНТ, Критика практического разума	95
Анзор Кацитадзе (некролог)	110
Отар Бакурадзе (некролог)	111
Валериан Киладзе (некролог)	112

## ფილოსოფია

გერონტი შუხანაშვილი

სტაბ XXVII ყრილობა და მარქსისტულ-ლენინური  
ეთიკის ამოცანები

„ცხოვრების სიწმინდისათვის ბრძოლა ყველაზე ქმედითი ხერხია იმისა, რომ გავზარდოთ იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტიანობა, მისი სოციალური უქუგება, დავითაროთ იგი არა-ჯანსაღ მოვლენათა წარმოშობისაგან“.

მ. ს. გორბაჩოვი

18-284

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის საპროგრამო დოკუმენტებში, განსაკუთრებით კი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ ანგარიშში ყრილობისადმი, საზოგადოებათმცოდნე მეცნიერთა წინაშე ბევრი მწვავე პრობლემა დაყენებული. უმთავრესი კი, რაც ყველა საზოგადოებრივ მეცნიერებს და მათ შორის მარქსისტულ-ლენინურ ეთიკასაც ეხება, არის ცხოვრებასთან უფრო ახლოს მისვლის, კონკრეტულ ცხოვრებისეულ მოვლენათა ანალიზის მოთხოვნა. მარქსისტულ-ლენინური ეთიკა თავისი ბუნების მიხედვით არ არის და არც შეიძლება იყოს საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან მოწყვეტილი, მაგრამ ჩვენი საზოგადოების ახლანდელი მდგომარეობა, მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ამოცანები ეთიკისა და ცხოვრების ურთიერთდამოკიდებულების ახლებურად გააზრებას მოითხოვს. საქმე ეხება ეთიკური კვლევის, ზნეობრივ-აღმზრდელობითი მუშაობის უფრო მეტ კონკრეტულობას. საქმე ეხება იმას, რომ თეორია უფრო მჭიდროდ დაუკავშირდეს მასების სოციალურ-პოლიტიკურ გამოცდილებას, რადგან როგორც ამხ. მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა თავის მოხსენებაში „მოწინავე იდეებისა და ახალი საზოგადოების მშენებლობის პრაქტიკის ურთიერთკავშირი ანიჭებს ნერგისა და ქმედითობას სოციალურ იდეოლოგიას“.

ეთიკა უძველესი დროიდან დღემდე განიხილება როგორც პრაქტიკული ფილოსოფია, გარკვეული აზრით, როგორც ცხოვრების სიბრძნე. მან ადამიანური ცხოვრების პრინციპები უნდა მოგვეცეს. ეთიკამ ადამიანებს უნდა უჩვენოს ის ერთადერთი გზა, რომელზედაც მათ ეკადრებათ სიარული. მთელი მარქსამდელი ეთიკა ცდილობდა ცხოვრებაში ერთადერთი სწორი გზის ჩვენებას, ამასთან თვითონ ცხოვრებას აბსტრაქტულად, რეალური შინაარსებისაგან მოწყვეტით განიხილავდა, როგორც სკკპ XXVII ყრილობაზე აღინიშნა, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია ცხოვრებას გვარიანად არის დაცვილებული.

ცხოვრების გაუმჯობესება, ცხოვრების სიწმინდისათვის ბრძოლა ეთიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს. ეს ბრძოლა მუშტიკრივი კი არ არის, არამედ სერიოზული, პრინციპული და ამავე დროს უაღრესად ფაქიზი ეთიკური საქმიანობაა. ეს არის ცხოვრების მანკიერი მხარეების მხი-

საქართველოს  
წიგნითმწიფის  
კავშირის  
წევრობის  
საბჭო

ლებისა და მაღალ სულიერ ღირებულებათა განხორციელების პროცესი. მანკერების (ისევე როგორც სხვა ნაკლოვანებისა ან დანაშაულის) წინააღმდეგ ბრძოლას სჭირდება არა მარტო საქმის ცოდნა და პრინციპულობა, არამედ, აგრეთვე დიდი წინდახედულობა და ტაქტი. ზნეობრივი დანაშაულის მხილება არ შეიძლება დაკმაყოფილდეს (როგორც ეს ზოგჯერ ჩვენი პრესის ფურცლებზე ხდება) მარქსისტული ფილოსოფიის ელემენტარულ დებულებათა დაფიქსირებით: ეს დანაშაულებრივი თუ უზნეო აქტი განსაზღვრული იყო საზოგადოებრივი (მატერიალური) პირობებით, მაგალითად, სკოლამ შესაფერისად არ იზრუნა, მშობლებმა გაანებივრეს, ცუდ წრეში მოხვდა და დანაშაულიც ჩაიდინა. რასაკვირველია, ქვეყანაზე უმიზეზოდ არაფერი ხდება, მაგრამ ბოროტი საქციელის ამგვარი ახსნით გონიერ მკითხველს ერთადერთი დასკვნის გამოტანა შეუძლია: ეს საქციელი აუცილებელი ყოფილა. მაშასადამე, სრულიად გამოურყვეველი რჩება რისთვის იქნა ჩადენილი ესა თუ ის დანაშაულებრივი (უზნეო) აქტი, რა მიზნები ამოძრავებდა დამნაშავეს და სხვ. მარტო სურვილებზე (მაგ. ბევრი ფულის ქონა, გამდიდრება და სხვ.) მითითება კი საქმეს არ შეეღობა, რადგან ყოველი ადამიანური სურვილის საფუძველში მეტნაკლები სიცხადის მქონე ესა თუ ის მიზანი ძევს. სწორედ ქცევის მამოძრავებელ ობიექტურ მიზანს ძალუქს მოქმედების ზნეობრივი და უზნეო მხარეების შესახებ მოგვიტხროს.

დანაშაულის მხილების არსებულ პრაქტიკას აქვს მეორე მხარეც, რომელიც სერიოზულ დაფიქრებას მოითხოვს. ეს, პირველ რიგში, ეხება დამნაშავესთან ერთად ოჯახის, სკოლის თანაპასუხისმგებლობას.

ახალგაზრდა მოქალაქე ვალდებული არ არის (არც იურიდიულად, არც მორალურად) მშობლების მიერ ნაჩვენები გზით იაროს. ადამიანები სერიული წარმოების პროდუქტები როდი არიან, რომ ყველანი ერთნაირად ფიქრობდნენ, ერთნაირად მოქმედებდნენ. აქ განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს კონკრეტული მიდგომა აღზრდის პროცესში. ყოველი დანაშაული, უზნეობის ყოველი ფაქტი მხოლოდ საზოგადოებაში შეიძლება მოხდეს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ უზნეო აქტისთვის საზოგადოებას მოვეთხოვით პასუხი. როგორც დანაშაული არ არის აბსტრაქტული რამ, ასევე პასუხისმგებლობაც დანაშაულისთვის ყოველთვის კონკრეტული უნდა იყოს. პასუხისმგებლობაც მთავარი ტვირთი მთელი სიმძიმით უნდა დააწვეს დამნაშავეს, როგორც ქცევის ავტორს. ამავე დროს, აუცილებელია, რომ პასუხი მოეკითხოს დამნაშავეს გარემოს (ოჯახი, სკოლა) ისე, რომ იგი არ გადაიზარდოს დაშინების პოლიტიკაში, რაც ზნეობრივ აღზრდასთან სრულიად შეუთავსებელია. დამნაშავეს და მით უმეტეს ზნეობრივ დამნაშავეს უნდა ვუყუროთ არა როგორც ისეთ არსებას, რომელმაც ყველა გზა მოიჭრა საზოგადოებისგან, არამედ როგორც ადამიანს, რომელიც „მილიონი ძაფებით არის საზოგადოებასთან დაკავშირებული“ (კ. მარქსი).

ყრილობამ ყურადღება გაამახვილა ადამიანებთან ინდივიდუალურ მუშაობაზე, როგორც აღზრდის უმნიშვნელოვანეს ფორმაზე. საზოგადოებას შეადგენენ კონკრეტული ადამიანები, რომლებსაც აქვთ კონკრეტული ინტერესები, თავიანთი სიხარული და გაჭირვება, თავიანთი წარმოდგენები ცხოვრებაზე, ღირებულებათა სისტემაზე. მართალია, ინდივიდუალურ მუშაობას აღზრდის სფეროში გარკვეული ყურადღება ეთმობა, მაგრამ აქაც, როგორც ყრილობაზე აღინიშნა, სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს „ერთგვაროვანი“

მიდგომა. ამგვარი მიდგომის არსებითი ნაკლი იმაში მიდგომარეობს, რომ ჰრელი ციფრებისა და ღონისძიებების ზღვაში შეიძლება ცოცხალი ადამიანი დაგვეკარგოს; სტატისტიკის მიღმა შეიძლება ერთმანეთისაგან ვერ გავარჩიოთ პატიოსანი, თავდადებული მშრომელი, რომელიც საზოგადოებრივ აღიარებასა და დაფასებას იმსახურებს, და ანტისოციალისტური მორალის მატარებელი. ეს რომ არ მოხდეს, ამიტომ გვმართებს მაქსიმალური კონკრეტულობა აღზრდის საქმეში. აუცილებელია გავითვალისწინოთ მთელი თავისებურება იმ გარემოსი, რომელშიც აღმზრდელობით საქმიანობას ვეწევით.

ამასთან დაკავშირებით კიდევ უფრო აქტუალური ხდება პროფესიული ეთიკის პრობლემატიკა. პროფესიული ეთიკა ჩვენში სუსტად არის განვითარებული. საკმარისია ითქვას, რომ დღემდე სერიოზულად კამათობენ იმის შესახებ არსებობს თუ არა პროფესიული მორალი? თუ ეს უკანასკნელი არ არსებობს, მაშინ პროფესიული ეთიკაც შეუძლებელია. მაგრამ თუ არსებობს ინდივიდუალური მორალი, თუ ყოველ ინდივიდს თავისებური წარმოდგენები აქვს სიკეთისა და ბოროტების შესახებ, მაშინ რატომაა შეუძლებელი რომ ამა თუ იმ პროფესიული ჯგუფის წევრებს თავისებური მორალური წესები, ნორმები და პრინციპები ჰქონდეთ? თუ სწორია დებულება, რომ ადამიანები გარემოებათა პროდუქტები არიან, მაშინ, თავისთავად ცხადია, რომ სხვადასხვა გარემოში მყოფ ადამიანებს განსხვავებული მორალური (და არა მარტო მორალური) შეხედულებები ექნებათ. კონკრეტულობა აღზრდის საქმეში აუცილებლად გულისხმობს ადამიანთა პროფესიული მოთხოვნილებების, ინტერესების, მიზნების გათვალისწინებას. მით უმეტეს, ეს ითქმის კლასების მიმართ. კომუნისტური მშენებლობის ორი ტიპური წარმომადგენელი — კოლმეურნე და მუშა — აუცილებლად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავიანთი მოთხოვნილებებით, ინტერესებით და ღირებულებებით. ცხადია, ეს გარემოება არ გამორიცხავს საყოველთაო ზნეობრივი პრინციპების არსებობას. ამას ხელს უწყობს მთელი ქვეყნის მასშტაბით გაბატონებული ერთიანი წარმოების წესი და ერთიანი იდეოლოგია.

პროფესიული ეთიკის პრობლემების გამოკვლევა საბჭოთა ეთიკოსების სერიოზულ ამოცანას წარმოადგენს. ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრა ხელს შეუწყობს აღმზრდელობითი საქმიანობის გაუმჯობესებას.

ზნეობრივი აღზრდის საქმეში ინდივიდუალური, კონკრეტული მუშაობის გააქტიურების მიზანია ზნეობრივი ღირებულებების წარმატებით განხორციელებისათვის ხელის შეწყობა. აღმზრდელობითი სფეროში მაქსიმალური კონკრეტულობის მოთხოვნა იმასაც გულისხმობს, რომ აუცილებლად გავითვალისწინოთ ზნეობრივ ღირებულებათა რეალიზაციის თავისებურება. საქმე ისაა, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის ნებისმიერი სიახლე შესაძლებელია წარმოებებში და, მაშასადამე, ცხოვრებაში პრინციპულად განსაზღვრულ ვადებში დაინერგოს. ფილოსოფიური, ამ შემთხვევაში ზნეობრივი პრინციპების ზემდგომი ორგანოების მიერ დადგენილ ვადებში „დანერგვა“ შეუძლებელია. მეტიც, მეცნიერული და ტექნიკური სიახლის დანერგვა სრულიად ბუნებრივი და კანონზომიერი პროცესია, ფილოსოფიისათვის კი — პრინციპების ცხოვრებაში „დანერგვა“ უცხო და არაბუნებრივია. ეს პრინციპული განსხვავება ნათლად გამოჩნდება თუ ერთმანეთს შევადარებთ ზემოთ აღნიშნული ორი სახის „დანერგვას“. მაგალითად, რომელიმე ტექნიკური მოწყობილობის გაუმჯობესება პრინციპულად ყოველთვის შესაძლებელია თუკი არსებობს მეცნიერულად

ღასაბუთებული შესაფერისი ტექნიკური სიახლე და მისი განხორციელების მატერიალური ბაზა. ტექნიკურ სიახლეთა დანერგვას სოციალისტური წარმოების პირობებში არავითარი სერიოზული „ტყვივლები“ და „გართულებები“ არ მოსდევს. სხვა საქმეა ზნეობრივ ღირებულებათა რეალიზაცია. ტექნიკური მოწყობილობისაგან განსხვავებით, — რომელიც ჩვენს სურვილებსა და მოთხოვნებს „უსიტყვოდ“ ემორჩილება, — ადამიანები არ გამოირჩევიან ასეთი უსიტყვო მორჩილებით. ადამიანი იმით განსხვავდება ყველა სხვა არსებულთაგან, რომ მას ძალუძს მუდამ სხვანაირად მოიქცეს; სხვაგვარად მოქცევის უნარი არის თავისუფლების უნარი. ეს ნიშნავს, რომ ადამიანს შეუძლია ზიილოს ესა თუ ის შეხედულება ან არ გაიზიაროს და ა. შ. რამდენიც უნდა „ვენერგოთ“ ადამიანში, მაგალითად, მორალური პრინციპები, თუ ისინი არ მიიღო, არ გაიზიარა ადამიანმა, ეს პრინციპები მისთვის მუდამ უცხო და განუხორციელებელი დარჩებიან. რომელიმე თვალსაზრისის ან პრინციპის მიღება ადამიანის მიერ, პირველ რიგში, ნიშნავს მათ ინტელექტუალურ მიღებას, აზროვნების მიერ მათი მნიშვნელობის დადგენას. მაგრამ იდეის რეალიზაციის თვალსაზრისით ეს ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის. გავიხსენოთ კ. მარქსის სიტყვები: „იდეები იქცევიან მატერიალურ ძალად, როდესაც ისინი მასებს დაეუფლებიან“. იდეის მატერიალურ ძალად ყოფნა ნიშნავს — ღირებულებად ყოფნას. ადამიანებს, მასებს ამოძრავებენ არა შიშველი იდეები, არამედ იდეები, როგორც ღირებულებები, მოთხოვნები. მხოლოდ იდეით გამსჭვალული ადამიანები ლაპარაკობენ ღირებულების ენაზე, ისინი მოითხოვენ იმას, რაც უნდა იყოს.

იდეის ღირებულებად „გარდაქმნა“ რთული და ხანგრძლივი პროცესია. ამა თუ იმ თვალსაზრისის ან გარკვეული პრინციპების მიღება, მათ შესაბამისად მოქმედება ხორციელდება ობიექტური სოციალური გარემოს ზემოქმედებით, განსაზღვრული მიზნის მიხედვით ორგანიზებულ ადამიანთა ჯგუფის მიერ გეგმავლობიერად გატარებულ ღონისძიებათა გავლენით და თვითონ პიროვნების თვითაქტივობის წყალობით. ამრიგად, სოციალური გარემოს გავლენა, აღზრდა და თვითაღზრდა ის აუცილებელი კომპონენტებია, რომელთა გარეშე შეუძლებელია ადამიანის გაუმჯობესებაზე ლაპარაკი. სწორედ ამ გზით — და არა „დანერგვით“ შესაძლებელია ადამიანთა ურთიერთობების ჰუმანიზაცია.

მარქსისტულ-ლენინური ეთიკის ვალია ყოველთვის თვალწინ ჰქონდეს პრინციპული განსხვავება ტექნიკური სიახლის დანერგვასა და პოლიტიკური, მორალური, ესთეტიკური და საერთოდ ფილოსოფიური იდეების ცხოვრებაში განხორციელებას შორის.

მრავალფეროვან ადამიანურ ურთიერთობებს ეთიკა გამოხატავს სათნობისა და მანკიერების, მოვალეობის, ბედნიერების, პასუხისმგებლობის, სინდისის, სამართლიანობის და სხვა ფუნდამენტურ კატეგორიებში. ეთიკის ისტორია გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა ისტორიული ეპოქები განსაზღვრულ ზნეობრივ ღირებულებას აძლევდნენ უპირატესობას. თავის მხრივ, ეთიკის ისტორიული ტიპები — ევდემონიზმის ეთიკა, მოვალეობის ეთიკა, უტილიტარიზმის ან ღირებულების ეთიკა — ამავე დროს სრულიად გარკვეულ ისტორიულ ეპოქებზეც მიუთითებენ. ეს ორმხრივი კავშირი სოციალურ ეპოქასა და წინ წამოწეულ ზნეობრივ ღირებულებებს შორის კანონზომიერია.

გარკვეული ობიექტური ვითარების გამო ეთიკის ფუნდამენტური კატეგორიებიდან ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში წინა პლანზე წამოიწია სამართლიანობის კატეგორია. პარტიის XXVII ყრილობისადმი წარდგენილ პოლიტიკურ ანგარიშში, აგრეთვე ბევრ სხვა გამოსვლაში მწვავედ იყო დაყენებული საკითხი სამართლიანობის პრინციპის „მუშაობის“ შესახებ განვითარების წინაშე დგას ამოცანა — სერიოზულად გამოიკვლიოს კატეგორიათა სისტემაში სამართლიანობის კატეგორიის ადგილი, მისი ღირებულებითი ბუნება, რეალურ ცხოვრებაში მისი გამოვლენის თავისებურებანი.

დედამიწაზე ყველაზე სამართლიანი საზოგადოების აშენება ჩვენი იდეოლოგიის უმაღლეს მიზანს წარმოადგენს. ამიტომ, არ შეიძლება შეშფოთება არ გამოიწვიოს იმ გარემოებამ, რომ სამართლიანობის პრინციპის განხორციელება ჩვენს ცხოვრებაში სერიოზული ნაკლოვანებებით ზასიათდება, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, იგი ხშირად მახინჯდება. სამართლიანობის არსი დოვლათის განაწილებასთან არის დაკავშირებული. დოვლათის განაწილება კი ყოველ სოციალურ-ეკონომიკურ ფორმაციაში თავისებური იყო. კომუნისმის პირველი საფეხურისათვის დამახასიათებელი სამართლიანობა კ. მარქსმა გამოხატა შემდეგი პრინციპით: „თითოეულისაგან მისი უნარის მიხედვით, თითოეულს მისი შრომის მიხედვით“. ამ პრინციპის განმარტების დროს კ. მარქსი მიუთითებს, რომ იგი თავისში ჯერ კიდევ შეიცავს „უსამართლობის“ და „უთანასწორობის“ მომენტებს. შრომა არის ადამიანის კეთილდღეობის წყარო, თუკი იგი სხვა ადამიანის ექსპლოატაციას არ ეწევა. გარკვეული უსამართლობა და უთანასწორობა დოვლათის განაწილების დროს კომუნისმის პირველ საფეხურზე მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ადამიანების სხვადასხვანაირი ფიზიკური და ინტელექტუალური მონაცემებით. ეს გარემოება შეიძლება ჩაითვალოს ამ საფეხურზე სამართლიანობის ზოგად ნაკლად.

სამართლიანობის აღნიშნული ზოგადი ნაკლი თავისებური სახით ვლინდება განვითარებული სოციალიზმის ეპოქაში. აქ შეიძლება გამოვეყთ სამართლიანობის დარღვევის ორი ძირითადი სახე: ჯერ ერთი, საქმე ეხება უშრომელი შემოსავლის წყაროებით სარგებლობას, მეორეც, სამუშაოზე კარგი და ცუდი მუშაკის თანაბარ ანაზღაურებას. უშრომელი შემოსავალი და კარგი და ცუდი შრომის გათანაბრება სრულიად მიუღებელია არა მარტო სოციალისტური სამართლიანობისათვის, არამედ სოციალიზმის ბუნებისათვის საერთოდ. აღნიშნული ორივე სახის დარღვევა ანგრევს სოციალიზმის სამართლიანობის პრინციპს და ხელს უწყობს ამ სფეროში საწინააღმდეგო, არაჯანსაღი ტენდენციების წარმოშობას. მამასადამე, სამართლიანობის პრინციპის რეალიზაცია ჩვენში გარკვეულ დაბრკოლებებს აწყდება, რომელთა თავიდან მოცილება სოციალისტური სამართლიანობის შემდგომი განვითარების მნიშვნელოვანი პირობაა.

სოციალური სამართლიანობის რეალიზაციის უმთავრესი დაბრკოლება — „ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია“ — ჩვენს საზოგადოებაში არ არსებობს. მაგრამ ეს არ გვაძლევს საფუძველს თვალი დავხუჭოთ უსამართლობის უსიამოვნო ფაქტებზე. თუკი პატიოსან ადამიანს ცხოვრება უჭირს, ეს ნიშნავს, რომ სოციალური სამართლიანობის მოთხოვნა მთლიანად არ სრულდება. ამგვარ ფაქტებს ყოველთვის მოექმბნება თეორიული ახსნა, ეთიკური გამართლება კი — არა. კომუნისმის სახლის მშენებლობა — სამართლიანი

საზოგადოების მშენებლობაა. სამართლიანობა უნდა განხორციელდეს და ნაწილობრივ ხორციელდება კიდევაც გაწეული შრომის მოცულობის, ხარისხისა და პასუხისმგებლობის ზომის მიხედვით. მაგრამ საზოგადოება, თუკი იგი ჯანსაღია, არასოდეს არ კმაყოფილდება ნაწილობრივი სამართლიანობით, სამართლიანობის მიღწეული დონით. იგი მიისწრაფვის უფრო სრული სამართლიანობისაკენ; სამართლიანობა, რომელიც უნდა იყოს, მაგრამ ჯერ არ არის, ეთიკური სამართლიანობის ბუნებას გამოხატავს. ეთიკური სამართლიანობა გულისხმობს არა მარტო ფაქტულობათა ფლობის თანასწორობას, არამედ თანასწორობის როგორც სულიერი ღირებულებების უპირატეს დაფასებას.

ეთიკური სამართლიანობა არ ცნობს გამოწაკლისს ნორმალური ადამიანების წრეში, მაგრამ გარკვეულ შეღავათებს უშუალებს ბავშვებისა და იმთ მართ, ვისაც ერისა და ქვეყნის წინაშე განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით. ბავშვებზე, როგორც ქვეყნის მომავალზე, განსაკუთრებული ზრუნვა სრულიად ბუნებრივი და კანონზომიერი. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენთან ამ საკითხში ყველაფერი სამართლიანად არის მოწესრიგებული. ლოზუნგი — „ყველაფერი საუკეთესო ბავშვებს“ — შეიძლება მხოლოდ ირონიულ ღიმილს იწვევდეს იმ ვითარებაში, როდესაც ბავშვებისათვის მართლაც საუკეთესო ძნელად სანახავი და მამასისხლად საყიდელია. ასევე ნაწილობრივ არის სამართლიანობა განხორციელებული ბავშვების სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის საქმეში. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ბავშვებისათვის წიგნების ჩამორთმევა არის ნამდვილი უსამართლობა, რადგან ბავშვთა მნიშვნელოვანი ნაწილი მიღებული ცოდნის განმტკიცების საშუალებას ვართმევთ; უსაფუძვლოა იმის ფიქრი, რომ ბავშვს მათემატიკის ან ისტორიის რომელიმე სახელმძღვანელოდან მიღებული ცოდნა სკოლის დამთავრების ბოლომდე გაჰყვება. ბავშვებს საწამებლად მოუგვარებელი სასკოლო პროგრამებიც ეყოფათ, რომლებიც, მოზარდთა სულიერი სამყაროს მიმართ უფროსების უგულისყურობისა და უსამართლობის მკაფიო ნიშნებს წარმოადგენენ. თუ მართალია, რომ ცოდნა ამაღლებს ადამიანს, მაშინ უნდა ვიზრუნოთ ეფექტურ ზომებზეც, რომლებიც ცოდნის შექმნას ხელს შეუწყობენ. ერთ-ერთ ასეთ ზომას წარმოადგენს ბავშვებისათვის სასკოლო სახელმძღვანელოების არა დროებით, არამედ სამუდამო სარგებლობაში გადაცემა. ეს იქნება სწორედ სამართლიანობის აქტი ბავშვთა სწავლა-განათლების მიმართ.

სამართლიანობა აუცილებლად გულისხმობს განსაზღვრულ წესრიგს, რომლის დარღვევასაც ამა თუ იმ სახის უწესრიგობასთან მივყავართ.

ღირებულებათა განსაზღვრული წესრიგის დარღვევასთან გვაქვს საქმე ჩვენს საზოგადოებაში ნეგატიური მოვლენების არსებობის დროს. მეჭრთამეობას, სპეკულაციას, ლოთობას, ხულიგნობას, კერძომესაკუთრებული ფსიქოლოგიის სხვადასხვა მანკიერ მოვლენებს, საბოლოო ჯამში, ამა თუ იმ სახის ფასეულობისათვის უპირატესობის მიცემა უდევს საფუძვლად. შესაბამისი მოვლენებისათვის დამახასიათებელი ღირებულებათა წესრიგის გამოკვლევა მნიშვნელოვანი საშუალებაა დასახელებულ ნეგატიურ მოვლენათა წინააღმდეგ საბრძოლველად.

ყრილობის საპროგრამო დოკუმენტებში არაერთხელ ხაზგასმით არის აღნიშნული ადამიანის მიერ ფაქტორის უდიდესი მნიშვნელობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ეთიკისათვის ეს ნიშნავს ეთიკური პერსონის

პრობლემის წინ წამოწევას. ეთიკური პიროვნება ჩანს ზნეობრივი აქტების შესრულებაში. ყველა ადამიანი არ არის ეთიკური პიროვნება, ისევე როგორც ყველას, ვინც მორალს ქადაგებს, როდი აქვს ამის უფლება. შინაგანი უფლების გარეშე მორალის ქადაგება უკვე ნიშნავს ადამიანში პიროვნების დეგრადაციას. დეგრადირებული პიროვნება კი შეიძლება ყოველგვარი ბოროტების წყარო გახდეს. ამიტომ, მარქსისტულ-ლენინური ეთიკის უაღრესად აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს ეთიკური პიროვნების პრობლემის კვლევა. ძნელი და სანახი არ უნდა იყოს, რომ ეთიკური პიროვნების არსის გათვალისწინების გარეშე მსჯელობა ადამიანის მოვალეობის, ბედნიერების, სამართლიანობისა თუ ბოროტების შესახებ არადაამაკმაყოფილებელი და ცალმხრივია, ვინაიდან მოვალეობის შემსრულებელიც და ბედნიერების განმცდელიც, სამართლიანიც და ბოროტების ჩამდენიც არის ეთიკური პიროვნება. ყველაფრისთვის, კარგი თუ ცუდი საქმისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება სწორედ ეთიკურ პიროვნებას და არა მისი სტრუქტურის რომელიმე ელემენტს.

დაბოლოს, მარქსისტულ-ლენინური ეთიკის ერთ-ერთ არსებით ამოცანად რჩება ბრძოლა ბურჟუაზიული ეთიკისა და კულტურის წინააღმდეგ. ყრილობაზე სრულიად გარკვევით ითქვა, რომ ბურჟუაზიული იდეოლოგია ეწევა „ფსიქოლოგიურ ომს ადამიანთა გონების, მსოფლგაგების, მათი საარსებო, სოციალური და სულიერი ორიენტაციებისათვის“. ეს ორიენტაციები სხვა არაფერია თუ არა უმაღლესი ღირებულებანი (სიკეთე, სამართლიანობა, ბედნიერება და სხვ.), რომელთა გარეშე ადამიანის ადამიანური არსებობა წარმოუდგენელია. მარქსისტული ეთიკის გადაუდებელი ამოცანაა ზნეობრივი ღირებულების ფუნდამენტური კვლევა, ღირებულებათა საგნობრივი შკალის შემუშავება, საერთოდ ღირებულების პრობლემის ეთიკური ასპექტების ძირეული გამოკვლევა. ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა იმისა, რომ ბურჟუაზიული იდეოლოგიის მიერ გაჩაღებული „ფსიქოლოგიური ომი“ წარმატებით მოვიგერიოთ და ამით ხელი შევეწყოთ ჰემმარიტად ჰუმანისტურ ღირებულებათა ცხოვრებაში განხორციელებას.

ცხოვრების სიწმინდისათვის ბრძოლაში მარქსისტულ-ლენინური ეთიკის ადგილი მხოლოდ ბრძოლის წინა ხაზზე შეიძლება იყოს; რამეთუ ეს არის ბრძოლა ადამიანთა ურთიერთობის, პიროვნების გაკეთილშობილებისთვის, მისი სრულყოფისათვის. საკაცობრიო იდეალებისათვის მებრძოლი პიროვნების ღირებულება კი, მარქსიზმის მიხედვით, უმაღლესია ყველა სხვა ღირებულებათა შორის.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა

ენის თეოაზიული

ენის შემეცნებითი ფუნქციის პრობლემის განხილვის

ენა, როგორც კაცობრიობის სულიერი კულტურის ელემენტი, დიდ როლს თამაშობს საზოგადოების ცხოვრებაში; ამიტომ იგი და მასთან დაკავშირებული პრობლემები ყოველთვის იქცევა ფილოსოფიური მოაზროვნების ყურადღებას.

ენის უშუალო კავშირი აზროვნებასთან განსაზღვრავს მის როლს შემეცნებაში. მარქსიზმის კლასიკოსები განიხილავენ ენას, როგორც საზოგადოებრივ-ისტორიულ მოვლენას, რომელიც ემსახურება იდეალურის გამოხატვასა და ობიექტივაციას [7, გვ. 604]. მარქსი და ენგელსი წერდნენ: „ენა ისევე ძველია, როგორც ცნობიერება; ენა არის პრაქტიკული, არსებული სხვა ადამიანებისათვისაც და მხოლოდ ამით თვით ჩემთვისაც არსებული ნამდვილი ცნობიერება და, მსგავსად ცნობიერებისა, ენა წარმოიშობა სხვა ადამიანებთან ურთიერთობის მოთხოვნილებიდან, აუცილებელი საჭიროებიდან“ [1, გვ. 26-27].

ენის უპირველეს და მთავარ ფუნქციად მიჩნეულია აზრის გაფორმება, გამოხატვა, მაგრამ ენა არა მხოლოდ აფორმებს, გამოხატავს აზრს, არამედ იგი აზრთა გადაცემის საშუალებაცაა. ენა შესაძლებელს ხდის აზრთა გაცვლას, რის გამოც იგი წარმოადგენს ინფორმაციის შენახვისა და გადაცემის სპეციფიკურ სოციალურ საშუალებას. ენის ფილოსოფიის მკვლევარები თვლიან, რომ ადამიანს სამყაროს შესახებ მოპოვებული ინფორმაციის გადამუშავებაში ენაც ეხმარება, რითაც იგი ხელს უწყობს სინამდვილის სრულ და ღრმა გაგებას. ეს როლი ენას გადააქცევს შემეცნების იარაღად. ენაში ხდება ადამიანის შემეცნებითი მოღვაწეობის შედეგების ობიექტივაცია.

წინამდებარე სტატიის მიზანია იმის გამოკვლევა, თუ როგორ ჩამოყალიბდა ენის შემეცნებითი ფუნქციის პრობლემა ანტიკურ ფილოსოფიაში და რა საკითხებს ეხებოდა პირველი ფილოსოფიური განაზრებანი ამ პრობლემის შესახებ.

ანტიკური ფილოსოფოსების ნააზრევში პირველ მიხედვრებს ენის ფილოსოფიის დარგში დამოუკიდებელი კვლევის ხასიათი არ ჰქონდა. იგი თან ერთვოდა ამა თუ იმ ფილოსოფიური პრობლემის განხილვას. ამიტომ ენის შემეცნებითი ფუნქციის შესახებ ანტიკური ეპოქის მოაზროვნეთა შეხედულებები უნდა ვიკვლიოთ იმ ზოგადფილოსოფიური პრობლემების მთლიან სისტემაში, რაც ანტიკურ ფილოსოფიაში ფიგურირებდა.

ენის ფილოსოფიის თანამედროვე მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ენის შესახებ რეფლექსიას ჯერ კიდევ მითოლოგიურ აზროვნებაში ვხვდებით. მითოლოგიური აზროვნება ყურადღებას აქცევდა ცალკეულ სიტყვებს, უფრო სწორად კი სახელებს. ნივთის სახელი გაიზარებოდა თავად ნივთთან მჭიდრო კავშირში. სახელი არ არსებობდა საგნის გარეშე. ამიტომ სახელზე ჩატარებული სოველი ოპერაცია თვითონ ნივთებზე ზემოქმედებდა ითვლებოდა. სწორედ

აქედან მომდინარეობს წარმოდგენები სიტყვიერი მაგის' დიდი ძალის შესახებ. ენაზე პირველი რეფლექსიის გამოვლენად, ბერძნული აზროვნების ისტორიაში, სახელების წარმოშობის შესახებ გარკვეული წარმოდგენების ჩამოყალიბება მიიჩნევა. ეტიმოლოგია სახელთა ინტერპრეტაციის გაცნობიერებული მეთოდია [4, გვ. 23].

მითოლოგიურ წარმოდგენებში არსებობდა, აგრეთვე, ასე ვთქვათ, იდეა „სახელთა დამდგენის“ შესახებ. ეს იდეა ნივთთა „გამკეთებლის“, „გამომგონებლის“ იდეის ანალოგიური იყო. სავანი არსებობს იმიტომ, რომ იგი ვილაცამ „შექმნა“ ან „აღმოაჩინა“, ასევე მათი შესაბამისი „სახელებიც“ საჭიროებენ შემქმნელს. შემდგომდროინდელ ბერძნულ ფილოსოფიაში ეს იდეაც აისახა.

ბერძნული აზრის განვითარების შემდგომ პერიოდში, განსაკუთრებით ფილოსოფიის წარმოშობის შემდეგ, მოაზროვნეები ხშირად უბრუნდებიან საკითხს: როგორ წარმოიშვა სახელები — „ბუნებით“ თუ „შეთანხმებით“. ე. ი. სახელები ობიექტების თვისებებს ასახავენ, თუ ისინი ადამიანთა შეთანხმების შედეგია? ამ საკითხით დაინტერესდნენ ანტიკურობის ისეთი დიდი ფილოსოფოსები, როგორებიც იყვნენ პერაკლიტე, ანაქსაგორა, პროტაგორა, დემოკრიტე, პლატონი და არისტოტელე. მათი ყურადღება ენასთან დაკავშირებული საკითხების მიმართ, ვფიქრობთ, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეული იყო ანტიკური ეპოქის დიდი ინტერესით მჭევრმეტყველების (რიტორიკის) საკითხებისადმი. ამ პერიოდის პოლიტიკურ წყობაში სიტყვას და, საერთოდ, მეტყველებას, როგორც ადამიანური ქცევის მართვის სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფაქტორს, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ანტიკური ეპოქის ფილოსოფოსებმა, განსაკუთრებით სოფისტებმა დიდი ყურადღება მიაქციეს ამა თუ იმ მოსაზრების (დებულების) დასაბუთებას რიტორიკული მეთოდების საშუალებით. დიდი ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა რიტორიკული ხელოვნების განვითარების საქმეში, წერდა: „შეუსაბამობაა, სამარცხვინოდ ჩავთვალოთ ის, რომ ფიზიკურად თავდაცვა არ შეგვიძლია, სიტყვით თავდაცვის უუნარობას კი არ ვთვლით სამარცხვინოდ. მაშინ, როდესაც ადამიანებისათვის უფრო დამახასიათებელია მეტყველება, ვიდრე სხეულებრივი მოთხოვნილებანი“ [2, გვ. 34—35]. ამრიგად, რიტორიკა სიბრძნის ერთ-ერთ დარგად ითვლებოდა, ხოლო ზოგჯერ მას ფილოსოფიურ დისციპლინათა შორის უპირატესობასაც კი ანიჭებდნენ. სოფისტები თვლიდნენ, რომ დასაბუთება მსჯელობებით, კამათით, საუბრებით, დიალოგებით, ე. ი. ძირითადად, მეტყველების პროცესით ხორციელდება. სიტყვა და მეტყველება გაგებული იყო როგორც დასაბუთების დემონსტრაციის საშუალება, რადგან სიტყვა ობიექტური ვითარების ენობრივ გამოხატვას წარმოადგენს. ამიტომ იგი ადამიანთა შეტყობინებისა და დარწმუნების საშუალებაცაა. ასე მოხდა მჭევრმეტყველების საკითხებთან დაკავშირებით ენის რეპრეზენტაციული და კომუნიკაციური ფუნქციების გამოკვეთა.

პლატონი, რომელიც დიდ ყურადღებას უთმობს ზემოდასახელებული საკითხების კვლევას, დიალოგში „გორგია“ არკვევს, თუ რა არის მჭევრმეტყველების ხელოვნება. ის წერს: „სოკრატე: მთელი ხელოვნება, ჩემი აზრით, შეიძლება დიიყოს ასე: ერთნი მთავარ ადგილს აკუთვნებენ საქმიანობას და ნაკლებ საჭიროებენ სიტყვას, ზოგი კი საერთოდ არ საჭიროებს მას — რაკი შეუძლიათ თავისი საქმე სრულ მდუმარებაში შეასრულონ, როგორც, მაგალითად, მხატვრობა, მოქანდაკეობა და მრავალი სხვა. შენ ალბათ ამ ხელოვნ-

ნებაზე ამბობ, რომ მათთან მჭევრმეტყველებას არავითარი ურთიერთობა არ აქვს...

სხვა ხელოვნებანი ყოველივეს აღწევენ სიტყვის მეშვეობით, საქმიანობაში კი, შეიძლება ითქვას, საერთოდ არ სჭირდებათ, ან ძალიან ცოტა სჭირდებათ. მაგალითად, როგორცაა არითმეტიკა, ანგარიშის ხელოვნება, გეომეტრია, შაშის თამაშიც კი, და მრავალი სხვა, რომელთა შორის ერთნი თანაბარი ზომით იყენებენ სიტყვას და საქმეს, სხვანი კი — ასეთები უფრო მეტია — უპირატესად სიტყვას მოიხმარენ და მათი ზემოქმედების ძალა და არსი სიტყვაში ვლინდება. შენ ალბათ ამ ხელოვნებათა რიცხვს აკუთვნებ მჭევრმეტყველებას“.

აქედან ჩანს, რომ მჭევრმეტყველება, პლატონის მიხედვით სიტყვასთან დაკავშირებული ხელოვნებაა; არითმეტიკა, ასტრონომია და სხვანი, მისი აზრით, ძალას სიტყვაში პოუვებენ. ეს ძალა კი, არითმეტიკის შემთხვევაში, წყვილი და კენტი რიცხვების შემეცნებისაყენ, ასტრონომიის შემთხვევაში ვარსკვლავების, მზის, მთვარის მოძრაობების შემეცნებისაყენ არის მიმართული. ამრიგად, მჭევრმეტყველება ხელს უწყობს ადამიანს სამყაროს შემეცნებაში. სიტყვა, როგორც რეპრეზენტატი, აზრის გამოხატულება მონაწილეობს შემეცნების პროცესში.

როგორი დამოკიდებულებაა სიტყვას, ე. ი. სახელსა და იმ საგანს შორის, რომლის აზრობრივ გამოხატვასაც იგი წარმოადგენს? საკითხი სახელისა და სახელდებული რეალობის დამოკიდებულების შესახებ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ერთნაირად აქტუალური იყო ანტიკური ფილოსოფიის სხვადასხვა სკოლის წარმომადგენელთათვის. როგორ არსებობს სახელები — „შეთანხმებით“ თუ „ბუნებრივად“? თუ სახელი მოცემულია ბუნებრივად, მაშინ იგი ასახავს სახელდებულის არსს, ხოლო თუ ის ადამიანთა შეთანხმების შედეგია, მაშინ იგი არ ასახავს დასახელებულის არსს და არ გააჩნია სხვისათვის აუცილებლობის ძალა.

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ატომისტური ფილოსოფიის მთავარი წარმომადგენლის დემოკრიტეს შეხედულებები. ჯერ კიდევ არისტოტელემ შეაფასა დემოკრიტე როგორც ყოვლისმომცველი მკვლევარი. იგი ყველაფერზე აზროვნებდა — წერდა არისტოტელე. ენისა და ლიტერატურის საკითხებზე დაწერილი მისი რამდენიმე ნაშრომიდან დღემდე მხოლოდ მცირეოდენი ფრაგმენტია შემორჩენილი. ხშირად დემოკრიტეს შეხედულებების შესახებ მის თანამოაზრეთა მიხედვით მსჯელობენ.

დემოკრიტეს აზრით, როგორც ერთი და იგივე ატომებისგან შეიძლება შეიქმნას განსხვავებული საგნები და სამყაროები ასევე შეიძლება შეიქმნას ერთი და იგივე ასოთაგან სხვადასხვა სახელი, დაიწეროს ტრაგედიაც და კომედიაც [5, გვ. 176].

სახელისა და სახელდებული რეალობის ურთიერთმიმართების საკითხის განხილვისას. დემოკრიტე ატომებისა და სიციარიელის ურთიერთობის შესახებ თავის კონცეფციიდან ამოდის. იგი ატომებისა და ცარიელი სივრცის რეალობას აღიარებდა, ხოლო საგანთა გრძობად-აღქმადი თვისებები სუბიექტურ შთაბეჭდილებებად მიაჩნდა. „სინამდვილეში (არსებობენ მხოლოდ) ატომები და სიციარიელი“ [5, გვ. 61]. „იმის საბუთად, რომ (გრძობად-აღქმადი თვისებები) არ არსებობენ ბუნებრივად, გამოდგება ის ფაქტი, რომ ისინი სხვადა-

სხვაგვარად ეჩვენება ყველა ცოცხალ არსებას; ის, რაც ჩვენთვის ტყბილია, სხვისთვის მწარეა... სხვა (გრძნობადი თვისებებიც) ზუსტად ასევეა (განსხვავებული სხვადასხვა არსებებისათვის)“ [5, გვ. 87]. დემოკრიტეს შეხედულება აშკარად ეწინააღმდეგება მოსაზრებას სახელსა და საგანს შორის „ბუნებრივი“ კავშირის არსებობის შესახებ. იმის დასამტკიცებლად, რომ სახელები შეთანხმებითაა წარმოშობილი, დემოკრიტეს ოთხი საბუთი მოაქვს: სახელთა მრავალმნიშვნელობა (ომონიმები), საგანთა სხვადასხვა დასახელებანი (სინონიმები), ჯადარქმევის ფაქტები (რაც ძირითადად საკუთარ სახელებს ეხება) და ისეთი საგნების არსებობა, რომელთაც არ აქვთ სახელები [5, გვ. 151].

საინტერესოა დემოკრიტეს შეხედულება ენის წარმოშობის შესახებ, რომელსაც ისტორიკოსი დიოდორე გადმოგვცემს: ადამიანები საზოგადოებად მხეცების წინააღმდეგ ბრძოლაში ურთიერთდახმარების საჭიროების აუცილებლობის გამო გაერთიანდნენ. ადრე ადამიანების ხმა (ბგერები) აზრს მოკლებული და დაუნაწევრებელი იყო [5, გვ. 150]. საზოგადოებაში ადამიანთა შორის ურთიერთობის საჭიროებამ თანდათანობით წარმოშვა დანაწევრებული მეტყველება; გაჩნდა საგანთა აღმნიშვნელი, ერთმანეთისაგან განსხვავებული „სიმბოლოები“. ვინაიდან ადამიანთა საზოგადოებანი ადგილ-ადგილ და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად იქმნებოდა, ამიტომ საგანთა სახელებზე საერთო შეთანხმება შეუძლებელი იყო, რის შედეგადაც სხვადასხვა ენა წარმოიშვა. პირველყოფილმა ადამიანებმა მიანიჭეს საგნებს სახელები, როგორც ამ საგანთა სიმბოლოები, ხმოვანი ნიშნუშები. „ღმერთების სახელები, ღმერთების ხმოვანი ქანდაკებანი“ — წერდა დემოკრიტე [5, გვ. 152].

ენაში ობიექტური სინამდვილის გამოსახვის შესაძლებლობები განხილვის საგნად იქცა ჰერაკლიტეს ფილოსოფიაშიც. ჰერაკლიტეს შეხედულებებზე პლატონის დიალოგ „კრატილში“ კრატილის პოზიციის მიხედვით მსჯელობენ. კრატილი — ჰერაკლიტე სახელებს განიხილავდა როგორც ორიგინალთა ასლებს, ორიგინალებში კი საგნებს გულისხმობდა. ჰერაკლიტესათვის სახელები სინამდვილის ობიექტების სარკისებური ასახვაა. მაგრამ მისთვის მთავარი მაინც ის იყო, თუ როგორ შეუძლია ცალკეულ სიტყვას მოვლენათა წინააღმდეგობრივი არსი ასახოს, თითოეული მოვლენა დაპირისპირებულთა ერთიანობაა. ჩვენში, მაგალითად, ერთდროულად არის ახალგაზრდაც და მოხუციც, ცოცხალიც და მკვდარიც და ა. შ. ჰერაკლიტეს ამ შემთხვევაში აინტერესებს ის, გამოხატავს თუ არა სახელი საგანთა წინააღმდეგობრივ არსს, მის ბუნებას. 48-ე ფრაგმენტში ვკითხულობთ: „მშვილდის სახელი სიცოცხლეა, ხოლო საქმე მისი — სიკვდილი“ [5, გვ. 54]. ჰერაკლიტეს იმის თქმა სურს, რომ ერთი და იგივე სიტყვა — მშვილდი — ორ დაპირისპირებულ მოვლენას აღნიშნავს. ჰერაკლიტეს მიაჩნია, რომ საგანთა „ბუნებას“ სრულად მხოლოდ ის სახელები შეესაბამება, რომლებიც საგნებისა და მოვლენების წინააღმდეგობრივ ერთიანობას გამოხატავენ. ასეთი სახელები და სიტყვები კი ენაში ბევრი არ არის. ენის დანარჩენი სიტყვები, საგანთა ბუნებას შეზღუდულად ასახავენ, ისინი ასახავენ საგანთა მხოლოდ გარკვეულ მხარეს, როგორც მოვლენის არსიდან მოწყვეტილს.

ჰერაკლიტესა და მისი მიმდევრების შეხედულებით, სახელი საგნის მსგავსია, „ბუნებრივია“ და ამიტომ „ვინც იცის სახელები, მან იცის საგნებიც“ [6, გვ. 484]. სახელები საგანთა არსს გამოხატავს მათს მოძრაობასა და ცვალებადობაში.

პლატონი დიალოგში „კრატილი“ ჰერაკლიტეს შეხედულებას სოკრატეს მოსაზრებას უპირისპირებს. ამიტომ უფრო დაწვრილებით განვიხილოთ დიალოგი „კრატილი“.

დიალოგი „კრატილი“ პლატონის თხზულებებიდან ერთ-ერთ ყველაზე რთულ და ღრმაშინაარსიან ნაწარმოებად არის მიჩნეული. მასში პლატონი ერთმანეთს უპირისპირებს ჰერმოგენის, პროტაგორას მოწაფის, და კრატილის შეხედულებებს. სოკრატე კი, ვისი სახელითაც ავტორი ლაპარაკობს, როგორც ყოველთვის, ამ სადავო საკითხის გადაწყვეტას ცდილობს. როგორც აღინიშნა, დიალოგში დგას საკითხი სახელსა და სახელდებული რეალობის დამოკიდებულების შესახებ. შეიძლება თუ არა ნივთთა ბუნების გაგება მათი სახელის ცოდნის საფუძველზე, ანუ წარმოადგენს თუ არა სახელები ნივთთა შემეცნების საშუალებას?

პლატონი დიალექტიკურად ავითარებს მსჯელობას სახელდების, როგორც ნივთთა ბუნების გამოხატვის შესაძლებლობის შესახებ და სოკრატეს პირით ამბობს: „სახელებისაგან კი არ უნდა შევისწავლოთ და ვიკვლიოთ საგნები, არამედ თავად მათგან“ [6, გვ. 438]. ნივთთა ჭეშმარიტება უნდა შევიცნოთ თავად ნივთებისაგან და არა მათი ლანდებისაგან, რასაც სახელები წარმოადგენენ.

პლატონის შეხედულება ზოგადად ასეთია: სახელი საგნის გამომსახველია (ამსახველია) ასოებისა და ბგერების მეშვეობით [6, გვ. 481]. „ხმოვანი“ შედგენილობა აგებულებით ყოველთვის არასრულყოფილია. ზოგჯერ კონკრეტული სახელები ისეთი ბგერებისაგან შედგება, რომ ისინი სემანტიკურად უფრო ეწინააღმდეგება საგნის ბუნებას, ვიდრე შეესაბამება. თუმცა ასეთ სახელებს ადამიანები მაინც სწორად იგებენ და სწორედ მხოლოდ „შეთანხმების“ საფუძველზე. სახელთა ეტიმოლოგიურმა ანალიზმა პლატონი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ საგანთა პირველი სახელმდებლები ზოგჯერ ცდებოდნენ. ამიტომ — ფიქრობს პლატონი — სახელი და, მით უმეტეს, „ბგერა“, როგორც საგანთა მიბაძვა, არ შეიძლება შემეცნების საშუალებად მივიჩნიოთ. სახელს მეტწილად პირობითი ღირებულება გააჩნია. თუმცა იგი მთლიანად პირობითი მაინც არ შეიძლება იყოს. სახელი რაღაცნაირად უნდა ეთანხმებოდეს საგნის ბუნებას. სრულმა პირობითობამ შეიძლება ისეთი არეულობა გამოიწვიოს, რომ ვეღარ გავარჩიოთ „სად ადამიანია“ და „სად ცხენია“.

საგნის სახელდების სისწორე დამოკიდებულია მისი განმარტების სისწორეზე. „სახელის სისწორე, ვამბობდით ჩვენ, მდგომარეობს იმაში, რომ იგი აჩვენებს, თუ როგორია საგანი“ [6, გვ. 474]. სახელი ბაძევს საგანს „ასოებისა და ბგერების მეშვეობით“, მაგრამ მისი სისწორე არ შეიძლება დაყვანილი იქნეს ბგერებით წაბაძვაზე. ყოველი ნივთის სახელი, უპირველეს ყოვლისა, გარკვეული მიმართებით ამ ნივთის არსების გამომხატველია. სახელების კანონმდებელი, როგორც უწოდებს პლატონი საგნების სახელთა პირველ მიმნიჭებელს, ამ არსებიდან უნდა ამოსულიყო. „არსებობს სახელთა სისწორე, რომელიც ბუნებრივად ახასიათებს თითოეულ საგანს. ეს არ არის ის, რაც გამოითქმის, ჩვენი მეტყველების ნაწილი, რომელიც აღნიშნავს თითოეულ ნივთს რამდენიმე ჩვენთაგანის შეთანხმების საფუძველზე, არის სახელი, მაგრამ სახელთა გარკვეული სისწორე, რომელიც თანდაყოლილია, როგორც ელინელებისთვის, ისევე ბარბაროსებისთვისაც, ყველასათვის ერთნაირია“ [6, გვ. 415].

სახელთა სისწორე, პლატონის მიხედვით, არ შეესაბამება მის ხმოვან შედგენილობას „სასაცილო უნდა იყოს ჰერმოგენ, რომ ბგერებითა და სიტყვებით, წაბაძვის მეშვეობით, ნივთები ჩვენთვის სრულიად ნათელნი ხდებოდნენ“ [6, გვ. 471]. პლატონთან ადამიანის არტიკულაციურ-აკუსტიკურ აპარატს ის მნიშვნელობა აქვს, რომ ასოებს და ბგერებს აუცილებლობით შეაქვთ რაღაცა ახალი სახელში. ეს ახალი ნივთის გარკვეული სპეციფიკური მხარის მიჩვენებელია. ამრიგად, პლატონისათვის ამ შემთხვევაში წაბაძვა არ ნიშნავს აბსოლუტურ წაბაძვას, რომელიც არ იძლევა ახალ წაბაძვის საგანთან შედარებით. წინააღმდეგ შემთხვევაში წაბაძვა უსარგებლო გახდებოდა. წაბაძვა ინტერპრეტაციაა. სახელდება ნივთის ბუნების ინტერპრეტაციაა, რომელსაც პლატონი „შთავიწმუნებულ სიბრძნეს“ უწოდებს, ხოლო მისი შედეგი — „ტიპი“, „ნიმუში“, რომელიც ინარჩუნებს ობიექტურ მნიშვნელობას, დაკავშირებულია იმასთან, რაც „მარადიულია თავისი ბუნებით“.


პლატონის ობიექტურ იდეათა სამყარო იმდენად ღრმად და ამევე დროს იმე დაშორებულია ადამიანებისაგან, რომ მისი შემეცნება მხოლოდ დიფერენციალურად შეუძლიათ. ადამიანი მხოლოდ მიუახლოვდება მათ და მეტ-ნაკლები სიზუსტით იმეცნებს მათ ამა თუ იმ ასპექტს. ადამიანი ნივთების სახელდებით ცდილობს განასხვავოს იდეალურ არსებებში ესა თუ ის მხარე, კერძოდ კი მათი ობიექტური ასპექტი. პლატონის აზრით, ნივთის სახელი იდეალური არსების ერთგვარი ინტერპრეტაციაა. ამიტომ ეს ინტერპრეტაციები შეიძლება ან ახლოს ან შორს იყოს საგნის ჰერმეტიკი ასახვისაგან. ნივთის სახელი, როგორც მისი რეპრეზენტატი, ამ ნივთის მეტ-ნაკლებად სწორ ინტერპრეტაციად იქცევა.

დიალოგში პლატონი ერთგან წერს: „ბერნი თვლიან, რომ სხეული, ანუ ხორცი (soma) მსგავსია საფლავის ფილისა (sema), რომელიც ფარავს მის ქვეშ დაკრძალულ ამქვეყნიურ სულს. ამევე დროს ეს ფილა წარმოადგენს აგრეთვე ნიშანსაც (sema), მისი მეშვეობით სული აღნიშნავს იმას, რისი გამოსახვაც სჭირდება და ამიტომ სხეული საშარტილიანად ატარებს აგრეთვე სახელს „sema“ [6, გვ. 438]. აქ პლატონი ნიშანსა და მნიშვნელობაზე ლაპარაკობს. ნიშანი (სხეული) ახდენს მნიშვნელობის (სულის) წარმოდგენას ან რეპრეზენტაციას. ენა ფლობს საგანზე სიმბოლური მნიშვნელობის უნარს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ენის ეს უნარი შესაძლებელს ხდის ადამიანური მოღვაწეობის განსაკუთრებული სფეროების, კერძოდ ხელოვნებისა და მეცნიერების არსებობას. მოღვაწეობის ამ ფორმათა განსაკუთრებულობა ისაა, რომ ენობრივი გამოსახულებებით, სიმბოლოებით, სიტყვებით, ნიშნებით და ა. შ. ოპერირება ენაცვლება რეალური საგნებით მოქმედებას.

ამ თვალსაზრისით თვითონ სოკრატეს დიალექტიკური მეთოდი, რომელიც პლატონის დიალოგებში გარეგნულად კითხვა-პასუხის ფორმითაა წარმოდგენილი, შინაარსის მიხედვით საგნის არსების გამოვლენის მეთოდია. ამასთან დაკავშირებით განვიხილოთ პლატონის თვალსაზრისი მშვენიერების შესახებ, რომელიც გადმოცემულია დიალოგში „დიდი ჰიპია“. პლატონი წერს: ზოგჯერ ჩვენ მშვენიერს ვუწოდებთ ერთმანეთისგან სავსებით განსხვავებულ ნივთებს. მაგალითად, მშვენიერი ქალიშვილი, მშვენიერი ფაშატი. მშვენიერი ღირა, მშვენიერი ქოთანი. მაგრამ პლატონს აინტერესებს არა რომელიმე გრძნობად-კონკრეტული მშვენიერება, არამედ მშვენიერება საერთოდ, მშვენიერება თავისთავად, რომელიც აერთიანებს ამ განსხვავებულ საგნებს. „შენ გეკითხებიან არა იმას, თუ რას შეიძლება ეწოდოს მშვენიერი, არამედ იმას

18-284

2. „მაცნე“, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1986, № 4



თუ რა არის მშვენიერი“ [3, გვ. 62]. „რა არის-მეთქი მშვენიერი ყველასათვის და ყოველთვის?“ [3, გვ. 70] — კითხულობს იგი და ცდილობს განსაზღვროს მშვენიერების ცნება. პიპისა და სოკრატეს ამ დიალოგში მოაქვთ მშვენიერების რამდენიმე დეფინიცია: მშვენიერი არის ოქრო, მდიდარი, ჯანმრთელი, მშვენიერია ის, რაც შესაფერისია, რაც ვარგისია, სასარგებლოა, სასიამოვნოა. ჭეშმარიტების ძიებაში, რომელსაც სოკრატე დიალექტიკით, დაპირისპირებით აწარმოებს, მშვენიერების ეს დეფინიციები უარიყოფა. მშვენიერება, პლატონის აზრით, რომელიმე ცალკეული საგნის თუ არსების მშვენიერება კი არ არის, არამედ განყენებული ზოგადი იდეაა, რომელიც ამკობს და მშვენიერებას ანიჭებს მასთან წილნაყარ ყველა საგანს. ამრიგად, პლატონმა შენიშნა, რომ სხვადასხვა საგნებს ადამიანები ხშირად ერთი საერთო ნიშნით ახასიათებენ, ერთ საერთო სახელს არქმევენ, ცნობიერება კი ცდილობს ამ საერთოს დეფინიციის საშუალებით საგნის არსებას ჩასწვდეს. „ობიექტი — ენა — ცნობიერება“ — აი ის გზა, რომლითაც ადამიანი ჭეშმარიტების წვდომას ცდილობს.

პლატონის ფილოსოფიის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია, თუ რა მნიშვნელობა აქვს ცნებებს ყოფიერებისა და ცოდნისათვის. ამოდიოდა, რა სოკრატეს მოძღვრებიდან შემეცნებაში ცნებათა როლის შესახებ, პლატონი თვლიდა, რომ შემეცნება მიმართულია ნივთთა უცვლელი არსებისაკენ, ხოლო ცნებები ნივთების არსებათა ძირითად თვისებებს გამოთქვამენ. მაგრამ პლატონის მიხედვით, ცნებები მხოლოდ აზრები კი არ არის, არამედ უპირველეს ყოვლისა ინტელოგურ არსებანი არიან, ისინი არსებობენ თავისთავად, თვითყოფად. ასეთია სწორედ იდეები, ის საგნობრიობა, რომელსაც ეფუძნება და რომელიც პლატონის ფილოსოფიის დედააზრს გამოხატავს.

საკითხი ცნებათა მნიშვნელობის შესახებ ცენტრალურ საკითხს წარმოადგენდა არისტოტელესთვისაც. იგი, როგორც პლატონი, ვარაუდობს, რომ ცნებათა მეშვეობით ყოფიერების არსებითი და უცვლელი თვისებები შეიმეცნება. ცნება წარმოადგენს საგანთა თვისებების შემეცნების საშუალებას.

„ფიზიკაში“ არისტოტელე დიდ ყურადღებას უთმობს ისეთი ცნებების მნიშვნელობის გარკვევას, როგორცაა „ბუნება“, „მიზეზი“, „მოდრობა“, „ადვილი“ და სხვა. იგი ანალიზებს იმ სიტუაციებს, სადაც ამ სიტყვების ხმარება აუცილებელია. „ფიზიკის“ საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოადგენს ცნებათა ექსპლიკაციას მათი კონტექსტუალური ანალიზის გზით. არისტოტელე აზროვნების ძირითად ფორმად ცნებას მიიჩნევდა და არა მსჯელობას. ის, რასთანაც საქმე აქვს ცოდნას, არის მხოლოდ ცნება, რომელიც წარმოადგენს საგნის განსაზღვრებას არსებითი ნიშნების მიხედვით. ცნების უარყოფის შემთხვევაში საგნის შემეცნებაზე ლაპარაკი შეუძლებელია.

არისტოტელეს ლოგიკის ამოსავალია მსჯელობა, რამდენადაც, ეს ლოგიკური ფორმა საშუალებას იძლევა ვამტკიცოთ ჭეშმარიტება ან მცდარობა. ამიტომ ამოცანა მდგომარეობს იმ პირობების გაგებასა და ჩამოყალიბებაში, რომელიც საშუალებას იძლევა განვიხილოთ მსჯელობა მისი ჭეშმარიტობისა და მცდარობის თვალსაზრისით. როდესაც არისტოტელე კონცეპტუალური ანალიზის ჩატარებისას ცნებას აყენებდა ყურადღების ცენტრში, მაშინ იგი ლინგვისტური მოსაზრებებიდან გამოდიოდა.

არისტოტელე მიზნად ისახავდა „ყოფიერების“, „არსის“ კანონზომიერების დადგენას. ამ მიზნით მან „ფიზიკაში“ განიხილა მიზეზობრიობის, მოძრაობის, სივრცის, დროის და სხვა პრობლემები კატეგორიული ანალიზის ასპექ-

ტით, და არა ფიზიკური საგნობრიობის თვალსაზრისით. მკვლევარები მიუთითებენ, რომ არისტოტელე კატეგორიების კლასიფიკაციას გრამატიკის მიხედვით აწარმოებდა. იგი ამტკიცებდა, რომ ყოველი სიტყვა, რომელიც აღებულია სხვასთან ყოველგვარი დამოკიდებულების გარეშე, აღნიშნავს ან არსებობას, ან რაოდენობას, ან თვისებრიობას, ან მიმართებას, ან ადგილს, ან დროს, ან მდგომარეობას, ან ფლობას, ან მოქმედებას, ან ვნებას. არისტოტელესათვის „კატეგორიები“ უზოგადესი გამოთქმებია, ყოფიერების უმაღლესი გვარებია, და მათში, როგორც უზოგადეს ცნებებში, გამოთქმულია სინამდვილის უზოგადესი მხარეები.

არისტოტელესთან ფორმა, რომელიც ანიჭებს მატერიას გარკვეულობას, საგნის არსებობაა, მატერია კი ნივთების სუბსტრატია, ე. ი. ის, რაც საფუძველში ძეგს, როგორც ქვემდებარე ონტოლოგიურად და გრამატიკულად, პირველი მატერია, ანუ „სუბსტრატი“, ყოველგვარ ფორმას მოკლებულია, ხოლო როდესაც იგი ფორმას შეიძენს ცალკეული საგნის სახით წარმოდგება. ცალკეული ნივთი წარმოიშობა და იცვლება, თავად მატერია კი, როგორც მათს საფუძველში მდებარე, მუდმივი და უცვლელია. იგი არის პოტენცია, შესაძლებლობა, პირველი სუბსტრატი, ყოფიერების პირველსაფუძველი. არისტოტელე სუბსტრატს უწოდებს იმას, რაზეც გამოითქმის ყველა დანარჩენი, ხოლო თვითონ კი არაფერზე არ გამოითქმის. აქ იგი სუბსტრატის გრამატიკულ ახსნას გვაძლევს.

არისტოტელესთან ფორმა, რომელიც მატერიას აძლევს გარკვეულობას, არის პირველი არსება, სუბსტანცია. არისტოტელე უშვებს მეორე სუბსტანციის არსებობასაც, რომელიც პირველის ცნებითი შინაარსია და არა ის, რაც სხვაზე გამოითქმის. პირველი სუბსტანცია სუბსტანციაა არსებობის მიხედვით, იგი პირველი სუბიექტია; ის არაფერზე გამოითქმის. მეორე სუბსტანცია სუბსტანციაა ცნების მიხედვით. არისტოტელე წერს, რომ გარკვეული აზრით, მატერიაც შეიძლება სუბსტრატად ჩავთვალოთ, ვინაიდან იგი არაფერზე გამოითქმის, კონკრეტულია, გამოითქმის სუბიექტია; მაგრამ სუბსტანციის ამგვარი გაგება არისტოტელესათვის მიუღებელია, რადგან მას მიაჩნია, რომ არსება შეიძლება იყოს მხოლოდ ფორმა და არა მატერია.

არისტოტელეს მსჯელობაში ფორმისა და მატერიის შესახებ ლინგვისტურ ელემენტებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ხშირად იგი თავის თვალსაზრისს ასაბუთებს ისეთი მოსაზრებებით, რომელთაც ზოგჯერ ლინგვისტური ხასიათი აქვთ. არისტოტელე თავადვე ამჩნევდა იმ საშიშროებას, რომელიც ელის ენაზე დაყრდნობილ აზროვნებას. იგი განასხვავებდა ერთმანეთისაგან ნომინაციებს (სიტყვიერ ფორმულირებას, რომელიც აკავშირებს სახელსა და საგანს) და დეფინიციას (ე. ი. საგნის არსების ლოგიკურ განსაზღვრებას). განსაზღვრება არის ნივთების არსის, მათი შინაარსის სიტყვიერი ფორმულირება. ენა მიუთითებს რეალურ საგნებზე. ისეთი სიტყვების ანალიზისას, როგორცაა „ჯღომა“, „სეირნობა“, „ჯანმრთელად ყოფნა“, ჩვენ არსებულად უნდა ჩავთვალოთ ის, რაც სეირნობს, რაც ზის, ფლობს ჯანმრთელობას — წერს არისტოტელე, ე. ი. არსება ისეთი რამ არის, რასაც სპეციალური ყოფიერება გააჩნია.

ეს გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ სუბიექტი პირველადია მის ატრიბუტებსა და აქციდენციებთან მიმართებაში, საგანი წინ უსწრებს თვისებას,

რაც ენობრივ გამოთქმებშიც ჩანს. ერთი სიტყვით, ენა გაგებულია როგორც ობიექტური ვითარების გამოხატულება.

არსებობის შესახებ არისტოტელესეული კონცეფციის თუნდაც ამ მოკლე მიმოხილვისას კარგად ჩანს, რომ არისტოტელეს მეცნიერული ინტერესების სფეროში ენის ფილოსოფიური პრობლემაც შედიოდა. თუმცა იგი იკვლევდა ამ საკითხს არა სპეციალურად, არამედ ეხებოდა მას იმ ონტოლოგიურ და გნოსეოლოგიურ საკითხებთან მიმართებაში, რასაც იგი იკვლევდა. ეს არ იყო შემთხვევითი, რადგან სიტყვა არისტოტელესათვის იყო პირველ რიგში ბგერითი კომპლექსები. ის სულიერი შინაარსი კი, რის ნიშანსაც სიტყვა წარმოადგენდა, ენის სფეროს მიღმა იმყოფებოდა. არისტოტელე თვლიდა, რომ სიტყვები სემანტიკური არიან მხოლოდ „შეთანხმებით“ და არ შეიცავენ თავისთავში არაფერს „ბუნებრივად“. „არ არსებობენ სახელები ბუნებრივად — წერდა იგი — ისინი მაშინ იძენენ პირობით მნიშვნელობას, როდესაც ხდებიან სიმბოლოები“ [4, გვ. 60]. სიტყვები, რომლებიც ბგერებით გამოიხატება, სულის წარმოდგენების სიმბოლოებია, ხოლო ასობით გამოხატულნი — სიტყვათა სიმბოლოებს წარმოადგენენ. სახელი არის პირობითი მნიშვნელობის ბგერა, რომლის (ბგერის) ცალკეული ნაწილები თავისთავად არაფერს ნიშნავს.

ყოველივე ზემოთქმულიდან ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჯერ კიდევ ანტიკურ აზროვნებაში მიაქცევს ყურადღება ენასა და შემეცნებას სოკრატის არსებულ კავშირს. სიტყვა, სახელი, როგორც არსებული რეალობის აზრობრივი გამოხატულება, შემეცნების პროცესში მონაწილეობს. ჰერაკლიტესა და მისი მიმდევრების მიხედვით, იგი გვეხმარება საგნის შემეცნებაში, რადგან მისი არსის ამსახველია. ატომისტები თვლიან, რომ სახელი ადამიანის მიერ არის დადგენილი. იგი არ არის დასახელებულის არსის ამსახველი, მაგრამ შენეცნებისათვის აუცილებელია იმ აზრით, რომ საგნები ერთმანეთისაგან განვასხვავოთ. პლატონი მიუთითებდა საგანზე მინიშნების უნარზე, რომელიც ენას აქვს. არისტოტელე ონტოლოგიური საკითხების განხილვისას ნაწილობრივ იყენებდა ენაში დამკვიდრებულ ამა თუ იმ სიტყვახმარების მნიშვნელობებს. ლოგიკურ-გრამატიკული სტრუქტურები არისტოტელესთან შეესაბამება და დაფუძნდება ონტოლოგიური დანაწილების მეშვეობით.

ამრიგად, ანტიკურ ფილოსოფიაში ენის შემეცნებითი ფუნქციის კვლევას დასაბამი მიეცა, მაგრამ მნიშვნელოვანი შედეგები ჯერ კიდევ არ ყოფილა მოპოვებული. მიუხედავად ამისა, პრობლემა, რომელიც ანტიკურ ფილოსოფიაში გამოიკვეთა, შემდგომი ეპოქების აზროვნებაში სულ უფრო და უფრო მეტ ყურადღებას იქცევს, ხოლო ახალ დროში იგი ენის ფილოსოფიის სახით წარმოსდგა.

Н. Н. ТОМАШВИЛИ

## ГЕНЕЗИС ПРОБЛЕМЫ ПОЗНАВАТЕЛЬНОЙ ФУНКЦИИ ЯЗЫКА

Резюме

В работе исследуется генезис проблемы познавательной функции языка, утверждается, что еще в античной философии была обнаружена связь между языком и мышлением. Решая вопрос о существовании

имен по «природе» или по «установлению», античные мыслители Гераклит, Демокрит, Платон, Аристотель и др. разработали определенные представления о природе языка. Платон указывал на сигнификативную функцию языка, а Аристотель проводил параллель между онтологическими и логико-грамматическими структурами.

Несмотря на то, что античные мыслители не смогли выработать законченную научную теорию о познавательной сущности языка, выдвинутая ими проблема в дальнейшем сыграла большую роль в деле исследования познавательной функции языка.

#### ლიტერატურა

1. კ. შარკვი, დ. ნეგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. 1, თბილისი, 1975.
2. არისტოტელე, რიტორიკა, თბილისი, 1981.
3. პლატონი, ონო, დიდი პილა, მენონი, თბილისი, 1974.
4. Античные теории языка и стиля, М.-Л., 1936.
5. Материалисты древней Греции, М., 1955.
6. Платон, Соч., т. I, М., 1968.
7. Философская энциклопедия, т. V, М., 1970.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა

## ანასტასია ზაპარიამ

### მხატვრული სიმბოლოს ბუნებისათვის

#### 1. სიმბოლოს ცნების შესახებ

ფილოსოფიური, მეთოდოლოგიური, ესთეტიკური, ხელოვნებათმცოდნეობითი და ფართო მნიშვნელობით აღებული კულტუროლოგიური პრობლემების არა თუ გადაჭრა, არამედ დაყენებაც კი შეუძლებელია სიმბოლოს ცნების დადგენის გარეშე. სიმბოლო გვევლინება კულტურის ყოველსომომცველ კატეგორიად.

სიმბოლო გვევლინება ისეთ ნიშნად, რომელშიც გრძობად-თვალსაჩინო ხატის მეშვეობით გამოთქმულია არაგრძობადი იდეური შინაარსი.

სიმბოლოს შინაარსი მეტად რთულია. მისი ამოცნობა გარკვეულ გაწაფულობას, ჩვევას მოითხოვს. ზოგი სიმბოლოს მნიშვნელობის ამოსაცნობად გარკვეული კონტექსტია საჭირო, რადგანაც ერთი და იგივე საგანი სხვადასხვა კონტექსტში განსხვავებული შინაარსების სიმბოლიზაციად შეიძლება წარმოგვიდგეს.

სიმბოლოს ბუნებისათვის დამახასიათებელია პოლიემანტიზმი (შავი ფერი სიმბოლოა სიკვდილის, დარდის, სიბნელის, გაუნათლებლობის), სინონიმია (მშვიდობის სიმბოლოა მტრედიც, პალმის რტოც).

სიმბოლოს „მატერიალური სხეული“ გრძობად-ხატოვანი ფორმითაა გაფორმებული. მას მოაქვს გარკვეული თვალსაჩინო, კონკრეტული, ხატოვანი შინაარსი, რომელიც ხშირად სქემატურია, მუდამ მოითხოვს ინტერპრეტაციას (ღია ინტერპრეტაციისათვის), მუდამ მოსაზრებადია.

სიმბოლო ხასიათდება მრავალჯერადი და რთულად გაშუალებული კავშირით უშუალოდ მოცემულ გარეგნულ, არაძირითად თვალსაჩინო ხატოვან შინაარსსა და მეტად მნიშვნელოვან ძირითად შინაარსს შორის (ეს უკანასკნელი წარმოადგენს ძირითად იდეას, არსს, სიმბოლოს შინაგან არსებას), სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სიმბოლო აღნიშნავს უფრო ღრმა და ფართო, ხშირად აბსტრაქტულ შინაარსს თვალსაჩინო ხატის წყალობით.

სიმბოლოს ერთი დამახასიათებელი თვისება ისაა, რომ იგი ამგები, მოდელირებადი ბუნებისაა. ეს გარემოება ვლინდება იმაში, რომ სიმბოლო თავად აგებს თავის რეალობას, თავის საწყაროს.

მართალია, სიმბოლოში ასახება რეალობა, მაგრამ ეს რეალობა სინამდვილის ასლი, ფოტო არაა. სიმბოლო ერთ-ერთი გზაა, რომელსაც მივყავართ სინამდვილეზე, საგნებსა და ადამიანურ ცხოვრებაზე ობიექტური შეხედულების ჩამოყალიბებისაგან. შეიძლება ითქვას, რომ სიმბოლო არ წარმოადგენს უკვე მზა, მოცემული რეალობის ასახვას, მის იმიტაციას, არამედ იგი ამ რეალობის პოტენციის, მისი ყოველი მხარისა და ასპექტის გახსნაა. ამგვარად, იგი თითქოს გარკვეულ წინწამსწრებ მოდელირებას ახდენს საწყაროსას.

სიმბოლო აუცილებელი და საჭიროა გონითი მოღვაწეობის აბსოლუტურად ყველა სფეროში (მეცნიერებაში, ხელოვნებაში, რელიგიაში, პოლიტიკაში), მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ადამიანის გონითი მოღვაწეობის ყველა სფერო სიმბოლოურია, როგორც ამას ე. კასირერი და ს. ლანგერი ფიქრობენ. გონითი მოღვაწეობის ყველა სფეროში იხმარება სიმბოლოებიცა და არა სიმბოლოური ფორმებიც. სიმბოლო, ჩვენი მოსაზრებით, პრინციპულად არაგაჩნობადი გონითი შინაარსის თვალსაჩინო ხატით გამოსახვის ცდაა.

სწორედ აქ უნდა ვეძიოთ სიმბოლოს არსებობისათვის საჭირო უმთავრესი პირობა, რადგანაც, ვთქვათ, თავისთავად ცნება (განსჯისეული, თუ გონებისეული) არ არის სიმბოლო. სიმბოლოა მხოლოდ ის გრძობად-თვალსაჩინო ხატი, სადაც პრინციპულად არაგაჩნობადი გონითი შინაარსის გამოსახვა იქნება ნაცადი.

სიმბოლოები განსხვავდებიან იმისდა მიხედვით, თუ რა ტიპის გონითი შინაარსის გამოსახვა ეკისრება მათ. მაშ, სიმბოლოთა კლასიფიკაციის საფუძვლად ადამიანის გონითი მოღვაწეობის სფეროები უნდა მივიჩნიოთ. საქმე იმაშია, რომ ადამიანის გონითი მოღვაწეობის ყოველ სფეროში — იქნება ეს მეცნიერება, ხელოვნება, თუ რელიგია და სხვა — არსებობს პრინციპულად არაგაჩნობადი გონითი შინაარსი, რომელიც საჭიროებს აღნიშვნას და გამოსახვას. სწორედ ეს ფუნქცია ეკისრებათ სიმბოლოებს. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს აღნიშვნა სხვადასხვა ხასიათისაა. ვთქვათ, როდესაც საქმე მათემატიკურ, ქიმიურ და ლოგიკურ სიმბოლოებთან გვაქვს, აღნიშვნა პირობით, კონვენციურ ხასიათს ატარებს. მათ სიმბოლოები შეიძლება ვუწოდოთ. მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი არაგაჩნობადი შინაარსის აღმნიშვნელ ნიშნებად გვევლინებიან. მეცნიერების სიმბოლოებს არა აქვთ დამოუკიდებელი მნიშვნელობა, ეს უკანასკნელი კონტექსტზეა დამოკიდებული. ყოველი მეცნიერისათვის სიმბოლოს ფორმის არჩევანი საერთო ჯამში შეუზღუდავია, თვითნებურია. ვთქვათ, საუფროთია თუ რა გარეგნული ნიშნით აღინიშნება დიფერენციალი ან ინტეგრალი, რა ერქმევა წყალბადის ქიმიურ ელემენტს — H თუ Cu. მთავარია, რომ მეცნიერების სიმბოლო მოსახერხებელი მეცნიერული ინსტრუმენტი იქნეს, ადვილად დასამახსოვრებელი, მარტივად გამოსახატი.

მეცნიერების სიმბოლო გამოიცხავს სხვადასხვანაირ ინტერპრეტაციებს. მართალია, მათემატიკურ ნიშნებს თავდაპირველად ჰქონდათ სიმბოლოური მნიშვნელობა, მაგრამ დღეს ისინი განთავისუფლდნენ ასეთი მნიშვნელობისაგან<sup>1</sup>.

მეცნიერების სიმბოლოთა მიერ მოტანილი შინაარსი, კანტის ტერმინოლოგიით განსჯისეულია და არა გონებისეული. შეიძლება ითქვას, რომ ცალკეული მეცნიერების სიმბოლოები პირობითი ნიშნებია, მათი კავშირები კი (მათემატიკური, ლოგიკური და ქიმიური ფორმულები) ერთგვარი „მოდელებია“ (კანტის ტერმინოლოგიით „სქემები“), რომელთაც განსჯისეული შინაარსის სტრუქტურათა „თვალსაჩინო“ გამოსახვა ევალებათ.

საკუთრივ სიმბოლოსთან საქმე გვაქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც რაიმე ნიშანი (გამოსახულება) გამოსახავს (აღნიშნავს, მიუთითებს) არა განსჯისეულ, არამედ გონებისეულ, გონით, პრინციპულად არათვალსაჩინო და განსჯის კატეგორიებში „ჩაუტყვევლ“ შინაარსს. ამგვარად, ჭეშმარიტ სიმბოლოდ უნდა ჩაითვალოს იმგვარი ნიშანი (გამოსახულება), რომელიც მეცნიერების ენით გამოუთქმელი შინაარსის გამოთქმას ცდილობს.

ცნობიერების ყოველგვარი ის შინაარსი, რომელიც „ეტევა“ დროისა და სივრცის ფორმებში და განსჯის კატეგორიებში, მეცნიერებისათვის პრინციპულად მისაწვდომი შინაარსია, იგი სავსებით კარგად გამოისახება „სქემებში“, მოდელურად, ფორმულურად. საკუთრივ სიმბოლო კი მოხმობილია იმგვარი შინაარსების გადმოსაცემად, რომლებიც ვერ ეტევა დროისა და სივრცის ფორმებსა და განსჯით კატეგორიებში; ეს ისეთი შინაარსებია, რომელთა წვდომისათვის განსჯა, მხოლოდ „ცივი გონება“ არაა საკმარისი. ესაა რელიგიური, ზნეობრივი თუ მხატვრული შინაარსები. ამგვარი შინაარსების გადმოსაცემად წვდომის ორგანოებია რწმენა და გრძნობა, ხოლო ის, რისი დანახვისათვისაც გრძნობა, ემოცია, რწმენაა აუცილებელი, ღირებულებითი ბუნებისაა. ღირებულებებს კი ღირებულებითი ცნობიერება სწვდება და არა განსჯისეულოგიურად. ჭეშმარიტი სიმბოლოები სწორედ ღირებულებითი ცნობიერების ფორმებად გვევლინებიან. შეიძლება ითქვას, რომ ჭეშმარიტი სიმბოლო ღირებულების გამომხატველი ნიშანია, ხატია.

ჭეშმარიტ სიმბოლოებს მეცნიერების სიმბოლოებთან ერთ კლასში აერთიანებს საერთო ფუნქცია: გნოსეოლოგიური, შემეცნებითი ფუნქცია. გავიხსენოთ რომ ამ ფუნქციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რომანტიზმში, მოგვიანებით კი სიმბოლიზმში.

ამ მხრივ განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია წმინდა მამა კლიმენტის შეხედულებანი. მისი მოსაზრებით, სიმბოლო საჭიროა იმისათვის, რომ მრავალსახედ დაიბეჭდოს ჭეშმარიტება, რომელიც მხოლოდ მათთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი, ვინც ჭეშმარიტების ძიებას შესწირა თავი.

კლიმენტის აზრით, ღვთის ვერავითარი გაგება ვერ გამოიციემა წერილობით. წმინდა წიგნებში, გადმოცემებში დამარხულია ჭეშმარიტების მარცვლები. რადგან საგანთა დასაბამი დაფარულია ჩვენგან, ჭეშმარიტება გადმოგვიცემა ენიგმებით, სიმბოლიკური ალეგორიების, მეტაფორების და სხვა მსგავსი სახეების ფორმით. სიმბოლიკურ ფორმებს ქვეშ დაფარულ ჭეშმარიტებას წაიკითხავს ის, ვინც მიაღწევს გნოსტიკურ სრულყოფას.

მაშ, კლიმენტის სიმბოლიზმი მისი გნოსეოლოგიის ბუნებრივ ნაშევრად გვევლინება. სიმბოლიზმი როგორც თანადროული, ისე ძველებრადული, ძველ-ეგვიპტური და პითაგორული, კლიმენტის მიხედვით, შეგნებული გნოსეოლოგიური მიზანდასახულებია... ბევრი რამ ბოლომდე უთქმელია და ნაწყვეტად გადმოცემული, ბევრიც კომპოზიციურად დახლართული, ყოველივე ეს გადმოცემის განსაკუთრებული ხერხია — სიმბოლიკური, კლიმენტის მიხედვით.

სიმბოლიკური ფორმამ ისე ოსტატურად უნდა დაფაროს ჭეშმარიტება, რომ ამ დაფარვით საჩინო ჰყოს და იღუშაღყოფით გაამჟღავნოს იგი. გამჟღავნება უნდა მოხდეს შემკული სახით, რადგან ღვთაებრივი ჭეშმარიტება სიმბოლიკითაა შემკული. სიმბოლიკური სახე, კლიმენტის აზრით, აუცილებელია ლიტერატურულ ძეგლში მკითხველის სულიერი ძალების დასარაზმებად, მისი გონების მისამართად ყოფიერების უმაღლეს ჭეშმარიტებათა შემეცნებისაკენ.

სიმბოლიკური გონება ეხმარება მაჰიებელ გონს, აფხიზლებს გონებას. ფორმა (კლიმენტის ტერმინოლოგიით — გარსი), რომლის შიგნითაც ჭეშმარიტებაა დაფარული, წინააღმდეგობრივია, მასში შესაღწევად გულისყურის დაძაბვაა საჭირო [8].

სიმბოლო მეცნიერებისათვის მიუწვდომლის წვდომის საშუალებად ცხადდება. შელინგისა და მისი მიმდევრებისათვისაც გნოსეოლოგიური თვალსაზრის-

სით დგას ხელოვნება მეცნერებაზე მაღლა. მართლაც, სიმბოლოს აქვს უნარი მასში ნაგულისხმევი იდეალური შინაარსის არა მარტო უბრალო ილუსტრირებისა, არამედ იგი აუცილებლობით მოითხოვს მისი შემეცნების, წვდომის, მისი გაგება-გახსნის აქტებს.

მაგრამ საქმე ისაა, რომ ჭეშმარიტი სიმბოლოსათვის გნოსეოლოგიური ფუნქცია მხოლოდ ერთ-ერთი, არაძირითადი, არაწამყვანი, არა განმსაზღვრელი ფუნქციაა. მისი მთავარი ამოცანაა ღირებულად განგვაცდევინოს სიმბოლოთი გამოხატული იდეალური შინაარსი, დაგვანახოს მისი მიმზიდველობა, შეგვაყვაროს, რწმენისა და იმედის საგნად გვიქციოს იგი. აქედან გამომდინარე, ადვილი დასანახია, რომ ჭეშმარიტი სიმბოლოები მიმართულია არა მარტო და არა იმდენად ადამიანის შემეცნებითს უნარზე, არამედ მის ნებელობასა და გრძნობა-ემოციების უნარზე. ჭეშმარიტი სიმბოლოს საქმე აქვს პიროვნებასთან, როგორც მთლიანთან, როგორც ცოცხალი, პრაქტიკული, ეთიკური, რელგიური, შემეცნებელი და ესთეტიკური სუბიექტების მთლიანობასთან. სხვა სიტყვებით, სიმბოლოს საქმე აქვს თვითონ პიროვნებასთან და არა მის ცალკეულ უნარებთან.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სიმბოლო თავისებური, განსაკუთრებული სახის ნიშანია. ამ განსაკუთრებულობას თავისი საფუძვლები აქვს, კერძოდ: 1. სიმბოლო აღნიშნავს, იგი ნიშანია არა კონკრეტული საგნებისა, არამედ აბსტრაქტული იდეებისა (ეს ეხება მეცნიერულ სიმბოლოებსაც, ისინი აღნიშნავენ განყენებულ იდეებს); 2. სიმბოლო (გარდა მეცნიერების სიმბოლოებისა) არა მარტო აღნიშნავს ამა თუ იმ იდეას, არამედ მოითხოვს მისდამი დამოკიდებულებასაც, გარკვეულად განგვაწყობს (მაგალითად მშვიდობის სიმბოლო მტრედი დადებითად განგვაწყობს). ეს იმიტომ, რომ სიმბოლოს შინაარსში იდეასთან ერთად იგულისხმება ამ იდეის ღირებულებაც. რამდენადაც ღირებულება სათანადო გრძნობით იწვდომება, ამდენად, სიმბოლოს გაგებას, წვდომას გონებასთან ერთად გრძნობაც სჭირდება, სიმბოლოები ინტელექტუალურ-ემოციური ბუნებისანი არიან.

## 2. მხატვრული სიმბოლოს სტრუქტურა

ზემოთ უკვე ითქვა, რომ სიმბოლოთა კლასიფიკაცია უნდა მოხდეს ცნობიერების ფორმების მიხედვით (უფრო ფართოდ ადამიანური აქტივობის ფორმების მიხედვით). აქტივობის, ან ცნობიერების ამა თუ იმ ფორმაში მოქცევა უცილობლად თავისებურ გავლენას მოახდენს სიმბოლოზეც. ხელოვნებაში, მხატვრული ქმნილების ქსოვილში მოხვედრილი სიმბოლოც უნდა შეეგუოს ესთეტიკური ცნობიერების სტრუქტურას, მის ბუნებას. ესთეტიკური ცნობიერების მთავარი მახასიათებელი კი, როგორც ცნობილია, სახეებით აზროვნებაა, გონით-იდეური შინაარსით საეჭვო გრძნობადი ხატებით აზროვნება. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ცნობიერების შინაარსის გამომსახველ-აღმნიშვნელ ფორმათაგან სიმბოლო ყველაზე ახლოს მხატვრულ სახესთან დგას. ყოველ შემთხვევაში, ამის თქმა შეგვიძლია სიმბოლოს ყველაზე განვითარებულ ფორმაზე, ყველაზე წმინდა ფორმაზე — მხატვრულ სიმბოლოზე. მხატვრული სახე და სიმბოლო მეტად ახლოს დგანან ერთმანეთთან, იმდენად ახლოს, რომ მათი გარჩევა ზოგ შემთხვევაში ძნელდება. ეს არ უნდა გავიგოთ ისე, რომ ხელოვნებაში მოქცეული და მხატვრულ სიმბოლოდ გამოვლენილი სიმბოლო

თავის სიმბოლურ ბუნებას დაკარგავს და მხატვრულ სახედ იქცევა. როგორც მხატვრული სიმბოლო, ისე მხატვრული სახე გარკვეული სპეციფიკით ხასიათდება. ქვემოთ ჩვენ შევეცდებით ვაჩვენოთ ეს სპეციფიკა მათი შეპირისპირებითი დახასიათების გზით. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ სიმბოლო, როგორც ჩანს, ისევე როგორც მხატვრული სახე, პორიფონტალური და ვერტიკალური სტრუქტურით იდენტურნი უნდა იყვნენ.

მხატვრული სახე ობიექტურად არსებულის აზრობრივი ასახვაა, სხვა სიტყვებით, ახალი მხატვრული სინამდვილის მოდელურად მბადი სტრუქტურაა. ამდენად, მხატვრული სახე შეზღუდულია საკუთარი ყოფიერების იმანენტობით, რომელიც მხოლოდ გარეგნულ ჰერეტიკაში იხსნება, ჰერეტიკთაა ფასდადებულნი. სიმბოლო გარეგნული ჰერეტიკის ფარგლებს სცილდება. გარეგნული ჰერეტიკა მხოლოდ პირობაა მისი გრძნობად-ხატოვანი ფორმის გამოსავლენად. მხატვრული სახე საშუალებაა იდეისაკენ ზეასვლისა, იდეის გრძნობადი გაცხადებაა. მასში სინამდვილის მხოლოდ ერთი მომენტია მოცემული — ის, რაც უშუალოდ ეძლევა ადამიანს. მხატვრულ სახეში პირველ პლანზე გამოდის აეტონომიური, თავისთავადი ჰერეტიკით ღირებულება, ვთქვათ, ლ. გუდიაშვილის „ფრესკა“ სავსებით აეტონომიური, თავისთავადი ღირებულების მქონე მხატვრული სახეა; მისი ჰერეტიკა-ტეობა შეუძლია ყველას, იგი არ მოითხოვს სპეციალურ მხატვრულ განსწავლულობას, არ მოითხოვს არც ინტერპრტირებას, არც განსჯას.

იდეური საზოგნობა, ან საზოგნო იდეურობა ერთიან და განუყოფელ მთელს ქმნის მხატვრულ სახეში.

სიმბოლოში ხორციელდება გამოსვლა წმიდა მხატვრულობიდან, სხვა სიტყვებით, იდეურობისა და საზოგნოების საზღვრებიდან. თუ მხატვრულ სახეში წინა პლანზე წმინდა მხატვრული ფუნქციების განხორციელება წამოიწევს, სიმბოლოში ღირებულებათა სამყაროსთან მისი მიმართებაა განხორციელებული.

სიმბოლოში საგნის იდეა და საგნის სახე ურთიერთგამქოლია. იგი სახეში გამოვლენილის ჰერეტიკა.

სიმბოლო მოქმედი ბუნებისაა, განხორციელებისა და გამოქმდენების უამრავი პერსპექტივა აქვს. ისევე როგორც მხატვრული სახე, სიმბოლოც გარკვეული ონტიური გარკვეულობით ხასიათდება: იგი წარმოდგენილია მატერიალური, გრძნობად-აღქმადი ფორმით, რომელსაც გარკვეული იდეური შინაარსი მოაქვს. ის გრძნობადი მასალა, რომელსაც იყენებს მხატვრული სიმბოლო პრინციპულად არაგრძნობადი გონითი შინაარსის გადმოსაცემად, სხვადასხვაგვარია: სიტყვა, ბგერა, ფერი, უესტი.

მხატვრულ ნაწარმოებში, — იქნება ეს პოეზია, სახვითი ხელოვნება, თუ კინოხელოვნება, — განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფერთა სიმბოლიკას. ამას თავის დროზე დიდი ყურადღება მიაქცია გოეთემ და საინტერესო გამოკვლევაც მიუძღვნა მას. ჩვენ აქ ცალკე კვლევის საგნად ვერ ვაქცევთ ამ პრობლემას, მხოლოდ შევჩერდებით იმდენად, რამდენადაც იგი მხატვრული სიმბოლოს ბუნების გახსნაში დაგვეხმარება.

გოეთეს თეორია საინტერესოა იმით, რომ აქ ფერის ფენომენის ფსიქოფიზიოლოგიური ინტერპრეტაციაა მოცემული. ნაცვლად ტრადიციული „ფიზიკური“ კვლევისა, სადაც პირველ პლანზე იდგა მოვლენათა აბსტრაქტული სქემა, გოეთე გეთავაზობს თავად მოვლენისა და ამ მოვლენის აღმქმელი ადამ-

მიანის გამოწვევლივით ანალიზს. გოეთე ეხება ფერთა ზემოქმედების საკითხებს ადამიანის სულიერ განწყობაზე, საინტერესოდ აჯამებს ჩატარებულ ექსპერიმენტებს და გვაძლევს ფერთა სიმბოლიკის სრულიად ახლებურ ინტერპრეტაციას. ფერები, გოეთეს მიხედვით, ადამიანებში გარკვეულ ემოციურ განწყობას იწვევს. ფერს ისევე საპიროებს თვალი, როგორც სინათლეს. ფერი განსაკუთრებულად მოქმედებს ადამიანის სულიერ განწყობაზე. ყვითელი (უახლოესი ფერია სინათლისა) გამოირჩევა „ნათელი ბუნებით“, „მხიარულებით“, „რბილი მიმზიდველობით“ და „სითბოთი“. მაგრამ ყვითლით მიღებული მხიარული და კეთილშობილური შთაბეჭდილება მომენტალურად ქრება, თუ მას რაღაც დროით გაერევა ცივი ფერი. ვთქვათ, გოგირდისფერი, რომელსაც მწვანე დაჰკრავს, უსიამო შეგრძნებას იწვევს [9, გვ. 314].

სულ სხვა შეგრძნებას იწვევს ყვითლისა და წითლის ნარევი. მოყვითალო წითელში აქტიური მხარე მაქსიმალურ ხარისხშია აყვანილი და არც გასაკვირია, რომ ენერგიული, ჯანმრთელი და მრისხანე ადამიანები განსაკუთრებულ სიხარულს განიცდიან ასეთი ფერების გარემოცვაში.

ლურჯი, მოწითალო-ლურჯი და მოლურჯო-წითელი ქმნიან მოუსვენარ და სევდიან განწყობას. ლურჯი ყვითლის საწინააღმდეგო თვისებებით ხასიათდება. მასში შეთავსებულია ორი საპირისპირო განცდა: აღგზნება და სიმშვიდე.

მოწითალო-ლურჯი წითელი ელფერის გაძლიერებით კიდევ უფრო მეტად იწვევს მოუსვენრობის განცდას.

წითელი სერიოზულობის, ღირსებისა და სათნოების შთაბეჭდილების შემქმნელია. ამ ფერის ზემოქმედება ისევე ერთადრეთია, როგორც მისი ბუნება. ამ ფერის მაღალი ღირსებების გამო არაერთხელ გვიწოდებია მისთვის მეწამული, თუმცა მეწამული უფრო ლურჯისააქენ იხრება [9, გვ. 317, 318].

მწვანე პირველადი ფერების — ლურჯისა და ყვითლის — შერევით მიიღება. ეს ფერი სულიერად გვაშვიდებენ და სრული კმაყოფილების მომგვრელია თვალისათვის. აგრძელებს რა ფერმწერთა ტრადიციებს, გოეთე ფერებს ორ დიდ ჯგუფად ჰყოფს: „დადებითად“ და „უარყოფითად“. თუ „დადებითი“ ანუ თბილი ფერები იწვევენ მხნეობას, გვააქტიურებენ, გვაფხიზლებენ, „უარყოფითი“ ცივი ფერებისათვის დამახასიათებელია მოუსვენარი, სევდიანი, სიცარიელის განწყობა (გაციხსნოთ ვრუბელისა და რერიხის ტილოები. ვრუბელის „დემონში“ სწარბობს იასამნისფერი და ლურჯი ტონები, რომელთა საშუალებითაც მხატვარი სევდისა და დაუკმაყოფილებელი ძიების სიმბოლოს ქმნის; ასევე ხშირად მიმართავს რერიხი ცივ დაშულ ფერებს და ელფერებს. ცივი ინტენსიური გამით იგი დიდ ფერით სივრცეებს და პლანებს იმუშავებს). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გონება მუდმივად აწარმოებს ვარჯიშს ფერების სისტემატური ცვლილება-გადახალისებით, ამდენად არ არსებობს ერთი აღიარებული ფერი უნივერსალური თვისებებით. აქედან გამომდინარეობს, ალბათ, ისიც, რომ სხვადასხვა ერებს განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ ფერებისადმი. გოეთე მიდის იმ დასკვნამდე, რომ ტანსაცმლის ფერის მიხედვით შეიძლება ადამიანის ხასიათი გამოვიცნოთ:

«Так можно наблюдать отношение отдельных цветов и их соотношение к цвету лица, возрасту и положению» [9, გვ. 326—327].

რამდენადაც ცნობილია, გოეთე ფერის პრობლემის კვლევას ფერწერის მოთხოვნებიდან გამომდინარე შეუღდა და დაუბრუნდა მას ფერებსა და მათ

შეხამებაზე გამდიდრებული მწყობრი სისტემით. გზადაზა მან იკვლია ფერთა ფიზიკა, ფიზიოლოგია და ფერთა ფსიქოლოგია.

«То, что принес Гете в практику искусства, в частности его цветовой круг, как схема, синтезирующая ряд его обобщений, вошло в общий круг знаний о цвете и живет до сих пор» [10, გვ. 348].

კოლორიტის პრობლემატიკის განხილვისას გოეთე არჩევს პარმონის სამხარი გამოვლენას: 1) დიდებული ეფექტი მიიღება თბილი (აქტიური) ფერების სიმრავლით. ამ პარმონის შეიძლება დაემატოს მცირე ღოზით ისფერი, ლურჯი, მწვანე.

2) საამო ეფექტი მიიღება ლურჯით, იისფრით და მეწამულით, ცივი ფერებისაყენ ერთგვარი გრადაციით, შესაძლებელია აგრეთვე მცირე რაოდენობა ყვითლისა და მოწითალო-წითლისა. მწვანე კი უნდა შემოვიტანოთ დიდი რაოდენობით.

3) ბრწყინვალე და სასიამოვნო პარმონია შეიქმნება მხოლოდ მაშინ, როცა ყველა მეზობელი ფერი ერთმანეთთან წონასწორობაში მოვა. მართალია, ფერთა ასეთი გამოყენება „დაუსრულებელ მოდიფიკაციებს“ ითხოვს, რომელიც შეიძლება მხოლოდ ერთ „გენიას“ ერგოს, თუ რასაკვირველია, ის გაიმსკვალა ამ ძირითადი დებულებით [9, გვ. 336, 337].

ამთავრებს რა კოლორიტის პრობლემატიკაზე მსჯელობას, გოეთე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ მხატვრებს აშინებთ კოლორიტის თეორიულ ასპექტში განხილვა, რადგან ფერთა თეორიული ანალიზი მიაჩნიათ „უნიდაგოდ“, „უსაფუძვლოდ“, „მერყევად“ და ჩვენი სურვილია შევუსუსტოთ ეს შიში მხატვრებს და ძირითადი დებულებების პრაქტიკაში (ცხოვრებაში) წარმატებით გამოყენების სურვილი აღვუძრათ [9, გვ. 339].

სხვათა შორის, ხელოვნების ისტორიაში ფერთა სიმბოლიკის ამგვარი გამოყენება არ არის უცხო. ცნობილია, რომ იგი უძველესი იაპონური თეატრის კაბუკის ერთ-ერთ ამგებ პრინციპად ცხადდება. ამ ყოველი კოსტუმის მოდელისა და ფერის შემწვობით მაყურებელმა პერსონაჟის ხასიათი უნდა გამოიცნოს. ამ მიზნის განსახორციელებლად კაბუკის თეატრში მკაცრი ნორმატივია დაწესებული. ვთქვათ, განსაკუთრებული წითელი ჩაცმულობა სიმბოლოა მაღალი წრის წარმომადგენლისა, ღია, მზიარული ფერები — მსახურებისა. მოდელი და ფერი ხასიათიდან გამომდინარეობენ. რუხი ფერი ადამიანს სხეულში დაბუდებული თავის სულის სიმბოლოა და ვინაიდან ზოგჯერ პერსონაჟის კეშმარტი ხასიათის გამოაშკარავება მაყურებლის თვალწინ ხდება, კაბუკის თეატრში განსაკუთრებულად არის განვითარებული და დამუშავებული კოსტუმის სწრაფი გამოცვლის ტექნიკა. გათვითცნობიერებული მაყურებელი სახის ფერით და მოხატულობით ხედება, როდის არის პერსონაჟი კარგი და როდის ცუდი.

ფერთა სიმბოლიკა გამოიყენება თანამედროვე კინოხელოვნებაშიც. მაგალითად, ანტონიონის ფილმი „ობერვალდის საიდუმლოება“ მთლიანად ფერთა სიმბოლიკაზეა აგებული. ყოველი ფერი გმირის შინაგანი მდგომარეობის მანიშნებელია, უფრო მეტიც, ფერის ცვლა წინასწარ გვამცნობს საკვანძო მომენტების მოახლოებას. მოქმედი გმირის პორტრეტს სწორედ ფერი განსაზღვრავს.

ფერთა სიმბოლურ გამოყენებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დიზაინში, კერძოდ, გრაფიკულ დიზაინში.

მწეანე განმტკიცრთავი ფერია, შესანიშნავი ფონია სხვა ფერთათვის. ყვი-  
თელი მიჩნეულია გონების მასტიმულირებელ ფერად, ცისფერი სიწმინდისა  
და სიმშვიდის, ჰაეროვნების სიმბოლოა. ფერს ვადამწყვეტი ადგილი უკავია  
საგნობრივი სამყაროს შექმნაში. „ფერი ზემოქმედებს ამა თუ იმ ინფორმაციის  
მაქსიმალურ ათვისებაზე, აძლიერებს არგუმენტაციასა და სარეკლამო მოწო-  
დებას, ფერების საშუალებით ხორციელდება სასურველი ემოციების სტი-  
მულირება“ [5, გვ. 36].

მხატვრულ სიმბოლოში, მსგავსად მხატვრული სახისა, გამოიყოფა გნოსე-  
ოლოგიური ასპექტი, მაგრამ ეს ასპექტი არც მხატვრული სახისათვის, არც  
მხატვრული სიმბოლოსათვის არაა ძირითადი. განმსაზღვრელი და წამყვანი.  
ასე იგი გაგებული იყო რომანტიზმში, სადაც მხატვრული სიმბოლო გონე-  
ბისათვის მიუწვდომელს წვდომის, მისი გაგება-გახსნის საშუალებად ითვლე-  
ბოდა. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ჯონ კიტსის „ოდას ბერძნული ლარნაკი-  
სადმი“ და ედგარ ალან პოსს „პოეზიის პრინციპს“.

ბერძნული ლარნაკი კიტსთან სიმბოლოა მშვენიერებისა. განსაკუთრებუ-  
ლი ოსტატობითაა გადმოცემული ლარნაკზე გამოსახული მშვენიერი ქალი-  
შვილობისა და ჰაბუკეზის პორტრეტები, ერთმანეთში უცნაურად გადაჯაჭვუ-  
ლი ნატიფი ხლართები და ხაზები წარმტაცი ორნამენტების მოლიანობას ქმნი-  
ან. რომანტიზმისათვის დამახასიათებელი განწყობით ლარნაკზე დახატული  
ცხოვრება უპირისპირდება რეალურს: უცხო მელოდია, რომელსაც მარბარი-  
ლოს მომღერალი ასრულებს, უფრო დახვეწილი და მშვენიერია ვიდრე სი-  
ნამდვილეში აქდერებული მუსიკა; ლარნაკზე ასახული სოცვარულიც კი უფ-  
რო ამალღებული და წმინდაა, ვიდრე მიწიერი. ბოლო სტროფებში მოცემუ-  
ლია რომანტიზმის კრედო:

„ერთადერთი რამ, რაიც ხამს იცოდე, ისაა, რომ მშვენიერებაა ერთადერ-  
თი უცილობელი ჭეშმარიტება“.

ედგარ ა. პო სტატიაში „პოეზიის პრინციპი“ წერდა: «Ее (поэзия — А. З.)  
существенным верховным судьей является Вкус, а с Рассудком или с  
Совестью она имеет только побочное соотношение. Она не имеет с Бо-  
гом, или с Истиной, никакой связи, кроме случайной... Истина удовлет-  
воряет Рассудок, а Красота — поэтическое чувство».

თანამედროვე ხელოვნებაში სიმბოლოს ღირებულებითი მხარეა წინ წა-  
მოწეული.

ლევ ტოლსტოი ამბობდა, ხელოვნების საშუალებით ადამიანები ერთმა-  
ნეთს გრძნობებს გადასცემენო. სწორედ ამისდა კვლად ასრულებს თავის  
დიდ მისიას მხატვრული სიმბოლოც. ამდენად სწორი უნდა იყოს ის მოსაზრე-  
ბა, რომლის მიხედვითაც მხატვრული სიმბოლო მარტო კი არ გვეუბნება რაი-  
მეს, არამედ გარკვეული გრძნობად-ემოციური დატვირთვა მოაქვს და აუცი-  
ლებლობით მოითხოვს გრძნობად-ემოციურ დამოკიდებულებას. ეს დამოკი-  
დებულება შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. ვთქვათ წითელი ყაყაჩო იმავე  
ჯონ კიტსთან სიმბოლოა „წითელი მუნდირებისა“ (ინგლისელ ჯარისკაცთა  
ფორმა თავხედობის, უსარგებლობის, უსამართლობის სიმბოლოა — Epistle  
to my Brother George); იგივე წითელი ყაყაჩო ლადო ასათიანთან საშობლოს  
თავისუფლებისათვის. თავგანწირულ მებრძოლთა სულის სიმბოლოდ გვე-  
ლინება:

„პო, თქვენ, არაველებო, გაუმძღარო ომიოა,  
 თქვენს საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომინდა.  
 შავროხიანი ვეყაცო, ჭრილობა ზომ არ შეგხსნია!  
 ეს სისხლი არის, თუ მართლა ყაყაოების ცეცხლია?“  
 „გზაში ყაყაოს შეხვედრა სიკეთედ დაგვებედება  
 სულ ახალგაზრდა ვიქნებით, გული არ დაგვიბერდება“;

დემნა შენგელიასთან კი იგი სიყვარულისა და სიცოცხლის მარადიულობის სიმბოლოა. რაც შეეხება მეცნიერების სიმბოლოს, იგი ამგვარ ინტერპრეტაციებს ვერ იტანს. ვთქვათ, ქიმიური სიმბოლო Fe ყველა დროის ყველა ქიმიკოსისათვის ელემენტ რკინას ნიშნავს.

თეორიული ცნობიერების სტრუქტურაში პიროვნული, გრძნობად-ემოციური ელემენტი იმდენად უმნიშვნელოა, რომ შეიძლება ითქვას არც კი არსებობს, მაშინ როდესაც მხატვრულ სიმბოლოს, ისევე როგორც მხატვრულ სახეს, საქმე აქვს პიროვნებასთან როგორც მთელთან. მხატვრული სიმბოლოს ცნებას ღირებულებითი ხასიათი აქვს. მხატვრული სიმბოლოს ძირითადი სპეციფიკა სწორედ იმაშია, რომ მასში გარკვეული საგნისა ან მოვლენის ღირებულების წვდომაა განხორციელებული, მასში ვლინდება არა ის, თუ რას წარმოადგენს საგანი თავისთავად, ან სხვა საგნებთან მიმართებაში, არამედ ის, თუ რა ღირებულებისაა იგი. მხატვრული სიმბოლო და მხატვრული სახე ამ ასპექტშიც თანხვედრიან ერთმანეთს.

ვაზი ქართველი კაცისათვის რწმენისა და სამშობლოს სიმბოლოა. ამის შორეული ისტორია აქვს. სწორედ ამიტომ განიცდება ასე მწარედ გიორგი მახარაშვილის მიერ ვაზის გათელვა<sup>3</sup>.

უილიამ ფოლკნერის ოკნაპატოფას საგის ციკლის რომანებში მხატვრულ სიმბოლოთა არაჩვეულებრივი სიუხვეა.

კომპოსონების საგვარეულო საათი კვენტინ კომპსონისათვის ტრადიციების ერთგულების, პატიოსნების, კეთილდღეობის სიმბოლოა.

„პაპიჩემისეული იყო ეს საათი და მამამ რომ მომცა, ასე მითხრა, აჰა, კვენტინ, გაძლეე ყოველგვარი იმედისა და სურვილის ამ ლუსკუმას, ვაი, რომ ამ საათის დახედვისას შესაძლოა ტანჯვა-წვალებით მოიწადინო *reductio ad absurdum* ზოგადკაცობრიული გამოცდილების გასაკუთრება, მაგრამ შენი წინაპრებივით კმაყოფილი არც შენ დარჩები“.

საათის ტაკატუკი წარმოუჩენს კვენტინს უწყვეტ, ძირისძირისაკენ სულ უფრო და უფრო ვალეულ სიმს დროისას, გმირის წინაა ბავშვობის დროინდელი პარმონიული სამყაროს ნამუსრევი, კვენტინი კარგავს რწმენას, ძველი სამყარო ინგრევა, მისი წმინდათაწმინდა და აწ შეღახული გრძნობები ანადგურებს მას ჯერ სულიერად, მერე ფიზიკურადაც. საათის უმოწყალოდ დამსხვრევა სიმბოლურ აქტად განიცდება.

„მაგიდასთან მივედი და ისევ ის ციფერბლატიპარუნებული საათი ავიღე მცირეოდნავ დაეკარ მაგიდის ძვიდეს მისი მინა ჩავამსხვრიე და ნამუსრევი საფერფლეში ხელით გაღმოვწმინდე, ისრებიც დავავლიე და ისინიც ჩავტენე საფერფლეში“.

რომანის ერთ-ერთი გმირი, ჭკუასუსტი ბენჯისათვის, ნაწვიმარი ხეების სუნი მისი ერთადერთი მფარველის, უსაყვარლესი დის კედის, სიყვარულის, ერთგულებისა და სიწმინდის სიმბოლოა. როდესაც კელი კარგავს ყველა ამ თვისებას, ბენჯი ყველაზე პირველი გრძნობს ამ ცვლილებას — კედის ნაწვიმარხეთა სურნელი აღარ სდის.

თავად ბენჯიცი ამქვეყნიური უსამართლობის სიმბოლოა. მისი სახით მოცემული განსაკუთრებული თვისებები ერთგვარი გამოსაცდელია სხვა პერსონაჟთათვის. ბენჯი ერთგვარი საჩუქის როლს თამაშობს, მასში ირეკლება მისი ოჯახის წევრთა ხასიათები, ბენჯისთან დამოკიდებულებით ნაწილობრივ საცნაურდება მათი ადამიანური თვისებები, მათი ცხოვრებისეული საზრისი, ღირსება. თითქოსდა ზოგადსაკაცობრიო პრობლემები მის პრინციპში გარდატეხილი და წარმოჩენილი.

კვიპაროსი ადოლფ აპაის დეკორაციებში სიმბოლური ნიშანია მარადიულობისა. ცნობილია რომ, სანდრო ახმეტელი, რომელიც ბევრით იყო დავალებული აპაის სცენოგრაფიისაგან, „ბერდო ზმანიაში“ იყენებს სწორედ ამ მხატვრულ სიმბოლოს იმქვეყნიური სამყაროსა და მისი ძალების მარადიულობის გამოსახატავად. მათ შეპლალადებდა დრამის გმირი, რომელიც ეწამებოდა, შფოთავდა, მაგრამ მაინც უძლეული რჩებოდა საწუთროსთან, მარადიულობასთან და ბედისწერასთან ბრძოლაში.

ამგვარად გამოიკვეთა მხატვრული სიმბოლოს კიდევ ერთი ასპექტი, კიდევ ერთი მახასიათებელი: მხატვრული სიმბოლო, მსგავსად მხატვრული სახისა, გარკვეული ღირებულების მატარებელია. გარდა ამისა უნდა აღინიშნოს მხატვრული სიმბოლოს ეკზისტენციალური ასპექტიც. სიმბოლო ხომ სინამდვილის სპეციფიკურ ასახვასა და შეფასებას წარმოადგენს. სიმბოლოს მთავარი თვისებებია განაზოგადოს, ერთად შეყაროს სრულიად განსხვავებულნი, ერთმანეთზე დაუყვანადი, თავისთავადი ინდივიდულობანი; სიმბოლო მზადი ბუნებისაა, ამ გაგებითაა იგი შემოქმედებითი. იგი უშუალოდ მოცემულში ხედავს შინაგან სიცოცხლეს, მოძრაობას, რის გამოც მასში თვით უშუალოდ მოცემულიც იცვლება იმისათვის, რომ გამოხატოს სინამდვილე როგორც მთელი მის პერსპექტივაში.

ოთარ იოსელიანის ფილმების სიმბოლიკაში ეს მეტად კარგად ჩანს. ყველაფერი იცვლება, მიედინება, ეამთავლა შეუჩერებელია. დროის სწრაფმავლობა, რომელსაც ძირეული ცვლილებები მოჰყვება საზოგადოების ცნობიერებაშიც, ღირებულებათა სისტემაში, ოთარ იოსელიანის ფილმების ერთ-ერთი ძირითადი თემაა. ვთქვათ, ფილმში „იყო ზაშვი მგალობელი“ საათის მექანიზმის აუღერება ამის სიმბოლოდ გვევლინება, თუმცა მთელი სურათის მანძილზეც იგრძნობა დროის წარმავლობა. გმირის ყოველდღიური, ათასი წვრილმანი საზრუნავით ავსებული ყოფა ორ არასრულ დღეს მოიცავს. ნაცნობები, გაუთავებელი შეხვედრები, სხვებზე ზრუნვა, ათასი მოვალეობის შესრულება, ტუმარების მიღება, ამხანაგთან საავადმყოფოში წასვლა... გმირი მუდამ ცდილობს გვერდში მყოფს ხელი გაუმართოს. იგი ყველასთვის საჭირო კაცია, მაგრამ ცხოვრება არც ისე გრძელია, დრო გადის და თითქოს სხვებზე გადაგებული ახალგაზრდა იმე დაასრულებს სიცოცხლეს, რომ ვერც ერთ საქმეს ბოლომდე ვერ მიჰყვება, მისი გზაც ფუჭად ჩავლილს ემსგავსება. ფინალში ვხედავთ საათის გადიდებულ მექანიზმს და თითქოს გაფრთხილებად ჩაგვესმის მისი წიკწიკი — ადამიანი ერთხელ მოდის ამქვეყნად და მოჩვენებით საქმეზე არ უნდა დაიხარჯოს.

განსაკუთრებით საინტერესოდ გვეჩვენება ამ მხრივ ოთარ იოსელიანის ფილმი „მთვარის ფაფორიტები“. პერსონაჟთა დახასიათებისას აუცილებლად გამოჩნდება ხოლმე ხან ფანჯრის ცხაური, ხან რკინის ქალაქი, ხან კი მესკერი. ყოველ მათგანს გარკვეული სიმბოლური დატვირთვა ეკისრებათ: ესაა პერსონა-

ნაყო შინაგანი უკონტაქტობის, ყარჩაქეტილობის, მათი „სულის ციხის“ მანიშნებელი. სადაც არ უნდა იმოყვებოდეს ფილმის ესა თუ ის პერსონაჟი — მეორე, მესამე თუ მეათე პლანზე, მუდამ ჩნდება ამ მხატვრულ სიმბოლოთაგან ერთ-ერთი — ეს უთუოდ პერსონაჟთა შინაგანი მდგომარეობის განმარტებაა.

მხატვრულ სიმბოლოს, მსგავსად მხატვრული სახისა, აქვს თავისი ენა, მნიშვნელობის გამოხატვის თავისი საშუალებები. სემიოტიკურ ასპექტში დანახული სიმბოლო ნიშნად, აზრობრივი კომუნიკაციის საშუალებად წარმოგვიდგება. სიმბოლოში ერთიანდება გამოსახულება და ფორმა, იმის გამო რომ აქ გამოსახულება და ფორმა შინაგანად ერთი და იგივეა.

აქვე უნდა ითქვას, რომ არის შემთხვევები მხატვრული სახის სიმბოლოდ ქცევისა. ვთქვათ, ყველასათვის ცნობილი პრომეთეს მხატვრული სახე იქცა სიმბოლოდ, კულტურის წინსვლის, განათლებისა და ნიჭის სიმბოლოდ. საქმე იმაშია, რომ ყოველი მხატვრული სახე გარკვეულწილად სიმბოლოურია და ამდენად შეიცავს სიმბოლოდ ქცევის ტენდენციასაც. ცნობილია, რომ სემანტიკური ველის თეორიის მიხედვით, სიტყვა არაა ერთმნიშვნელოვანი, მას საზრისთა გარკვეული რაოდენობა, ე. წ. სემანტიკური ველი, შეესაბამება. მხატვრულ ტექსტში ამუშავდება სიტყვის მთელი სემანტიკური ველი. მხატვრულ აღქმაში, რომელშიც მხატვრული შინაარსის პლანი აქტიურად იწყებს გამოვლენას, ერთგება მთელი სემანტიკური ველი პერიფერიული მნიშვნელობებიდან დაწყებული ჩვეულებრივი მნიშვნელობით დამთავრებული. ჭეშმარიტი სიმბოლოების კონსტრუირება ხდება, როგორც წესი, ყველაზე ჩვეულებრივი, გარეგნულად „უბრალო“ სიტყვებისაგან, რომელთაც სემანტიკური ველი საკმაოდ დიდი აქვთ, ხოლო მწვერვალი (ყოველ სიტყვას სემანტიკურ ველში აქვს გარკვეული მწვერვალი, რომელიც ამ სიტყვის უახლოეს ეტიმოლოგიურ მნიშვნელობას შეესაბამება) კი ძალზე მაღალი. და აი, როდესაც მხატვრული სახის სემანტიკური ველის მიზიდულობის ცენტრში მოექცევა მსოფლმხედველობრივი, სოციალურ-ეთიკური ღირებულებითი მიმართებანი, სხვა სიტყვებით, როდესაც მხატვრული სახის სემანტიკური ველის სტრუქტურული აგებულება მიუახლოვდება სიმბოლოსას, სწორედ აქ იჩენს თავს მისი სიმბოლოდ ქცევის ტენდენციაც. აქ, ალბათ, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მხატვრული ნაწარმოების ქსოვილში ხშირია სხვადასხვა ტიპის სიმბოლოთა გამოყენება. ვთქვათ, თანამედროვე რომანისტიკაში გახშირდა მითოლოგიური სიმბოლოების ხმარება. ვაბრიელ გ. მარკესის „მარტოობის ასი წელი“ მთლიანად აგებულია მითოლოგიურ სიმბოლიკაზე. ჯონ ადლაისის, ჯოისის, ჩინგიზ აითმატოვის, ოთარ ჭილაძისა თუ გურამ დოჩანაშვილის რომანებში მრავლად შეხვდებით ამ ტიპის სიმბოლოებს.

თანამედროვე მუსიკაში, განსაკუთრებით ჯაზის ახალი მიმართულების ჩამოყალიბებაში, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ე. წ. spirituals — საგალობლებს, რომლებიც რელიგიური სიმბოლოს სახეობად გვევლინება.

სახვით ხელოვნებაში ამ მხრივ საგულისხმოდ გვეჩვენება ქართველი ფერმწერის ლადო გუდიაშვილის შემოქმედება. მის ტილოებზე ხშირად ვხვდებით მითოლოგიურ სიმბოლოებს. საკმარისია დავასახელოთ მისი „ვითომ მოიტაცეს“, „პირისპირ“, „დევეების საქორწინო გასეირნება“, განსაკუთრებით კი ე. წ. ოფორტები.

ინდურ მითოლოგიურ სიმბოლიკაზეა აგებული „ზე სიცოცხლისა“. კაცი ზის მაღლა ხის ტოტებზე და ზევიდან ჩამოწვეთილ თაფლს გემოს უსინჯავს. ქვევით მარტორქაა, რომელიც კაცს შთანთქმით ემუქრება, მაგრამ ვერ სწვდება მაღლა მჯდომს. — ეს ზე — ცხოვრების ზეა, თაფლი კი, ზევიდან რომ იღვენთება, ცხოვრების სიტკბოა. ხის ქვევით ორი თავი, შავი და თეთრი, ხეს ძირს უთხრიან. თავები დღისა და ღამის სიმბოლოებია, ისინი სიცოცხლის ხეს ძირს უთხრიან და ადამიანს სიკვდილს უახლოებენ.

საინტერესო მასალას გვაძლევს ამ მხრივ მოდერნისტული პოეზია. საილუსტრაციოდ შოვიყვანთ თომას სტერნზ ელიოტის პოემას „უნაყოფო მიწა“, სადაც მხატვრულ სიმბოლოებთან ერთად თანაარსებობენ რელიგიური და მითოლოგიური სიმბოლოები.

ამ ნაწარმოებში წინა პლანზე წამოიწევა სპეციფიკურად მოდერნისტული ხერხი — ლიტერატურულ და მითოლოგიურ სიუჟეტთა პაროდირება, თუმცა ეს უკანასკნელი, როგორც წესი, ირონიული შეფერადების გარეშე წარმოუდგენელია. მოვლენის არსი აქ ისაა, რომ ელიოტს ხატოვანების პრინციპი თავისი პოემის ასოციაციური მეთოდის ბირთვზე — ლიტერატურულ რემინისცენციანზე გადააქვს, რაც ფართო საშუალებას იძლევა მითოსის გამოყენებისათვის. მითოსი აბსორბირებულია პოემის მთელ შინაგან, ობიექტურ სტრუქტურაში. პოემის პირველივე ეპიზოდი მითოსურ სიმბოლოთა მომცველია. აპრილში მკვდარი მიწიდან იასამანი იზრდება, გაზაფხულის ამ თვეს სჩვევია სურვილისა და მოგონების აღრევა, ის წვიმით ათრთოლებს ხოლმე გამამარ ფესვებს. სასტიკ, უღმობელ აპრილს არა ჰკავს ზამთარი, რომელიც სითბოსთანაა ასოცირებული. გაზაფხულის საწინააღმდეგოდ, ზამთარს სიცოცხლის ნიშანწყალი შეაქვს მკვდარ მიწაში, ფარავს რა არემარეს „დავიწყების თოვლით“.

უღმობელია აპრილის თვე, მკვდარი მიწიდან  
ამოზრდის უცებ იასამანს და მოგონებას  
სურვილს შურრევს, მთელმარე ფესვებს  
გამოაცოცხლებს გაზაფხულის უხვი წვიმებით.  
არ დაუკლია ზამთარს სითბო და დავიწყების  
თოვლით დაფარა დედამიწა, მან მისცა საზრდო  
ნაშთს სიცოცხლისას შემორჩენილს გამამარ ბოლქვებში...

(თარგმანი მ. ზაალიშვილისა)

ელიოტი აქ ნაყოფიერების უძველეს მითებს იყენებს. აპრილი უღმობელი თვეა იმიტომ, რომ ფიზიკურ აღორძინებას ხორციელი, ბიოლოგიური საწყისის აპოთეოზი არ მოსდევს. მიწა სტერილური, მშრალი და უნაყოფოა, ვინაიდან ნაყოფიერების საწინდარი დაკარგული სულიერი საწყისის დაბრუნება და ღმერთის აღდგომაა მხოლოდ. სულიერ უდაბნოში ფიზიკური არსებობა კი უფრო გაჭიანურებულ კვდომას ჰკავს, ვიდრე ქეშმარიტ სიცოცხლეს. მშრალი, ბერწი მიწიდან იასამნის აღმოცენება წარმართული მითოლოგიის ირონიულ გადამღერებად გვევლინება — იასამანი ხომ ნაყოფიერების სიმბოლოა ში-თებში.

„უნაყოფო მიწაში“ გვხვდება ფილომელასა და ტირესიას მითის მინიშ-ნება. ძველისძველი ბუხრის ზემოთ გამოსახული იყო ბარბაროსი მეფის მიერ

ესოდენ უხეშად ძალდატანებული ფილომელას სახეცვლილება; და იქვე ბუღბუღმა გაავსო მთელი უდაბნო განწირული ხმით... მითის თანახმად ზევსმა ფილომელა ბუღბუღად აქცია.

ფილომელა ბერძნულ მითოლოგიურ ტრადიციაში ბუღბუღს ნიშნავს. ამ მითოლოგიური სიმბოლიკით ელიოტს სურს მიგვანიშნოს, რომ ძალადობის მოტივი, ისევე როგორც ბუღბუღის გალობა, თანამედროვეობის სულიერ უნაყოფობასა და დასხვლური ცივილიზაციის აპოკალიფსურ დასასრულს გამოხატავს.

ელიოტის კომენტარის თანახმად, პოემის ყველა კაცი ერთი კაცია, — „ხოლო ყველა ქალი — ერთი ქალი. ტირესია კი ორივე სქესს აერთიანებს“. მოქმედ პირთა ასოციაციური იდენტურობა შათი მოქმედების იდენტურობას გულისხმობს. ამიტომ, სქესობრივი ნიშნის მიხედვით დაწყვილებული პოემის ყველა პერსონაჟი ფაქტიურად წარმოადგენს ერთადერთ წყვილს, რომელიც შეერთდა უნაყოფო სიყვარულის, სტერილური სქესის სევედიანი რიტუალის შესასრულებლად. ამ რიტუალის სიმბოლოდ კი „უნაყოფო მიწაში“ გამოყვანილია ორსქესოვანი არსება — ბრმა წინასწარმეტყველი ტირესია. პოემის მთელ მხატვრულ სისტემას განსაზღვრავს სწორედ ტირესიას ცნობიერების ნაკადი, რომელშიაც უამრავი ასოციაცია ირევა.

მითოლოგიურ სიმბოლოთა გამოყენებით ელიოტი ქმნის თანამედროვეობის სულიერი იმპოტენციის ამსახველ ერთგვარ „ანტიმითს“, პაროდის წარმართული მითოლოგიის ოპტიმისტურ არსზე (ბოლოს და ბოლოს მიღწეული დაწყვილებილი მიწის ზანა, როგორც საწყისის აღორძინება, ღმერთის აღდგომა, გრაალის მოპოვება და სხვ.), რომელიც პესიმიზტური უღერადობითაა აღსავსე. თანამედროვე ევროპული საზოგადოების გზა ასე იოლი როდია, სულიერი საწყისის დაბრუნება ეთიკურად ნიველირებული, დეკადენტური ყოფის უდიდეს გადაუჭრელ პრობლემად რჩება.

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, მხატვრული სიმბოლო ფონით-იდეური შინაარსით სავსე გრძობადი ხატია, იგი გარკვეული ონტიური სტატუსით ხასიათდება. თუ პორიზონტალურ განასერში იგი ღირებულებით სავსე მხატვრული სინამდვილის მოდელად, მბად სტრუქტურად გვევლინება, ვერტიკალურ სიბრტყეში მხატვრული სიმბოლო წარმოგვიდგება საგნის იდეის და საგნის სახის ერთიანობად, თვალსაჩინო ხატით არათვალსაჩინო შინაარსის გამოთქმის ცდად.

სიმბოლო კულტურის მრავალ სფეროში თამაშობს არსებით როლს, იგი მნიშვნელობის აღმნიშნური სამყაროს ნაწილია, ფუნქციონალური ღირებულების შატარებელია და სწორედ ესაა ღირებული მასში. მხატვრული სიმბოლო მრავალი ასპექტის ერთიანობად გვევლინება, გნსეოლოგიური და ეკზისტენციალური, აქსიოლოგიური თუ სემიოტიკური მხარეები აქ ერთ მთლიანობად იკვრება, მაგრამ აქვე უნდა ხაზი გავსვას იმ გარემოებას, რომ მხატვრული სიმბოლო ამ ასპექტების, ამ მხარეების ჯამზე არ დაიყვანება, იგი უფრო შეტია, ვიდრე უბრალო ჯამი. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ სიმბოლო არსებითად ცნობიერების მიერ სამყაროს დასაუფლებლად აგებული ხატია, შეიძლება სრული უფლებით ითქვას, რომ შას ფაქტიურად ცნობიერების განსხვავებულ ფორმათა შინაარსები მოაქვს და ამდენად მხატვრულ სიმბოლოში ცნობიერების ფორმათა სინთეზია განხორციელებული.

### შ ე ნ ი შ ე ნ ე ბ ი

1. გავიხსენოთ პითაგორელთა მოძღვრება: ყველაფრის საწყისად და არსებად აქ რიცხვი ცხადდება. მსოფლიო ორგანიზაცია ჰარმონიული სისტემაა და, არსებითად, რიცხვთა დამოკიდებულებას წარმოადგენს. რიცხვის ცოდნა საგანთა წესის ცოდნას უდრის. რიცხვი პითაგორელებთან სუბსტანციაა საგნებისა და არა მხოლოდ ფორმა. რიცხვი არის გრძნობად საგანთა არავგრძობადი სუბსტანცია, მათი არსება, ამხსნელი, მმართველი, არხე. პითაგორელებთან რიცხვის არითმეტიკული გავება კი არა გვაქვს, არამედ მეტაფიზიკური. რიცხვს ყველაფრის ამხსნელი უცნაური ძალა აქვს მინიჭებული, რიცხვი აქ მისი აბსოლუტური მნიშვნელობით არის აღებული.

2. «Мы, символисты, წერდა ანდრე ბული, считаем себя через Шопенгауэра и Ницше законными детьми великого Кеннигсбергского философа» [6, გვ. 21] და შემდეგ: «Если определить смысл ценностью, то падают твердыни теоретической философии, мировоззрение становится творчеством, философская система приобретает символический смысл. В познавательных терминах символизирует она представление о ценности и смысле жизни. Нечего в них искать теоретической значимости; теоретическая значимость остается только за гносеологией, сама же твердыня чистого разума рушится. В результате такой ликвидации мировоззрение переходит в творчество» [6, გვ. 68].

3. უძველეს დროში ვაზი ღვთაებრივ მცენარედ, „სიცოცხლის ხედ“ ითვლებოდა, მზის, უმთავრესი ღმერთის ძალას ვაზი ყველაზე მეტად შეიწოვსო, ეს ძალა კი მითოსური აზროვნებისათვის სიყვარულის ძალა იყო. როდესაც წმინდა ნინო ქრისტიანობის საქადაგოდ საქართველოში გამოემართა, მან თან ვაზის ჯვარი წამოიღო. სავარაუდოა, რომ შან იცოდა ვაზის კულტის შესახებ საქართველოში, რომ ქართველები ვაზის ძალას სცნობდნენ და, ამიტომ, ვაზის ჯვარს უფრო ირწმუნებდნენ.

4. ოსიპ მანდელშტამი ხატოვნად ახასიათებს სემანტიკურ ველს: «Живое слово не обозначает предметы, а свободно выбирает, как бы для жилья, ту или иную предметную значимость, вещьность, милое тело. И вокруг вещи слово блуждает свободно, как душа вокруг брошенного, но не забытого тела» [13, გვ. 12].

А. Т. ЗАКАРИАДЗЕ

## О ПРИРОДЕ ХУДОЖЕСТВЕННОГО СИМВОЛА

### Резюме

В статье дана характеристика природы и структуры художественного символа.

Символ является чувственно воспринимаемым изображением, высказывающим идейно-духовное, принципиально не чувственное содержание. Символы используются во всех видах духовной деятельности чело-

века, во всех формах общественного сознания. Художественный символ является наиболее развитой формой символа. По своей природе и структуре он аналогичен художественному образу, отличаясь от него большей степенью обобщенности и условности, большей глубиной и широтой идейно-духовного содержания. Важнейшим компонентом этого содержания являются выражаемые символом ценности, причем не только эстетические, но и этические, социальные, политические и т. п. Благодаря этому в художественном символе своеобразно синтезируются различные виды духовной деятельности человека, разные формы общественного сознания.

#### ლიტერატურა

1. გოგუაძე ვ., ერი პურადი, გულადი, თბილისი, 1977.
2. კასირერი ე., რა არის ადამიანი? თბილისი, 1983.
3. სიჩაძე რ., სახისმეტყველება, თბილისი, 1982.
4. ჯაფარიშვილი ი., ქართული სამართლის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1984.
5. ხელაძე ი., რეკლამა და თანამედროვეობა, საბჭოთა ხელოვნება, 1980.
6. Белый Андрей, Символизм, М., 1910.
7. Бычков В. В., Византийская эстетика, М., 1977.
8. Бычков В. В., Эстетика поздней античности, М., 1981.
9. Гёте И. В., Избранные произведения по естествознанию, М.—Л., 1957.
10. Лихачев Д. С., Поэтика древнерусской литературы, Л., 1967.
11. Лосев А. Ф., Проблема символа и реалистическое искусство, М., 1976.
12. Канаев И. И., Гете как естествоиспытатель, Л., 1970.
13. Мандельштам О. М., Слово и культура, в книге: «Дракон», поэтический альманах, вып. I, Пг., 1921.
14. Langer S. K. On a New Definition of Symbol, Maryland, 1964.
15. Langer S. K. Philosophy in a New Key, New-Hawen, 1969.
16. Cassirer E. Philosophy of Symbolic Forms, V. I, 1964, V. II—1966, V, III—1966, Jale University Press.
17. Dewey John, Experience and Nature, Chicago, 1925.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ნ. ქვეკეაძემ

ლალი სარცვაძე

გენიის პრობლემა კანტის მოძღვრებაში

1. გენიის ძირითადი ნიშნები

გენიის ცნებას უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია კანტის ესთეტიკაში: მან მხატვრული შემოქმედების, ხელოვნების ნაწარმოების, მშვენიერების შექმნის რთული პროცესი უნდა ნათელყოს. ხელოვნება, კანტის აზრით, სწორედ გენიის ქმნილებაა, გენიის გარეშე ის არ არის ქვეშაობიტი ხელოვნება. ამიტომ ელსაც სურს ხელოვნების ნაწარმოების წარმოშობის წყარო და გზა ნათელყოს, უპირველეს ყოვლისა, გენია უნდა გაიხადოს დაკვირვების და შესწავლის საგნად. მხოლოდ გენიის ფენომენის წვდომა მოგვცემს გასაღებს მხატვრული შემოქმედების სწორი გაგებისათვის.

როგორ შეიძლება აღიწეროს ეს რთული და საინტერესო ფენომენი — გენია?

„ანთროპოლოგიაში“ გენიის არსების ზუსტი დახასიათების მიზნით კანტი ერთმანეთისაგან ასხვავებს აღმოჩენას და გამოგონებას. აღმოჩენა შეიძლება იმისა, აღნიშნავს კანტი, რაც აღმოჩენამდე არსებობდა, მაგრამ ჯერ კიდევ ცნობილი არ იყო, ამერიკა არსებობდა კოლუმბამდე. კოლუმბმა აღმოაჩინა ამერიკა — არსებული, მაგრამ ევროპელისათვის უცნობი [3, ტ. 6, გვ. 466]. სულ სხვა ვითარებაა გამოგონებისას. თოფის წამალი არ არსებობდა მანამ, სანამ მას გამოიგონებდნენ. აღმოჩენას, კანტის მიხედვით, სულაც არ ესაჭიროება ის განსაკუთრებული ნიჭი, რომელიც გენიის სახელითაა ცნობილი. აღმოჩენა შეიძლება შემთხვევითაც კი მოხდეს, ყოველგვარი წინასწარგანზრახვისა და წინასწარი ვარაუდების გარეშე. გენია, ამრიგად, არ უნდა ვეძიოთ იქ, სადაც აღმოჩენასა და აღმოჩენზეა ლაპარაკი. აქ ადამიანის სულ სხვა უნარები, სულ სხვა ნიჭი ვლინდება. კერძოდ ის უნარები, რომლებიც საშუალებას გაძლევენ პირველად შევამჩნიოთ ის, რაც აქამდეც არსებობდა, მაგრამ უცნობი იყო.

გენია, კანტის თვალსაზრისით, უკავშირდება გამოგონებას, ქმნას, შემოქმედებას. სადაც არაა ახლის ქმნა, იქ არც გენიაა, არც გენიის მოთხოვნილება. მაგრამ ყოველი გამოგონებელი ჯერ კიდევ არ არის გენიის „მფლობელი“ — გენიოსი. გენიოსი ისეთი გამოგონებელია, ისეთი შემოქმედი, რომელსაც შეუძლია გააკეთოს ის, რაც მისი გამოგონების სავანია. სხვა სიტყვებით, გენიოსი ეწოდება მხოლოდ ოსტატს — ე. ი. ადამიანს, რომელსაც ძალუქს „კეთება“, რომელიც მსჯელობით კი არ იფარგლება, არამედ „საკუთარი ხელით“ ქმნის რაიმეს. გენიოსი მუდამ გამოგონებელია და ოსტატია.

ოსტატობა, როგორც რაიმეს კეთება, კანტის თანახმად ხელოვნებაა ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, და როგორც ასეთი ძირეულად განსხვავდება მეცნიერებისაგან. მეცნიერს ოსტატობა არ მოეთხოვება. მართლაც, ერ-

თია, რომ მე ვიცი რაიმე და მეორეა, რომ მე შემარჯვება რაიმეს კეთება. პირველ შემთხვევაში მე ვფლობ ცოდნას, მეცნიერი ვარ, მეორე შემთხვევაში კი ვარ ოსტატი, ხელოვანი. ამის თაობაზე კანტი წერს: „ხელოვნებას როგორც ადამიანის ოსტატობას ასხვავებენ... მეცნიერებისაგან (ხელმარჯვეობას ცოდნისაგან), როგორც პრაქტიკულ უნარს — თეორიულისაგან, ტექნიკას თეორიისაგან (მიწის გაზომვის ხელოვნებას — გეომეტრიისაგან)“ [3, ტ. 5, გვ. 318].

ოსტატობა როგორც „კეთება“, კანტის თანახმად, ხელოვნებას ბუნებისაგანაც განასხვავებს. ბუნებაში არაფერი არ „აკეთებს“ ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ბუნებაში არის უბრალოდ მიზეზის შოჭმედება შედეგზე, ხელოვნების ნაწარმოებები კი ოსტატის „გაკეთებულა“. აქ გონების თავისუფალი აქტი იღებს მონაწილეობას. სწორედ ამიტომ არ თვლის კანტი ფუტკრის ფეხს ხელოვნების ნაწარმოებად. ფეხის შენებაში გადმწყვეტ სიტყვას ამბობს ინსტინქტი და არა გონება.

გენია ოსტატობას ითხოვს, მაგრამ არა პირუტყუ. ყოველი ოსტატი გენიით შთაგონებული როდია. ოსტატი, რომელიც ხელოფასისათვის ქმნის, კანტისათვის ხელოსანია და გენიას სულაც არ საჭიროებს. ხელოსნობა, კანტის აზრით, გარჯაა, შრომაა, რომელიც თავისთავად სრულიადაც არ არის სასიამოვნო და მხოლოდ თავისი შედეგით (მაგალითად, ხელოფასით) გვხიბლავს. ხელოსნობა, ამდენად, იძულების მომენტს შეიცავს. ხელოვნებას — გენიის სარბიელს — კანტი ამსვავსებს თამაშს. ხელოვნება თამაშით თავისუფალია იძულებისაგან, თამაშით თავისთავადაა სასიამოვნო [3, ტ. 5, გვ. 318].

ხელოსნის საქმიანობა გულისხმობს ასეთ ვითარებას: არსებობს გარკვეული საგნის შექმნის წესები, მე ვმოქმედებ ამ წესების ცოდნის საფუძველზე და ვქმნი საგანს, სიმარჯვე ამ შემთხვევაში დიდ როლს თამაშობს, მაგრამ როგორი მარჯვეც არ უნდა იყოს ადამიანი მძლი საქმიანობა არ იქნება გენიის შემოქმედება. რატომ? მხოლოდ იმიტომ, რომ ეს სიმარჯვე — თუნდაც უნიკალური — გარკვეული, უკვე არსებული წესების გამოყენებას გულისხმობს.

გენიაც ოსტატობაა, სიმარჯვეა, მაგრამ მისთვის, კანტის თანახმად, ერთი ვითარებაა გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე: გენია ქმნის ისეთ რაიმეს, რისი შექმნის გარკვეული წესებიც არ არსებობენ: იგენიოსი არ ითვისებს რაღაც გამომუშავებულ წესებს, გენიოსი არ ბაძავს ვისმე, ან რასმე, არ სესტულობს ვისმესგან — ის ორიგინალურია, ის ოსტატია, რომელიც თავის ნაწარმოებს, როგორც იტყვის კანტი, „თავდაპირველად“ ქმნის [3, ტ. 6, გვ. 466].

გენია არ იყენებს უკვე არსებულ წესებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის წესის გარეშე ქმნის. გენია თვითონ აძლევს წესებს ხელოვნებას. სწორედ ამიტომ გეთავაზობს კანტი ასეთ დახასიათებას: „გენია ეს არის ტალანტი (ბუნებრივი მადლი, ნიჭი), რომელიც წესს აძლევს ხელოვნებას“ [3, ტ. 5, გვ. 322].

გენია, ფიქრობს კანტი, ბუნებით მოცემული ნიჭია, ის ადამიანის შრომაგარჯით არ გამომუშავდება, გენიოსი ბუნების მადლია — გენიოსი „ბუნების ნებიერია“.

რადგან გენია თანშობილი პროდუქტული უნარია, რადგან ის ბუნებისუფალია და არა შექმნილი, კანტი ასეთ დახასიათებასაც იძლევა: „გენია სულის თანდაყოლილი უნარია, რომლის საშუალებითაც ბუნება წესს აძლევს ხე-“

ლოვნებას“ [3, ტ. 5, გვ. 323]. გენიოსის სახით სიტყვას ამბობს თავად ბუნება. კრონერი ამის თაობაზე აღნიშნავს: „გენიოსი თავად ბუნებას ეკუთვნის; ბუნება მასში ხელოვნებას წესებს უქმნის: გენიოსი არის „ბუნების ნებიერი“, მაგრამ ბუნება, რამდენადაც გენიოსი შემოქმედებითად მოქმედებს, მოიხსნება როგორც შიშველი ბუნება და იქცევა გონებად, რამდენადაც ხელოვანი, რომელიც თავისი ცნების მიხედვით გენიაა, ამავე დროს უნდა ფლობდეს მსჯელობის უნარს, გემოვნებას, რათა თავის თავში მოულოდნელად გაჩენილი აზრები მოაწესრიგოს“ [7, ტ. I, გვ. 266].

კანტის თვალსაზრისს კარგად გადმოსცემს აკად. ა. ბოჰორიშვილი: „ხელოვნების ნაწარმოები არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, თუ არა როგორც წესების მიხედვით წარმოშობილი, სადაც ეს პირობა დაკლებული არ არის, იქ არ გვაქვს მხატვრული ნაწარმოები. მეორე მხრივ, მხატვრული ნაწარმოები არ ეგუება იმას, რომ მსჯელობა მის შესახებ იყოს გამოყვანილი რომელიმე წესიდან, რომლის გასსაზღვრებაც ცნებაზე იქნება დამყარებული. არც ისაა შესაძლებელი, რომ მხატვრულმა ხელოვნებამ თვით შექმნას, გამოიგონოს თავისი წესები, რომლის შესაბამისად შემდეგ შექმნის თავის პროდუქტს. არ არსებობს ტურფა ხელოვნების წესები ტურფა ხელოვნებაზე. წესები ტურფა ხელოვნებისა ჩნდება იან ხელოვნებასთან ერთად“ [5, გვ. 141].

ორიგინალობა გენიის პირველი ნიშანია, მაგრამ, კანტის თანახმად, გენიის სრული დახასიათებისათვის სხვა მომენტებიც უნდა იყოს გათვალისწინებული. მართლაც, ორიგინალური შეიძლება იყოს უაზრობაც. გენიის ქმნილება მხოლოდ ორიგინალური კი არ არის, არამედ ამავე დროს ს ა ნ ი მ უ შ ო ა — ის იმსახურებს იმას, რომ იყოს მიბაძვის საგანი. შეფასების საზომი და წესი. გენია, ამრიგად, შეიძლება დახასიათდეს როგორც სუბიექტის ბუნებრივი ნიჭი, „სანიმუშო ორიგინალობა“ [3, ტ. 6, გვ. 466].

შესაძებ მომენტი, რომელსაც უსვამს ხაზს კანტი გენიის დახასიათებისას, ასეთია: გენიოსს არ შეუძლია აღწეროს ან მეცნიერულად აჩვენოს, თუ როგორ ქმნის ის თავის ნაწარმოებებს. ეს ვითარება ნათელი უნდა იყოს. გენიოსი რომ წინასწარ იგონებდეს წესებს, შეაქრად აყალიბებდეს მათ და მერე ქმნიდეს ნაწარმოებს — ამგვარი წესების აღწერას და სხვისთვის გაგებინებას ის, რა თქმა უნდა, შეძლებდა, მაგრამ საქმე ისაა, რომ გენია მოქმედებს როგორც ბუნება, უშუალოდ, გენია — ბუნების მოქმედებაა და ის ხელოვანისათვის უცნობ ძალად რჩება, ამიტომ ხელოვანმა თავად არ იცის, როგორ ქმნის თავის ნაწარმოებს. გენიოსს არ ძალუძს გეითხრას, როგორ ისტანს ხორცს მისი იდეები, არ ძალუძს თავისი სურვილით და თავისი გეგმის შესატყვისად წარმოქმნას ისინი და გამოხატოს გარკვეულ წესებში, რომლებიც შესაძლებლობას მისცემდნენ სხვებს შეექმნათ ასეთივე ქმნილებები [3, ტ. 5, გვ. 355]. სწორედ ამიტომაც, ფიქრობს კანტი, რომ შემოქმედების უნარს ეწოდა „გენია“ — სიტყვა, რომელიც ნაწარმოებია სიტყვისაგან „genius“.

რომაულ მითოლოგიაში „genius“-ს სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა. თავდაპირველად ის აღნიშნავდა ღვთაებას, რომელიც დასაბამს აძლევს გვარს. შემდგომ „genius“ წარმოიღვინებოდა როგორც ღვთაება, სული, რომელიც ჩნდება აღამიანთან ერთად და ამ აღამიანის ქცევას და ბედს გასსაზღვრავს. ბერძნულ მითოლოგიაში „genius“-ს შეესატყვისება წარმოდგენა დემონზე.

კანტის კონცეფციაში „genius“-ი კარგავს თავის მისტიურ სახეს — ის არც ღმერთია და არც სული, მაგრამ კანტთან ამ სახელით გამოხატული ძა-

ლა თუ უნარი, რომელიც შთაგონებს ხელოვანს მის ორიგინალურ იდეებს, ისევე გადმოუტემადი და დაუსწავლადი რჩება, როგორც მითოლოგიური genius-ის ქმედება.

სწორედ ეს გადმოუტემალობა და დაუსწავლადობა განსაზღვრავს იმ მეოთხე მომენტს გენიის დასასიათებაში, რომელსაც კანტი ამგვარად აყალიბებს: ბუნება გენიის საშუალებით კანონებს უწესებს არა მეცნიერებას, არამედ მხოლოდ კაზმულ ხელოვნებას.

მეცნიერებისა და ხელოვნების ურთიერთგანსხვავება, კანტის მიხედვით, არ მფლავნდება იმით, რომ პირველში საქმე გვაქვს წესებთან, ხოლო მეორეში არ არის არავითარი წესები და თვითნებობაა გამეფებული, როგორც ზემოთ ვთქვით, კანტისათვის ხელოვნება არაა წესებს მოკლებული ფენომენი. ამის თაობაზე „ესთეტიკური მსჯელობის კრიტიკაში“ სავესებით ერთმნიშვნელოვნადაა ნათქვამი: „ყოველი ხელოვნება გულისხმობს წესებს“ [3, ტ. 5, გვ. 323]. ხელოვნების ნაწარმოები გარკვეულად ორგანიზებულია, მოწესრიგებულია, მაგრამ ეს წესები არ არის წინასწარ დადგენილი ხელოვანის მიერ, უფრო მეტიც, როგორც დავრწმუნდით, მათი არც დადგენა და არც დასწავლა არ შეიძლება. მათ ქმნის ადამიანი მოქმედი ბუნება, ძალა, რომელიც თავად ხელოვანისათვის საიდუმლოა. ხელოვანისაგან განსხვავებით, მეცნიერი, კანტისათვის, ქმნის ისეთ რაიმეს, რისი დასწავლაც შესაძლებელია: ის, რაც გააკეთა ნიუტონმა, დასწავლადია. ამ დიდი გონების ადამიანს შეეძლო თვალსაჩინოდ წარმოედგინა თავისთვისაც და სხვისთვისაც მის მიერ მეცნიერებაში გაკეთებული ყოველი ნაბიჯი [3, ტ. 5, გვ. 324—325]. სხვადასხვაგვარია ხელოვნება. კარგი ლექსის წერას ვერც ასწავლი და ვერც ისწავლი. უნდა დაელოდო შთაგონებას, რომლის გამოვლენაზეც თავად პოეტის ვერაფერს ვეტყვის. „ამიტომ — წერს კანტი, — გენია როგორც მოვლენა, რომელიც დრო და დრო ჩნდება და კვლავ ქრება, ბრწყინავს არა იმ შემთხვევაში, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება ავანთოთ და საჭიროებისამებრ შევინარჩუნოთ, არამედ როგორც მოელვარე ნაპერწყალი, რომელსაც წარმოსახვისაგან გამოსცემს შთაგონების მოელვარე ბედნიერი წუთი“ [3, ტ. 6, გვ. 571].

## 2. გენია და სკოლა

გენია, როგორც ჩანს, კანტისათვის ქეშპაჩიტი ხელოვნების ქმნის აუცილებელი პირობაა: „კაზმული ხელოვნება უნდა განვიხილოთ როგორც ხელოვნება გენიისა“ [3, ტ. 5, გვ. 326]. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ გენია კანტისათვის მაღალი ხელოვნების შემოქმედების საკმარისი პირობაა? ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ გენიოსს არ ესაჭიროება „სკოლა“?

კანტის პასუხი ამ კითხვაზე სრულიად ნათელი და ერთმნიშვნელოვანია: „თუმცა მექანიკური და კაზმული ხელოვნება მკაცრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: პირველი როგორც მხოლოდ სიბეჯითის და დასწავლის ხელოვნება, მეორე როგორც გენიის ხელოვნება, მაინც არ არსებობს ისეთი კაზმული ხელოვნება, რომელშიც არ იქნება რაღაც მექანიკური, რასაც შეიძლება ვწვდეთ წესების მეშვეობით და რასაც შეიძლება მივყვეთ წესების საფუძველზე; ამრიგად, სკოლის კანონების შესაბამისი რაღაც ხელოვნების არსებითი პირობაა“ [3, ტ. 5, გვ. 326]. ამგვარად, ირკვევა, რომ იმისდა მიუხედა-

ვად, რომ, კანტის გამოთქმით, გენია ბუნების ნებეირია, სკოლა, შრომა ამ ნებეირსაც ესაჭიროება.

ჩვენს ფილოსოფიურ ლიტერატურაში ზოგჯერ ვხვდებით ნაშრომებს, რომლებშიც კანტის გამოთქმა — „ბუნების ნებეირი“ — არასწორადაა გაგებული. მაგალითად ა. მიტიუშინი თავის სტატიაში „გოეთეს მოძღვრება გენიის ბუნებაზე“ წერს: „გოეთე, რომელმაც ყურადღებით შეისწავლა მსჯელობის უნარის კრიტიკა“, არ იზიარებდა კანტის თვალსაზრისს, რომლის მიხედვით მხატვრული გენია არის „ბუნების ნებეირი“. ამ დებულებას, მოსდევს მისი თავისებური დასაბუთება. „თუმცა ორთავე იზიარებს იმას, რომ „გენი“ არაა დასწავლადი, გოეთე ფიქრობს, რომ გენიისაგან შეიძლება ისწავლო ის, რაც აქცევს მას გენიად“ [4, გვ. 236]. როგორც ვხედავთ, ა. მიტიუშინი ცდილობს დაუპირისპიროს ერთმანეთს კანტი და გოეთე — დაუპირისპიროს იმ საკითხის გააზრებაში, რომელსაც ვეხებით ახლა ჩვენ — ხელოვნებაში დაუსწავლადისა და დასწავლადის ურთიერთობის გაგებაში. ვფიქრობთ, რომ გოეთესა და კანტის ამგვარი დაპირისპირება არ არის მართებული. მივმართოთ გოეთეს მსჯელობას კანტზე, მსჯელობას, რომელსაც შეიცავს ეკერმანის თხზულება „საუბრები გოეთესთან“. ეკერმანი წერს „მე ვკითხე გოეთეს, ვის აყენებდა ის ყველაზე მალა უაზლოეს ფილოსოფოსთან შორის — კანტი — სთქვა მან — უეჭველად მათ შორის უკეთესია. იგი ის აღამიანია, რომელმაც შექმნა თავისი შედეგებით ყველაზე ქმედითი მოძღვრება და ყველაზე ღრმად შეაღწია გერმანულ კულტურაში. ის თქვენზეც აზნენდა გავლენას, თუმცა არც კი წაგვიკითხავთ იგი... თუ თქვენ როდისმე შემდგომ მოსურვებთ მის წაყითხვას, მე გირჩევდით „მსჯელობის უნარის კრიტიკას“ [6, გვ. 601]. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის ფაქტი, რომ გოეთე გამოყოფს სწორედ „მსჯელობის უნარის კრიტიკას“, თხზულებას, რომელშიც კანტმა განავითარა თავისი მოძღვრება ხელოვნებაა და გენიოსზე.

იმავე „საუბრებში“ გენიის თაობაზე გოეთე ასე მსჯელობს: „პოეზიისა და ფერწერის კანონები ასევე გარკვეულ ზომამდე შეიძლება გადაცემულ იქნენ, მაგრამ იმისათვის, რომ გახდეს კარგი პოეტი და ფერმწერი, უნდა გქონდეს გენია, — ამის გადაცემა შეუძლებელია. რათა აღიქვა უბრალო პირველფენომენი, რათა გაიგო მისი მალალი მნიშვნელობა და იმოქმედო მისით, უნდა გქონდეს პროდუქტიული გონება, რომელსაც შეუძლია წვდეს მრავალს, ეს კი იშვიათი მადლია, რომელსაც მხოლოდ რჩეულ აღამიანებში ვხვდებით“ [6, გვ. 601].

გოეთეს ამ სიტყვებში არ შეიძლება არ დავინახოთ აზრი, რომელიც კანტის კონცეფციასთან სრულ თანხმობაშია. ეს არის აზრი, რომ გენიის „გადაცემა“ შეუძლებელია. კარგი პოეტი და ფერმწერი რომ იყო, უნდა გქონდეს გენია, ამბობს გოეთე. რას ნიშნავს ეს, თუ არა იმას, რომ კარგი ხელოვანი მხოლოდ გენიის უნარით დაჯილდოებულია, მხოლოდ ისაა, ვისაც მომადლებული აქვს სრულიად განსაკუთრებული და იშვიათი ნიჭი — ნიჭი, რომლის მოქმედების დასწავლაც შეუძლებელია? მაგრამ ვანა კანტის გამოთქმა „ბუნების ნებეირი“ სხვა რაიმეს ნიშნავს? „ბუნების ნებეირია“ გენიოსი, ე. ი. აღამიანი, რომელიც ბუნებამ დააჯილდოვა განსაკუთრებული უნარით, ნიჭით. გოეთეს ზემოთ მოყვანილ ციტატაში ამ აზრის საწინააღმდეგო არაფერია, პირიქით, ის ამ აზრის გამოთქმისა სხვა ფორმით. ასე რომ ა. მიტიუ-

შინის დებულება, გოეთე არ იზიარებს კანტის მოსაზრებას „ბუნების ნებ-  
 ერის“ თაობაზე, გაუგებრობაზე აღმოცენებული.

რაც შეეხება იმ საბუთს, რომელიც ამ დებულების ჭეშმარიტობის ნათელ-  
 ყოფისათვისაა მოხმობილი, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ისიც გაუგებრო-  
 ბას იწვევს. რას გვეუბნება ა. მიტუშინი? კანტიცა და გოეთეც იზიარებს  
 აზრს, რომ გენიას ვერ ისწავლიო (Гению нельзя научить), მაგრამ, თურმე,  
 გოეთეს აზრით, გენიისაგან შეიძლება ისწავლო (у гения можно учиться) და  
 ისწავლო სწორედ ის, რაც მას ზღის გენიოსად. ეს დებულება გაუგებარია:  
 თუ გენიას ვერ ასწავლი, მაშინ გენიას როგორღა ისწავლის ვინმე?! გენიას ვერ  
 ასწავლი ზომ იმას ნიშნავს, რომ გენია პრინციპში და უსწავლა დია,  
 ანდა, როგორც ამბობს გოეთე — რომ მისი „გადაცემა“ შეუძლებელია. თუ  
 გენია დაუსწავლადია, არ არის „გადაცემადი“, მას ვერაფერს ვერ ისწავლის.  
 თუ დავეყრდნობით ა. მიტუშინის სტატიას, უნდა ვთქვათ, რომ გოეთე ორ  
 ურთიერთსაწინააღმდეგო, ლოგიკურად შეუთავსებელ აზრს გამოთქვამს:  
 გენია, თურმე, არ ისწავლება, მაგრამ ამავე დროს ის, თურმე, შეიძლება ის-  
 წავლო. სინამდვილეში გოეთე, სავსებით ნათლად ლაპარაკობს: გენიის „გადა-  
 ცემა“ შეუძლებელიაო. კანტი და გოეთე ამ შემთხვევაში ერთ თვალსაზრისს  
 იზიარებენ.

ხელოვანის, გენიოსისა და სკოლის მიმართებას კანტი მოკლედ ასე  
 განსაზღვრავს: „სკოლის კანონებთან შესაბამისი რაღაც  
 ხელოვნების არსებითი პირობაა“ [3, ტ. 5, გვ. 326]. კანტი მწარედ დასცინის  
 იმ ადამიანებს, რომელთაც შრომა-გარჯის გარეშე სურთ რაიმეს მიღწიონ  
 ხელოვნებაში: რადგან ტალანტის ორიგინალობა არსებითი (თუმცა არა ერ-  
 თადერთი) ელემენტია გენიის ხასიათისა, მჩაბე ჭკუის ხალხი ფიქრობს, რომ  
 არ არსებობს უკეთესი საშუალება გენიოსის სახით საკუთარი თავის ჩვენე-  
 ბისა, ვიდრე ის, რომ უნარი თქვან ყველა წესთა სკოლურ ძალადობაზე და  
 რომ კონტაბობდნენ შემყდარი შმაგ ცხენზე და არა გაწვრთნილზე [3, ტ. 5,  
 გვ. 326].

როგორ უნდა წარმოვიდგინოთ უფრო კონკრეტულად გენიისა და სკო-  
 ლის ურთიერთმიმართება კანტის კონცეფციაში?

„გენიას შეუძლია მოგვეცეს მხოლოდ მდიდარი მასალა კაზმული ხე-  
 ლოვნებისათვის“ — წერს კანტი. გენია, ამრიგად, იძლევა მასალას, მაგრამ  
 მასალა თავისთავად ჯერ კიდევ არ არის ხელოვნების ნაწარმოები. ხელოვნე-  
 ბის ნაწარმოები არ იქმნება შემთხვევით, ის, როგორც ამბობს კანტი,  
 არ არის რაიმე შემთხვევითობის პროდუქტი. ხელოვნების ნაწარმოები ყო-  
 ველთვის არის გარკვეული მიზნის — ხელოვანის მიზნის — განხორციელება.  
 მის შექმნაში, მათსადავამ, ცნობიერი მომენტიც მონაწილეობს. გენია ხელო-  
 ვანს აძლევს მასალას, მაგრამ ხელოვანის მიზნის განხორციელება — ხელო-  
 ვნების პროდუქტის შექმნა — მოითხოვს ამ მასალის დამუშავებას. გენია, ამ-  
 რიგად არ არის ხელოვნების ნაწარმოების „სინამდვილე“. ის მისი მხოლოდ  
 შესაძლებლობაა, პირობაა, თუმცა აუცილებელი პირობა. გენიის მიერ  
 მოცემული მასალის შემდგომ დამუშავების თაობაზე კანტი წერს: „მისი (მა-  
 სალის — ლ. ც.) დამუშავება და ფორმა მოითხოვს სკოლით აღზრდილ ტა-  
 ლანტს, რათა ამ მასალას მოეძებნოს ისეთი გამოყენება, რომელიც გაუძლებს  
 მსკელობის უნარს“ [3, ტ. 5, გვ. 326].

იმისათვის, რომ ხელოვნების ნაწარმოებს მიეცეს სრულყოფილი სახე, აუცილებელია მისი მოქცევა გარკვეულ ფორმაში. ეს კი, კანტის თანახმად, მოითხოვს გემოვნებას. გემოვნებას კი აღზრდა, ე. ი. სკოლა სჭირდება. გემოვნება ყალიბდება და ვითარდება ხელოვნების ნიმუშთა, ანდა ბუნების მშვენიერების დაკვირვება-გაცნობის საფუძველზე. ხელოვანი ასწორებს თავის ნაწარმოებს, ეს შესწორება სწორედ გემოვნების კარნახით შეაქვს მას თავის ქმნილებაში. შესწორების გზით ნაწარმოები სრულყოფილი ხდება, მასალა პოულოქს ადექვატურ გამოხატულებას. ეს პროცესი, აღნიშნავს კანტი, არ არის შთაგონების ან სულიერ ძალთა თავისუფალი ლტოლვის შედეგი. ის მეთოდური შრომის მსგავსი საქმიანობაა. ხელოვნების ქეშმარიტ ნაწარმოებს ვერ შექმნის, კანტის გამოთქმა რომ ვიხმართ, „გემოვნებას მოკლებული გენიოსი“ და ვერც „გენიოს მოკლებული გემოვნება“. გენიოსის მოცემულ წესებს გემოვნების საფუძველზე გამომუშავებული წესები უნდა დაერთოს, ეს კი მექანიკური სამუშაოს შესრულებასაც კი ვულისხმობს. გენიოსი არ არის მხოლოდ შთაგონება, ის შრომაცაა, ტექნიკაცაა.

### 3. გენია და სულღს უნარები

რომელია ის უნარები, რომლებიც გენიოსის მოღვაწეობაში, ე. ი. მხატვრული ნაწარმოების შემოქმედებაში იღებენ მონაწილეობას?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად კანტი საინტერესო მსჯელობას მიმართავს. ზოგჯერ მხატვრულ ნაწარმოებზე ამბობენ სული არ უდვასო, თუმცა გემოვნების თვალსაზრისით არაფერი არა აქვს დასაწუნო. ლექსი შეიძლება იყოს სასიამოვნო და ლამაზი, მაგრამ უსულო, თბრობა შეიძლება იყოს ძალზე ზუსტი და საზრიანი, მაგრამ სულს მოკლებული. საზეიმო სიტყვა შეიძლება იყოს საფუძვლიანი და კობტა, მაგრამ უსულო. ქალზეც კი, აღნიშნავს კანტი, ამბობენ ხოლმე, რომ ის ძრბს მშვენიერი, მაგრამ სულს მოკლებულიაო.

„სული“ აქ ვაგებულობა, როგორც სიცოცხლის მიმნიჭებელი პრინციპი. სული არსებობს მაშინ, ფიქრობს კანტი, როცა სულიერი ძალები მიზანშეწონილად მოდიან მოძრაობაში, როცა ისინი ერთგებიან თამაშში, „რომელიც თვითონ ეხმარება თავის თავს და კიდევ ადიდებს ძალებს ამ მიზნით“ [3, ტ. 5, გვ. 330].

თავად სიცოცხლის მიმნიჭებელი პრინციპი კანტს ესმის როგორც ესთეტიკური იდეების გადმოცემის უნარი. ესთეტიკური იდეა თავისებური ფუნქციონირება. ის არ უნდა გავიგოთ როგორც გონების იდეა. კანტი საგანგებოდ გვაფრთხილებს ამის თაობაზე: გონების იდეა არის ცნება, რომლის ადექვატურიც არ შეიძლება იყოს არავითარი ჰერეტიკა, წარმოსახვაც არც ერთი წარმოდგენა. ესთეტიკური იდეა სრულიად სხვაგვარია, გონების იდეის საპირისპიროა — ის წარმოსახვის წარმოდგენაა, რომლის ადექვატურიც არ შეიძლება იყოს არც ერთი აზრი, ცნება. კანტი წერს, რომ არავითარ ენას არ ძალუძს ლაესებით მიაღწიოს ესთეტიკურ იდეას და გახადოს ის გასაგები. ესთეტიკური იდეა, მაშასადამე, საკუთარი ენით ლაპარაკობს, მისი თარგმნა ცნების ენაზე შეუძლებელია.

ესთეტიკური იდეები კანტთან იმსახურებენ იდეების ზახელს — რამდენადაც ისინი, მსგავსად საერთოდ იდეისა, კერძოდ გონების იდეისა, ცდის მიღმა მდებარესაკენ მიისწრაფვიან. იდეას, როგორც არ უნდა იყოს ის,

ცდის საზღვრებს გარეთ გავყავართ. გონების იდეებს, როგორც ვიცით, „წმინდა გონების კრიტიკიდან“ არ შეეძაბაშება არც ერთი ჰერეტიკა, ის საგნის კონსტიტუციური პრინციპი კი არ არის, არამედ შემეცნების რეგულატორი პრინციპია: მხოლოდ მიმართულებას აძლევს შემეცნებას. ასეთებია, კერძოდ, იდეები ღმერთისა, სამყაროსი, სულისა. ესთეტიკური იდეაც ცდის მიღმისეულია, ამავე ღმრის, როგორც ვთქვით, ის ისეთი ჰერეტიკაა, ინტელიციაა, წარმოდგენაა, რომელსაც ადეკვატური ცნება არ მოეპოვება. სამართლიანად წერს ა. ბოჰორიშვილი „ესთეტიკურ იდეას რომ ადეკვატური ცნება შეეძებნოს, იგი ესთეტიკური აღარ იქნებოდა, გონებას იდეას რომ ადეკვატური ინტელიცია მოეძებნოს, შემეცნება ერთ წერტილზე გაიყინებოდა, ტრანსცენდენტ-ლური იდეა შემეცნების რეგულაციის ფუნქციას ვერ შეასრულებდა და, მაშასადამე, იდეა არ იქნებოდა“ [1, გვ. 146].

ესთეტიკური იდეა წარმოსახვის წარმოდგენაა. მაშასადამე, წარმოსახვის გარეშე გენიოსი არ შეიძლება არსებობდეს. წარმოსახვა ქმნის ესთეტიკურ იდეას, რომელიც გვაძლევს საბაზს ვიფიქროთ ბევრი, მაგრამ ისე, რომ ვერც ერთი აზრი ვერ იქნება ამ წარმოდგენის ადეკვატური. მაგრამ ესთეტიკური იდეა მუდამ დაკავშირებულია განსჯისეულთან — ცნებასთან. „ესთეტიკური იდეა არის მოცემულ ცნებასთან დაკავშირებული წარმოდგენა წარმოსახვისა“ [3, ტ. 5, გვ. 333]. ამრიგად, ნათელია, რომ გენიოსში მონაწილეობს ორი შემეცნებითი უნარი განსჯა და წარმოსახვა, ე. ი. ის უნარები, რომლებიც შემეცნების პროცესსაც ახორციელებენ. შემოქმედება და შემეცნება კანტისათვის ერთი და იგივე უნარებს მოითხოვენ.

მაგრამ მხატვრული შემოქმედება არ არის იგივე, რაც შემეცნება. ამდენად, დასახელებული უნარების ურთიერთობაც განსხვავებული უნდა იყოს შემოქმედებისა და შემეცნების პროცესში. კანტი ნათლად მიჯნავს განსჯისა და წარმოსახვის ურთიერთობის ამ ორ სახეს. შემეცნების პროცესში განსჯა ბატონობს წარმოსახვაზე. წარმოსახვა მთლიანად შეესატყვისება განსჯის ცნებებს. მხატვრული შემოქმედებისას კი წარმოსახვა არ განიცდის რაიმე იძულებას, ის აძლევს განსჯას მდიდარ მასალას, რომელიც განსჯას თავისი ცნებებით არ გაუთვალისწინებია. განსჯა იყენებს ამ მასალას არა უშუალოდ შემეცნებისათვის, არამედ შემეცნებითი ძალების გამოცოცხლებისათვის. გენიოსი, ამრიგად, განსჯის საწინააღმდეგოს არაფერს სჩადის, მაგრამ ის აცდ განსჯის მონაა. გენია, კანტის სიტყვებით, არის აღამიანის უნართა ბედნიერი შესატყვისობა, რომელსაც ვერ გვასწავლის ვერც ერთი მეცნიერება, ვერავითარი მუყაითობა [3, ტ. 5, გვ. 334].

წარმოსახვის ესთეტიკური იდეის გამოხატვის უნარია გონი. სწორედ გონია ის, რასაც შეაქვს სიცოცხლე ხელოვნების ნაწარმოებში. გენია გონის საშუალებით წარმოსახვის მასალას აძლევს ვარკვეულ გამოსახულებას, რომლის მიერ აღძრული სულიერი მდგომარეობა სხვაშაც შეიძლება შეატყობინო, გაავებინო.

#### 4. გენიის კანტისეული გაგების მნიშვნელობის შესახებ

1. გენიოსის ცნების კანტისეული გაგება ერთ-ერთი რთული პრობლემის — მხატვრული შემოქმედების პრობლემის — თავისებური გადაწყვეტის ცდაა. ეს პრობლემა ეხება მხატვრული შემოქმედების ძირეულ საკითხს და

ასე შეიძლება გამოითქვას: რა არის ხელოვნების საფუძველი — დასწავლა, ცოდნა, თუ რაღაც არადასაწავლადი უნარი, ნიჭი, ძალა?

ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში არსებული ერთ-ერთი მძლავრი ტენდენცია რადიკალურად უარყოფს მხატვრულ შემოქმედებაში ცოდნისა და დასწავლის გადაწყვეტ როლს. უკვე პლატონი ატარებს ამ აზრს და მას უპირისპირებს თვალსაზრისს, რომლის თანახმად შემოქმედება არ განსხვავდება ჩვეულებრივი ტექნიკური საქმიანობისაგან. მხატვრული შემოქმედება დიდი ბერძენი ფილოსოფოსისათვის ღვთიური ზემოთავონების შედეგია და არა ცალკეული ხერხების დასწავლა-ათვისებისა: ხელოვანის სახით თავად ღმერთი ლაპარაკობს. „დიდი ეპიკოსი პოეტები საკუთარი ხელოვნების კი არა ზემოთავონებისა და ღვთიურის სიშმაგის წყალობით თხზავენ თავიანთ მშვენიერ პოემებს, — აღნიშნავს პლატონი — იგივე ითქმის ლირიკოს პოეტთა მიმართ: ღვთიური სიშმაგით ცნობამიხდელი და ალტკინებით მროკავი კორიბანტების მსგავსად, ისინიც ცნობამიხდილობის უამს ქმნიან თავიანთ მომხიბლავ ლექსებს. მართლაც, პოეტები რომ ხელოვნების წყალობით ქმნიდნენ და სრულყოფილადაც ქმნიდნენ ერთ რასმე, მაშინ ასევე შექმნიდნენ სხვა დანარჩენსაც. ამიტომაც ართმევს ღმერთი გონებას და თავის მსახურებად, ქურუმებად და მისნებად აქცევს მათ, რათა ჩვენ — მათმა მსმენელებმა — ვიცოდეთ, რომ ისინი — უცნობონი და უგონონი — კი არ ქმნიან ამ დიდებულ ქმნილებებს, არამედ თვით ღმერთი მეტყველებს მათი პირით და, ამრიგად, თავის ზმას გვაწვდენს ჩვენ“ [2, გვ. 29—30]. პლატონის ამ სიტყვებში ხელოვნება ნიშნავს დასწავლულ ხელოვნებას — ხელოსნობას: მშ უკანასკნელის ადგილს პოეტური შემოქმედებისას ღვთიური ძალა იკავებს.

კანტის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ იგი, ერთი მხრივ, აგწმელებს ამ ტენდენციას, ახალ საბუთებს პოულობს მის სასარგებლოდ, მეორე მხრივ კი, ათავისუფლებს მას ისეთ მტკიცებათაგან, რომლებიც ეყრდნობიან რაღაც ზებუნებრივი, ზეადამიანური ძალების აღიარებას. შემოქმედების პროცესი კანტისათვის აღამი იანუარი პროცესია, მაგრამ ამავე დროს ისეთი აქტია, რომლის დასწავლა-გამომანგარიშებაც შეუძლებელია. პლატონის მოძღვრების ის მომენტი, რომელიც მხატვრული შემოქმედების უნიკალობასა და „დაუსწავლელობას“ ეხება, კანტის კონცეფციაში შენარჩუნებულია, „შენახულია“, უკუგდებულია „ღვთიური ძალა“, ე. ი. ის მეტაფიზიკური აშხსნელი პრინციპი, რომლის მტკიცებაც მყარ საფუძველსაა მოკლებული. კანტი ცდილობს გენიოსს არ დაუკარგოს უნიკალობა, შემოქმედებითობა, ორიგინალური პროდუქტის ქმნის შესაძლებლობა, ამავე დროს კანტი უაღრესად რეალისტია. სწორედ ამიტომ მხატვრული შემოქმედების პროცესში კანტთან ღმერთის ადგილს ადამიანისათვის იმანენტური „ბუნება“ იკავებს, კანტის კონცეფციას ენიჭება უდიდესი მნიშვნელობა ისეთი თვალსაზრისებისათვის, რომლებიც მეტაფიზიკურ-მისტიკური ელემენტების გარეშე აგებენ ფილოსოფიურ შენობას — მამსადაშე — ჩვენი თვალსაზრისისათვისაც.

2. მეტაფიზიკურ-მისტიკური ელემენტის უარყოფამ კანტთან არ გააუქმა მხატვრული შემოქმედების ის მხარე, რომელიც აღწერებოდა როგორც „ღვთაებრივი ზემოთავონება“, „ღვთიური სიშმაგე“, მოკლედ, რაც გენიის ყველაზე მთავარი და არსებითი მომენტია. გენიოსი, კანტის თანახმად, ქმნის ისე, თითქოს მას რაღაც ზეგარდმო ძალა კარნახობდეს, მაგრამ ეს ძალა კან-

ტისათვის თავად ადამიანის ძალაა, თუმცა ისეთი, რომელიც არაა ადამიანის მიერ გაცნობიერებული.

ტრანსცენდენტური ღვთაებრივი ძალის ადგილს კანტთან იმანენტური, მაგრამ არა ცნობიერი ძალა იკავებს. კანტის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მის კონცეფციაში მხატვრული შემოქმედება — გენიის ქმედება — გააზრებული იქნა როგორც ცნობიერისა და არა ცნობიერის, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინტელექტისა და ბუნების ერთიანობა. გენიის შემოქმედებითი ძალა, კანტის თანახმად, დევს ადამიანის არსების იმ სფეროში, რომელსაც ბუნებრივს ვუწოდებთ: შემოქმედების პროცესში სწორედ ეს ძალა — თავად სუბიექტისთვის უცნობი, გაუცნობიერებელი — მოქმედებს. შემოქმედია არა ღვთაებრივი ძალა, არამედ ადამიანში არსებული არაცნობიერი ბუნება — სწორედ ამიტომაც რომ გენიის მიერ შექმნილი ყოველი ნაწარმოები, როგორც აღნიშნავს კანტი, „გმეჩვენება ბუნებად“.

ხელოვანი თავის შემოქმედებით ძალეებს არაცნობიერი სფეროდან იღებს, სწორედ ამიტომაც შეუძლებელი შემოქმედების დასწავლა, მხოლოდ შრომითა და გარჯით ხელოვნების ნაწარმოების შექმნა. სწორედ ამიტომაც, რომ ამ არაცნობიერ-ბუნებრივ საწყისს მოკლებული ადამიანი ვერ იქნება ქეშმარიტი ხელოვანი.

კანტი ამ საკითხშიც — მხატვრულ შემოქმედებაში არაცნობიერი და ცნობიერი ელემენტების ურთიერთობის გაგებისასაც — არ არის ცალმხრივი. შემოქმედი მისთვის არ არის მხოლოდ არაცნობიერი ძალის მქონე. ეს ძალა თხოულობს გამოვლენას, თხოულობს გამოსახვას. რეალიზაციის ეს პროცესი კი შეუძლებელია ცნობიერი პროცესის გარეშე — ისეთი მომენტების გარეშე, რომლებიც დასწავლადია. შემოქმედება კანტისათვის სინთეზია ცნობიერისა და არაცნობიერისა...

შელინგი, რომელიც კანტის იგზით მიიღის, განსაკუთრებულ როლს ანიჭებს გენიოსის არაცნობიერ მოქმედებას. მისთვის ხელოვნების ყოველ ქეშმარიტ ნაწარმოებში გამოიხატება ცნობიერი და არაცნობიერი მოღვაწეობა. „ძირითად თავისებურებად — წერს შელინგი — რომელიც ახასიათებს ხელოვნების ნაწარმოებს... უნდა ჩაითვალოს არაცნობიერის უსასრულობა (ბუნებისა და თავისუფლების სინთეზი)“ [5, გვ. 383]. შელინგის აზრით, ხელოვანი, გარდა ცნობიერი შინაარსისა, ცნობიერი ჩანაფიქრისა, მხატვრულ ნაწარმოებში, თითქოს და ინსტინქტის კარნახით, დებს არაცნობიერ შინაარსს, რომელიც უსასრულო მხარეების შემცველია, და ამდენად, სასრულო განსჯისათვის ამოუწურავია. სწორედ ეს ქმნის ქეშმარიტი ნაწარმოების სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. მოჩვენებითი ხელოვნების ერთ-ერთი ნიშანი, შელინგის აზრით, ისაა, რომ მასში წინასწარგანზრახულობასა და ხელოვნურობას უმალ ვხედავთ. ის სხვა არაფერია, თუ არა ხელოვანის ცნობიერი მუშაობის მონური ასლი და, ამდენად, გამოდგება მხოლოდ ბუბის და არა ჭკრეტის ობიექტად [5, გვ. 383].

3. კანტის თვალსაზრისი გენიის არაცნობიერი, არადასწავლადი მოქმედების შესახებ უპირსპირდება ჩვენს ეპოქაში გავრცელებულ ხელოვნების ღირებულებას უარყოფელ ტენდენციას. თანამედროვე ეპოქამ — ტექნიკის, მანქანების არნახული განვითარების ეპოქამ — დაბადა აზრი, რომ ხელოვნების ნაწარმოები, ხელოვნება არ არის რაღაც განსაკუთრებული ხასიათის მო-

ღვაწეობა, რომ არსებითად მისი ქმნა მანქანასაც ძალუძს: საკმარისია მის-  
ცეთ მანქანას ალგორითმი, რომ ის შეთხზავს ლექსს, დაწერს მუსიკალურ  
ნაწარმოებს, მოთხრობას...

კანტის თვალსაზრისი ხელოვნების განსაკუთრებულობას იცავს, იცავს  
იმ აზრს, რომ ხელოვნებას აქვს თავისი საიდუმლო, რომ ხელოვნან ესაჭი-  
როება სრულიად განსაკუთრებული უნარი. ის აზრი, რომ გენიამ თავად არ  
იცის როგორ ქმნის, რომ გენიის, ხელოვნან შემოქმედების აქტის დასწავლა  
შეუძლებელია, რომ ის, ვინც ბრმად შისდევს გენიას, ეპიგონია და არა ჭეშმა-  
რიტი ხელოვანი, სავსებით გამორიცხავს რაიმე ალგორითმის შექმნას ხელო-  
ვნების სფეროში. შეიძლება ითქვას, რომ კანტის ეს მოსაზრება დღეს აქტუა-  
ლურია ისე როგორც არასდროს.

4. გენიოსის კონცეფცია, რომელიც შეიქმნა კანტმა ერთ არსებითი  
ხასიათის ნაკლს შეიცავს: ის ძალზე ზოგადია. შემეცნებლს სფეროში კანტის  
მიერ ისტორიულობის პრინციპის უგულვებლყოფა არაერთგზის აღუნიშნავთ.  
კანტის მიერ გენიოსის პრობლემის გადაწყვეტას იგივე ნაკლი ახასიათებს.  
კანტი არაფერს არ ლაპარაკობს, მაგალითად ისეთ პრობლემებზე, როგორი-  
ცაა: გენია და დრო, გენია და მისი ეპოქა, გენია და ეროვნული კულტურა,  
გენია და საზოგადოება, გენია და კლასი. ამ კონტექსტში გენიის არსების  
განხილვის გარეშე მსჯელობა აბსტრაქტულია და უსიცოცხლო რჩება.

კანტის თეორიას იმასაც უკიყინებენ, რომ მან გენია მხოლოდ ხელო-  
ვნებით შეზღუდა. ჩვენი აზრით, ეს შენიშვნაც სწორი უნდა იყოს. მეცნიერება  
რთული სტრუქტურის ფენომენია. ფაქტების დადგენის სფეროში, რა თქმა  
უნდა, გენიაზე ლაპარაკი ზედმეტი საქმეა, მაგრამ როცა საქმე გვაქვს ფაქ-  
ტების ახსნასთან — ჰიპოთეზების შემუშავებასთან — აქ მეცნიერის შემოქ-  
მედებით ნიჭს გადაწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა. მეცნიერებაში რომ შე-  
მოქმედება სავსებით გამორიცხული იყოს, მასში გამორიცხული იქნებოდა  
გენიაც. მაგრამ რამდენადაც მეცნიერების გარკვეულ უბანში შემოქმედებას  
გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, ამ სფეროში გენიის აუცილებლობაც  
ცხადი უნდა იყოს.

Л. М. ЦЕРЦВАДЗЕ

## ПРОБЛЕМА ГЕНИЯ В УЧЕНИИ КАНТА

Резюме

Цель работы — дать анализ учения Канта о субъекте художественного творчества, выявить положительные и отрицательные моменты этой концепции.

В первой части работы детально разбираются признаки гения, определяющие его сущность и специфику. Гений мыслится Кантом, как способность созидания нового, а не как открытие уже существующего.

Кант одним из характерных признаков гения считал то обстоятельство, что он не может объяснить, как нужно творить. Ведь гений действует в человеке как «природа», т. е. как нечто бессознательное, естественное, непосредственное.

Заслугой Канта в решении проблемы субъекта художественного творчества следует считать то, что он продолжает тенденцию, противопоставляющую творчество технической деятельности (выразителем этой тенденции является Платон), освобождая ее от мистики, от признания «сверхприродной», «сверхчеловеческой» силы. Для Канта гений — нечто божественное в человеке, а природная его сила. Являясь человеческой силой, гений как нечто природно-бессознательное (по Канту), остается феноменом деятельности, чему нельзя обучиться, гений уникален, неповторим, хотя и полностью человечесен. Кант глубоко понял, что художественное творчество является синтезом бессознательного и сознательного.

Кантовское понимание гения особенно актуально сегодня, когда нарастает тенденция, приравнивающая художественное творчество к работе вычислительных машин.

Недостатком кантовской концепции следует считать ее узкий характер. Игнорирование принципа историчности лишает Канта возможности рассмотреть такие фундаментальные проблемы, какими являются: гений и время, гений и национальная культура, гений и общество, гений и класс.

Спорно мнение Канта о том, что в науке нет гения. Объяснение фактов — выработка гипотезы требует творчества, работы воображения, следовательно, и гения.

#### ლიტერატურა

1. ბოქორიშვილი ა. კანტის ესთეტიკა, თბილისი, 1967.
2. პლატონი. იონი, დიდი ჰიპია, მენონი, თბილისი, 1984.
3. Кант И. Собр. соч. в шести томах. М., 1966.
4. Философия искусства в прошлом и настоящем. М., 1981.
5. Шеллинг, Система трансцендентального идеализма, М., 1936.
6. Эккерман И. П. Разговоры с Гёте, изд. Academia, 1934
7. Kröner R. Von Kant bis Hegel, B. I, Verlag von I. C. V. Mohr, 1921.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
 წიგნ-კორესპონდენტმა ნ. კაპეჯაძემ

## ფსიქოლოგია

### პირობი ნორაიძე

#### პიროვნების ქარაქტეროლოგიურ თავისებურებათა როლი სოციალური შრომითი უკუფის ფორმაციასა და ფუნქციონირებაში

თანამედროვე წარმოება წარმოადგენს რთულ სისტემას, რომლის ერთ-ერთ ძირითად რგოლს ადამიანი წარმოადგენს. წარმოების მართვის პროცესის, საწარმოო სისტემის ორგანიზაციის და ფუნქციონირების ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელია ხელმძღვანელის პიროვნება წარმოების მართვის ეტარქიის სხვადასხვა დონეზე.

ამჟამად, პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებების საფუძველზე, სადაც ხაზგასმულია შრომის ბრიგადული ფორმის უდიდესი მნიშვნელობა, აქტუალურ საკითხად იქცა ბრიგადირის, როგორც საწარმოო კოლექტივის ძირითადი ელემენტის, შრომითი კოლექტივის ოფიციალური ლიდერის, პიროვნებისეული თავისებურებების გამოკვლევა; აგრეთვე თვითონ ბრიგადის წევრების ქარაქტეროლოგიური თავისებურებების დადგენა, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიოს ბრიგადირმა საწარმოო კოლექტივის მართვისას.

60-იანი წლებიდან მოყოლებული, საწარმოო კოლექტივის სოციალურ-ფსიქოლოგიური კვლევის საკითხებს მრავალი გამოკვლევა შეიძღვნა.

ამ გამოკვლევებში ხაზგასმულია ბრიგადირების გარკვეული პიროვნებისეული თავისებურებების გაგენა როგორც საკუთარი, ასევე მთელი შრომითი კოლექტივის შრომის ეფექტურობაზე; შეისწავლება მართვის სტილსა და შრომითი კოლექტივების ეფექტურობას შორის არსებული მიმართება, სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის როლი საწარმოო საქმიანობის ამაღლებაში [5; 6].

საბჭოთა ფსიქოლოგია პიროვნების შესწავლისას ემპირისტული, მექანიკური და იდეალისტური მიდგომის დასაძლევად ხელმძღვანელობს საქმიანობისა და ფსიქიკურის ერთიანობის ცნებით, რომელიც დამუშავებულია საბჭოთა ცნობილი ფსიქოლოგების მიერ (დ. უხნაძე, ს. რუბინშტეინი, ტ. ტეპლოვი, ე. მისასჩევი, ნ. ლევიტოვი, ბ. ანანიევი, ლეონტიევი და სხვ.).

მიუხედავად იმისა, რომ ყველა საბჭოთა ფსიქოლოგი, პიროვნების არსის განხილვის დროს ეყარება საქმიანობისა და ფსიქიკურის ერთიანობის ცნებას, პიროვნების ცნების, მისი სტრუქტურის გაგებაში ადგილი აქვს აზრთა სხვადასხვაობას. მაგალითად, ი. ვოლკოვმა კონტენტანალიზმს შეთოდით შეისწავლა საბჭოთა ფსიქოლოგიაში სხვადასხვა ავტორი იმის მიხედვით, თუ რა შინაარსს გულისხმობს იგი პიროვნების ცნებაში და მიიღო საკმაოდ ჭრელი სურათი. პიროვნების ცნებას ყველა ავტორი თავისებურად განსაზღვრავს. ადგილი აქვს განსხვავებული აზრობრივი ნიუანსებით ამ ცნების განმარტებას. კონტენტანალიზმის შედეგად დადგინდა, რომ ზოგად ფსიქოლოგიაში, სო-

ციალურ ფსიქოლოგიაში, სამედიცინო ფსიქოლოგიაში, ფილოსოფიურ ფსიქოლოგიაში, პიროვნების ცნება 9 განსხვავებულ თვალსაზრისს გულისხმობს [2], რომ პიროვნება არის: 1. საზოგადოებრივი განვითარების პროდუქტი; 2. ადამიანის სოციალური თვისება; 3. ინდივიდუალობა; 4. ფსიქოლოგიური ორგანიზაცია; 5. ფსიქოსომატიკური ორგანიზაცია; 6. შეგნებული ზემოქმედების ობიექტი (აღზრდის საგანი); 7. ცნობიერი ზემოქმედების სუბიექტი; 8. მნიშვნელობათა სისტემის მატარებელი; 9. ლინგვისტური ტერმინი.

მიუხედავად პიროვნების ცნების განსაზღვრის ასეთი მრავალფეროვნებისა, ყველა ავტორი ცდილობს პიროვნებას შინაარსი განიხილოს საქმიანობის ცნების ნიადაგზე.

ა. პეტროვსკი, რომელიც ცდილობს დაადგინოს საბჭოთა ფსიქოლოგიაში პიროვნების ცნობილი თეორიებიდან რომელი უფრო ზელსაყრელია სოციალური ფსიქოლოგიის პრობლემების გადასაჭრელად, აღნიშნავს, რომ ბოლო წლებში, საბჭოთა ფსიქოლოგიაში ჩამოყალიბდა რამდენიმე საკმაოდ განვითარებული პიროვნების კონცეფცია, რომლებიც ხასიათდებიან სირთულეებით. მათ რიცხვს მიეკუთვნება თეორიული კონსტრუქცია, დ. უზნაძის სკოლის მიერ შექმნილი განწყობის თეორია, რომლის მიხედვით მთლიანი პიროვნების მოდუსს წარმოადგენს განწყობა, განსაკუთრებთ კი, ფქსირებული განწყობა.

საკითხის შესასწავლად ჩვენ უმთავრესად ვიყენებთ დ. უზნაძის მიერ შექმნილ განწყობის თეორიას, რომელსაც ის უპირატესობა აქვს, რომ ამ თეორიაში დადგენილია განწყობის კვლევის ექსპერიმენტული მეთოდი, აგრეთვე გარკვეულია ამ მეთოდის მიერ მიღებული შედეგების მაღალი კორელაცია და რომელითი მიმართება სხვა ცნობილი მეთოდების მონაცემებთან (კითხვარები, MMPI, პროექციული მეთოდები და სხვა). ამიტომ პიროვნების სტრუქტურის დასადგენად შეგვიძლია გამოვიყენოთ ისეთი მეთოდებიც, რომლებიც უშუალოდ არ იკვლევენ პიროვნების განწყობას (როგორც დამოუკიდებელ ცვლადს), მაგრამ მათი მონაცემების ნიადაგზე შესაძლებელია განწყობის სტრუქტურის ზოგიერთი მნიშვნელოვანი ასპექტის ინტერპრეტაცია [4; 7].

განწყობის ფსიქოლოგიაში სპეციალური გამოკვლევის შედეგად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ხასიათი წარმოადგენს თვისებათა ანუ დიდი პიროვნული წონის განწყობათა ერთობლიობას. ხასიათის ძირითადი თვისებების ერთობლიობა განაპირობებს ადამიანის ქცევის შინაგან ლოგიკას, მის კონსისტენტობას, სტაბილობას. ამიტომ ხასიათის, როგორც პიროვნების არსებით თვისებათა ერთობლიობის კვლევა, ფაქტიურად, ნიშნავს პიროვნების დიდი წონის ფიქსირებული განწყობების კვლევას. თვისებების ფორმირების პროცესი კი, იგივე ფიქსირებული განწყობების ფორმირების პროცესია, რომლის შესწავლა შესაძლებელია არა მხოლოდ ფიქსირებული განწყობის კვლევის კლინიკური მეთოდით, არამედ პიროვნების ფსიქოლოგიაში ცნობილი ადექვატური ფსიქოლოგიური მეთოდებით (დაკვირვება, კითხვარები, პროექციული მეთოდები და სხვა).

აღსანიშნავია, რომ ხასიათის, როგორც ზოგადფსიქოლოგიური მოვლენის, პიროვნების თვისებების ინტრაინდივიდუალური ბუნების ანალიზი, ნაკლებადაა გათვალისწინებული კოლექტივის, კოლექტივში შემავალი მცირე სოციალური ჯგუფების კანონზომიერებათა შესასწავლად. პიროვნების ხასიათი

უმთავრესად განხილულია პიროვნების ინტერინდივიდუალური ანალიზის დონეზე, რაც როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, არაა მიზანშეწონილი.

ტექნიკური ესთეტიკის საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის ერგონომიკის განყოფილებაში, რომელიც მუშაობს შრომის ორგანიზაციის რაციონალიზაციის ფსიქოლოგიურ საკითხებზე (ხელმძღვ. ზ. ბიგვაკა), შედგენილია სისტემური ფსიქოლოგიური გამოკვლევისა და წარმოებაში ადამიანის საქმიანობის გარემოს ფსიქოლოგიური პროექტირების მოდელი. ამ მოდელში ნათლადაა წარმოდგენილი საწარმოო კოლექტივის წარმოებითი მუშაობისათვის ის ძირითადი გარემო — სიტუაციათა იდეალური სისტემა, რომლის ნიადაგზეც კოლექტივის წევრებს შეიძლება შევუშუშაოთ ისეთი შინაგანი მობილიზირებული მდგომარეობა — განწყობა, რომელიც წარმოადგენს ძირითად პირობას შრომითი ნაყოფიერების ამიღებისა და მთლიანი კოლექტივისათვის მიჩნეული ძირითადი დადებითი თვისებების ფორმირებისათვის. ამ მოდელში გამოყოფილია ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი: სოციალურ-ფსიქოლოგიური გარემო, რომლის მაჩვენებელია სოციალური განწყობები (დამოკიდებულებები შრომისადმი, პროდუქციისადმი, ადმინისტრაციისადმი) და ჯგუფის განვითარების დონე (ხელმძღვანელობის სტილი, დაწინაურება, კონფლიქტის მიზეზები, ინტერესები, ლიდერობა, სოციალური აქტივობა, დისციპლინა, სოციალური ზემოქმედებისადმი მდგრადობა). სოციალური ჯგუფის წევრი უპირველეს ყოვლისა ინდივიდუალობაა, პიროვნება, რომელსაც აქვს ხასიათი — შედარებით მყარი შინაგანი სტრუქტურა. მისი ჯგუფის წევრად გახდომა, ჯგუფის არსებული სოციალური განწყობების გათავისება, ჯგუფის განვითარების დონის მახასიათებლებთან ადაპტაცია და ჯგუფის მთლიანობისა და მისი წარმატებისათვის აქტივობა ხდება მისი ინდივიდუალობის უნიკალური პიროვნების არსებით თვისებებთან ორგანულ კავშირში, მათი აქტივობის ნიადაგზე, რომელიც შეიძლება მიმდინარეობდეს პარამონიულად, პიროვნების შინაგანი წონასწორობების დარღვევის გარეშე ან პირიქით, კონფლიქტურად, შინაგანი და გარეგანი კონფლიქტების თანხლებით. სოციალური ჯგუფისათვის დამახასიათებელი სოციალურ-ფსიქოლოგიურ მაჩვენებლებსა და პიროვნებების ხასიათებნ შორის არსებული მრავალი განსხვავებული შინაარსის ურთიერთმიმართება სპეციალურ ექსპერიმენტულ კვლევას მოითხოვს. ჩვენი კვლევის საგანია, ამ დიდი, მრავალმხრივი, რთული პრობლემიდან მხოლოდ ერთი საკითხი — პიროვნების, როგორც ინდივიდუალობის ფაქტორის როლი საწარმოო კოლექტივის მთლიანობის ჩამოყალიბებაში. ამ საკითხის კვლევაში განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება საწარმოო ჯგუფის ლიდერის (ბრიგადირის) და ამ ჯგუფის წევრების პიროვნების განწყობის სტრუქტურის თავისებურების ფაქტორის როლის დადგენას. საბოლოოდ ჩვენი კვლევის მიზანია: 1. დავადგინოთ პიროვნებათა შორისი ურთიერთობანი შრომით ჯგუფებში, განვსაზღვროთ ჯგუფის წევრების სოციალური სტატუსები; 2. დავადგინოთ შრომითი ჯგუფის წევრების განწყობის სტრუქტურის თავისებურებები, ვაწარმოთ შედარებითი ანალიზი ოფიციალური, არაოფიციალური ლიდერებისა და „გარიყულების“ გამოსაკვლევ ჯგუფებში; 3. შევისწავლოთ შრომით ჯგუფებში განსხვავებული სოციალური სტატუსის მქონე წევრების პიროვნების ქარაქტეროლოგიური მაჩვენებლები, მათი ძირითადი ტენდენციები და მიმართულებები; 4. დავახასიათოთ შრომით ჯგუფებში სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი; 5. განვსაზღვროთ სო-

ციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის მაჩვენებლების დამოკიდებულებები შრომით ჯგუფებში; 6. დავადგინოთ ჯგუფის სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის მაჩვენებლების მიმართება ოფიციალური ლიდერის პიროვნების სტრუქტურასთან.

ჩვენს მერ დასმული პრობლემის გადასაწყვეტად ჩატარებულ იქნა ექსპერიმენტული გამოკვლევები ქ. თბილისის შაუდ-კამოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ 15 ბრიგადაში. კვლევისათვის გამოყენებული იყო სოციომეტრული მეთოდი, ვ. შორენოს მეთოდის ჩვენს მიერ მოდიფიცირებული ვარიანტი, ფიქსირებული განწყობის მეთოდი [7], პიროვნების კვლევის მრავალფაზოვანი კითხვარი (MMPI), წარმოებაში სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გამოსაკვლევი კითხვარი.

სოციომეტრული მეთოდი [3]. სოციომეტრული მეთოდი გამოიყენება მცირე სოციალური ჯგუფების და კოლექტივების სტრუქტურის სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტის გამოსაკვლევად, პიროვნების როგორც ჯგუფის ელემენტის შესასწავლად. სოციომეტრიის საშუალებით იზომება კოლექტივში პიროვნებათაშორისი და ჯგუფთაშორისი ურთიერთობანი, შეისწავლება ადამიანთა სოციალური ქცევის ტიპოლოგია ჯგუფური საქმიანობის პირობებში, რომლის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ კონკრეტული ჯგუფის წევრების ურთიერთშეთავსებადობაზე. ჩვენი მიზანი იყო სოციომეტრული გამოკვლევით დაგვედგინა თითოეული შრომითი კოლექტივის (ბრიგადის) წევრის სოციალური სტატუსი, გამოგვევლინა ჯგუფის არაფორმალური ლიდერი, „გარიყულები“, გაგვეზომა ბრიგადებში მთლიანობის (სიმკიდროვის) დონე. მიღებული შედეგები მოყვანილია № 1 და № 2 ცხრილებში.

ცხრილი № 1

ბრიგადის №	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
ბრიგადაში წევრთა რაოდენობა	17	20	20	19	19	28	25	22	20	15	22	18	18	25	30
წევრთა რაოდენობა მაღალი სტატუსით +0,5-დან +1,0	3	2	2	1	4	3	3	1	2	1	4	4	3	1	3
წევრთა რაოდენობა საშუალო სტატუსით -0,25-დან +0,25	6	11	6	10	8	14	10	12	10	8	10	9	9	14	16
წევრთა რაოდენობა დაბალი სტატუსით -1,0-დან -0,5	2	1	2	—	2	6	2	4	4	1	2	—	1	2	4

ბრიგადის №	1	2	3	4	5	6
ბრიგადის სოციალური სტატუსი	0,55	-0,02	0,72	0,34	0,76	0,69
არაფორმალური ლიდერის სოციალური სტატუსი	0,6	0,78	0,72	0,56	0,76	0,69
„გარიყულის“ სოციალური სტატუსი	-0,62	-0,43	-0,59	-0,36	-0,60	-0,80

თხუთმეტი ბრიგადის სოციომეტრული მეთოდით კვლევის გზით გამოყოფილი იყო შინაგანი მთლიანობის მიხედვით განსხვავებული სამი ტიპის ბრიგადა. ამ ბრიგადების ყველა წევრი, ოფიციალური და არა ოფიციალური ლიდერები, „გარიყულნი“, ბრიგადის რიგითი წევრები, შესწავლილი იყვნენ ფიქსირებული განწყობის მეთოდით. გამოკვლეული იყო მათი განწყობის აგზნებადობის მინიმუმი და ოპტიმუმი, განწყობის სიმტკიცე, კონსტანტობა, სტაბილობა; ამ მონაცემთა გათვალისწინების ნიადაგზე დადგინდა თითოეული ცდისპირის განწყობის ტიპოლოგიური თავისებურება. ახლა ვნახოთ რა სახის მიმართება დადასტურდა ფიქსირებული განწყობის მეთოდით დადგენილი ბრიგადის ლიდერების, „გარიყულების“, მთლიანად ბრიგადის წევრების განწყობის თავისებურებებსა და ბრიგადის მთლიანობის გამომხატველ სოციომეტრულ მაჩვენებლებს შორის. კვლევის შედეგები მოყვანილია № 3, № 4 ცხრილებში. ამ ცხრილებიდან ჩანს, რომ ლიდერების განწყობის აგზნებადობის მინიმუმის საშუალო მაჩვენებელი უდრის 2,6 საგანწყობო ექსპოზიციას, რაც იმას ნიშნავს, რომ ექსპერიმენტულ პირობებში საკმარისია 2,6 საგანწყობო ცდების რაოდენობა, რათა ცდისპირს პირველად აღმოუცენდეს განწყობის ეფექტი; შემუშავებული განწყობა საკმაოდ მტკიცეა (6,8 კონტრასტული ილუზია). განწყობის აგზნებადობის ოპტიმუმი აღწევს 18,5 საგანწყობო ექსპოზიციას. 18—19 საგანწყობო ექსპოზიციამდე ლიდერებს უმუშავდებათ მტკიცე განწყობა. ასეთი განწყობა კონსტანტურია. მათი განწყობა არა მხოლოდ კონსტანტურია, არამედ სტაბილურიც. ერთხელ ექსპერიმენტში შექმნილი განწყობა დროში გამძლეა. განწყობის სტაბილობის სიმტკიცის საშუალო მაჩვენებელი უდრის 8,3 ექსპოზიციას.

განსხვავებულ სურათს გვაძლევს ე. წ. „ანტილიდერების“, „გარიყულების“ ფიქსირებული განწყობების მაჩვენებლები. განწყობის აგზნებადობის მინიმუმი უდრის 3,8 საგანწყობო ექსპოზიციას (ლიდერები — 2,6 საგანწყობო ექსპოზიციის). ანტილიდერებს სჭირდებათ საგრძნობლად მეტი რაოდენობის საგანწყობო ექსპოზიცია, რომ მათში პირველად თავი იჩინოს განწყობის ეფექტმა, ამავე დროს ეს ეფექტი უფრო სუსტია, ვიდრე ლიდერებისათვისაა ნიშნული. განწყობის ოპტიმუმისა და ამ უკანასკნელის მიხედვით შექმნილ განწყობის ეფექტს შორის საგრძნობი განსხვავებაა — ლიდერებში 18,5 საგანწყობო ექსპოზიციით შექმნილი განწყობის ეფექტი უდრის 9,2 კონტრასტულ ილუზიას, რომელიც კონსტანტურია და სტაბილური, ანტილიდერებში 15,4 საგანწყობო ექსპოზიციით შექმნილი განწყობის სიმტკიცის მაჩვენებელი 11,4 კონტრასტული ილუზიაა, კონსტანტობის და სტაბილობის ცდებში

ცხრილი № 2

7	8	9	10	11	12	13	14	15
0,72	0,56	0,22	0,48	0,62	0,78	0,75	0,60	0,10
0,72	0,56	0,62	0,70	0,76	0,78	0,78	0,60	0,65
-0,61	-0,68	-0,59	-0,52	-0,58	-0,40	-0,52	-0,62	-0,75

გამოვლენილი განწყობის ეფექტი შედარებით სუსტია, თავს იჩენს ვარიაბილობისა და ლაბილობის ტენდენცია. ეს განსხვავება სტატისტიკურადაც აანდოა.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ნიშნულის განწყობის პლასტიკურობა, დინამიკურობა და სტაბილობა, ე. ი. ამ უკანასკნელთა განწყობა ტოპოლოგიურადაც თავისებურია. მათგან განსხვავებით ე. წ. „გარიყულების“ ფიქსირებული განწყობა ძირითადად ტლანქია, სტატიკური, ვარიაბილური და ლაბილური. იხ. ცხრილი № 4.

ცხრ. № 3

	რაოდ.	გან-ის აგზ. მინიმუ.	ქ. რ. მ. ნ. ში	გ-ის აგზ-ს ოპტიმ.	ქ. რ. აგზ. ოპტ. ში	ქ. რ. კონსტ-ში	ქ. რ. სტაბ-ლობაში
ლიდერი	7	2,6	6,8	18,5	19,2	20,4	8,3
„გარიყული“	8	3,8	4,2	15,4	11,4	10,8	4,8
		P<0,05	P>	P>	P<0,05	P<0,05	P<0,05

ცხრილი № 4

	რაოდ.	მეტოპია	სუსტა სმეტოპია	ტლანქი	პლასტ.	ტიპი			სტატიკური	ლაბილური
						1	0	2		
ლიდერი	7	6 85,7%	1 14,3%	2 28,2%	5 71,8%	6 85,7%	1 14,3%	0	5 71,8%	2 28,2%
„გარიყული“	8	3 37,5%	5 62,5%	6 75%	2 25%	2 25%	2 25%	4 50%	2 25%	6 75%

ლიდერებისათვის დამახასიათებელი განწყობა განაპირობებს მათი გარემოსთან შეგუების სიადვილეს, პლასტიკურობას, მთლიანობას, ჰარმონიულობას, საერთოდ პიროვნების სტაბილობას, ინტერესების ექსტრავერტულ მიმართულებას, კომუნიკაბელობას, ოპტიმისტური, ჯანმრთელი ემოციური განცდების სიჭარბეს და ა. შ. „გარიყულებისათვის“ დამახასიათებელი განწყობა (სტატიკურობა, სიტლანქე) მიუთითებს, რომ მათთვის დამახასიათებელია სოციალურ გარემოსთან შეგუების, ერთი სიტუაციიდან მეორეზე გადასვლების, ვარიაბილობის სიძნელე, იმპულსურობა, ცხოვრების კრიტიკულ, ექსტრემალურ სიტუაციებში ღრმა შინაგანი კონფლიქტები.

ამრიგად, მეორე სერიის ექსპერიმენტები უჩვენებენ, რომ პოლარული სოციალური სტატუსის მქონე მაჩვენებლების ჯგუფის წევრები ურთიერთისაგან განსხვავდებიან ქარაქტეროლოგიური სტატუსის მიხედვითაც. როგორც ენახეთ სოციალურად ადაპტირებული ადამიანებისათვის დინამიკური განწყობის ტიპია დამახასიათებელი, ძნელად ადაპტირებულებისათვის კი რიგიდული, ვარიაბილური განწყობა.

ჩვენი ამოცანის შესაბამისად აუცილებელი იყო გამოვევრკვია ფიქსირებული განწყობის მიხედვით თუ რა განსხვავებაა ოფიციალურ ლიდერებსა

და შრომით ჯგუფებში მოქმედ არაფორმალურ ლიდერებს შორის, რომელთაც არა აქვთ ხელმძღვანელის ოფიციალური სტატუსი. ამ მიზნით ფიქსირებული განწყობის მეთოდით შესწავლილი იყო შრომითი ბრიგადების ორი ჯგუფი. პირველ ჯგუფში შედიოდნენ ოფიციალური ხელმძღვანელები, რომელნიც ამავე დროს ითვლებოდნენ არაფორმალურ ლიდერებად, მეორე ჯგუფში კი შედიოდნენ არაფორმალური ლიდერები, რომელთაც არ ჰქონდათ ხელმძღვანელის ოფიციალური სტატუსი.

ცხრილი № 5

	რაოდ.	გ-ის ავზ. მინ.	კ.ი.რ. მინ-ში	გ-ის ავზ. მაქ.	კ.ი.რ. ავზ. მაქ.	კ. ი. რ. კონსტ-ში	კ. ი. რ. სტაბილობა
ოფიციალური ლიდერი	4	2,4	8,2	17,2	18,4	19,6	7,6
ფორმალური ლიდერი	8	2,8	9,6	16,8	15,2	14,8	5,2

ცხრილი № 6

	რაოდ.	მეორე გ-ა	სუსტ. გ-ა	ტლანქი	პლასტ.	ტ ი პ ი			სტაბილ.	ლიბილ.
ოფიციალური ლიდერი	4	3	1	1	3	3	1	0	3	1
ფორმალური ლიდერი	8	5	3	4	4	4	2	2	5	3

კვლევის შედეგები (იხ. №№ 5, 6 ცხრილი) უჩვენებენ, რომ შათ შორის ფიქსირებული განწყობის ტიპებისა და განწყობის ცალკეული კომპონენტების მაჩვენებლებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ აღმოჩნდა. როგორც ცხრილიდან ჩანს, ორივე ჯგუფი ზემოთ აღნიშნული თვისებების მიხედვით უმნიშვნელოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ამ შედეგების წიხედვით ირ. ავევა, რომ როგორც მცირე შრომითი ჯგუფების არაფორმალური ლიდერი, აგრეთვე ოფიციალური ლიდერი, ძირითადად, დინამიკური განწყობის ადამიანები არიან, მათი ზოგადი ნიშანი განწყობის დინამიკურობაა, რომელიც ყოველთვის ნათლად ჩანს მის სოციალურ დამოკიდებულებაში. მცირე ჯგუფის ლიდერად შერჩევისას როგორც შრომის მთლიანი საწარმოო კოლექტივი, რომელიც ნიშნავს მცირე სოციალური ჯგუფის ოფიციალურ ლიდერს, ისე თვითონ სოციალური ჯგუფი (შრომის ბრიგადა) უპირატესობას აძლევს ადამიანს, რომელიც თავისი პიროვნების შინაგანი ორგანიზაციით განწყობის დინამიკურობის დაღითაა აღბეჭდილი. ამავე დროს შეიძლება ისიც აღინიშნოს, რომ ბრიგადის წევრები უპირატესობას ანიჭებენ ისეთ ხელმძღვანელს, რომელსაც განწყობის დინამიკურობასთან ერთად სიტლანქის ტენდენციაც ახასიათებს. განწყობის ფსიქოლოგიაში ცნობილია [4, 7], რომ მტყიცე, ტლანქი-დინამიკური, კონსტანტურ-სტაბილური განწყობის პიროვნება დინამიკურობასთან — გარემოს შესატყვის აქტიურ ადაპტაციურობასთან ერთად ხასიათდება მძლავრი მიზანსწრაფვით, შიღწევის მო-

თხოვნისათვის, „ზომიერი“ დომინანტობის ტენდენციით, ქოლერეული ტემპერამენტის ადამიანისათვის ნიშნული ენერგიულობით, რაც უთუოდ მოწონებას იმსახურებს შრომითი შვირე ჯგუფების წევრებს შორის. კვლევის აღნიშნული შედეგები, მათი დიდი მნიშვნელობის გამო, მოითხოვენ უფრო მეტ მასალაზე დამატებით შემოწმებას.

სოციომეტრიული მეთოდით შრომითი ჯგუფების შესწავლის შედეგად გამოყოფილი იყო შინაგანი მთლიანობის ხარისხის მიხედვით სამი ურთიერთისაგან განსხვავებული ჯგუფი. მთლიანობის მიხედვით ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო მეორე ჯგუფმა (0,4), ყველაზე დაბალი პირველმა (0,22), მესამე ჯგუფის მთლიანობის მაჩვენებელია (0,31).

ამ მონაცემების საფუძველზე შეიძლება ვიმსჯელოთ საკვლევი ჯგუფების მთლიანობის მაჩვენებლების გრადაციასზე (მეორე ჯგუფი მაღალი სოციალური მთლიანობით ხასიათდება, მესამე საშუალოთი, ხოლო პირველი ჯგუფი დაბალი მთლიანობის გამოხატუვლია). ამ მონაცემების მიხედვით შესაძლებლობა მოგვეცა ერთმანეთისათვის შეგვედარებინა ეს ჯგუფები ფიქსირებულ განწყობის მაჩვენებლების მიხედვით. ფიქსირებული განწყობის კვლევის შედეგები მოცემულია № 7 და № 8 ცხრილებში.

ცხრილი № 7

	ფიქსირებული განწყობის ტიპები		
	დინამიური	სტატიკური	ვარიაციული
1	52,4%	33,3%	14,3%
2	78,3%	13,3%	8,4%
3	69,6%	17,4%	13,0%

ცხრილი № 8

	დინამიკ. ტიპ. ფ. განწ.		სტატიკ. ტიპი ფ. გან.		ვარიაციულ. ტიპი ფ. გან.	
	ტლანქი	პლასტიკური	ტლანქი	პლასტიკ.	ტლანქი	პლასტიკურა
1	72,7%	27,3%	28,6%	71,4%	33,3%	66,7%
2	22,2%	77,8%	33,3%	66,7%	—	100
3	31,3%	68,7%	25,0%	75%	—	100

ექსპერიმენტული მასალების კვლევის შედეგების ანალიზი ადასტურებს, რომ ამ შემთხვევაში განწყობის ზემოთ აღნიშნულ ჯგუფებს შორის სტრუქტურის ცალკეული კომპონენტების მიხედვით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ აღმოჩნდა, მაგრამ განწყობის სტრუქტურის ტიპოლოგიური თავისებურებების მიხედვით მნიშვნელოვან განსხვავებას აქვს ადგილი. დადასტურდა, რომ მეორე და მესამე ჯგუფის წევრებისათვის დამახასიათებელია განწყობის დინამიკურობა, პირველი ჯგუფის წევრებისათვის კი, სიტლანქი და ვარიაციულობა.

ექსპერიმენტების მე-3-ე სერიაში პიროვნების მრავალფაზიანი კითხვარის (MMPI) საშუალებით გამოკვლეული იყო სოციალური შრომითი ჯგუფის განსხვავებული სოციალური სტატუსის მქონე წევრების ქარაქტეროლოგიური მაჩვენებლები, დადგინდა მათი ძირითადი ტენდენციების ხარისხი. ამ კითხვარის საშუალებით მიღებული შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ საშუალო და მაღალი შემჭიდროების (მთლიანობით) დონეების ჯგუფები MMPI-ს საშუალო პროფილის მიხედვით მცირედ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ხოლო დაბალი შემჭიდროების (მთლიანობით) დონის ჯგუფის საშუალო პროფილი განსხვავდება ზემოთ აღნიშნული ჯგუფების მაჩვენებლებისაგან. კერძოდ, საშუალო მაჩვენებლები პროფილის 4 სკალაზე — ფსიქოპათიის, პარანოიის, ფსიქოსთენიის და შიზოფრენიის სკალაზე, მნიშვნელოვნად ქარბობს მაღალი შემჭიდროების დონის ჯგუფების შესაბამის მონაცემებს.

შედეგებიდან ჩანს, რომ ამ ჯგუფებში (დაბალი მთლიანობის ჯგუფი) დაბალი კონფორმულობა და თვითკონტროლი გამოხატულია კონფლიქტური ტენდენციების, ასოციალური ქცევებისკენ მიდრეკილებების სახით. მაგალითად, პარანოიის სკალაზე მაღალი მონაცემი მიგვიჩივებს, რომ მათ ახასიათებთ ჭარბი დომინანტობა, აგრესიულობა, რიგიდული ქცევა, ფსიქოსთენური სკალის მაღალი მონაცემი ადასტურებს, რომ ჯგუფის წევრი შეპყრობლია ავითდაუქმავი ფილანტროპიის განცდით. შიზოფრენიის სკალის მაღალი მონაცემი ნიშნავს პიროვნების ჩაკეტილობას, იმპულსურობას; მაგრამ, ამავე დროს, სკალის იგივე მაჩვენებლები არ გამოხატავს საკვლევი ჯგუფის ისეთ თვისებებს, როგორცაა: გამჭრიახი გონება, ენაშახვილობა და ინტერესების მრავალფეროვნება. მიღებული შედეგების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ დაბალი შემჭიდროების დონის შრომითი ჯგუფებში პრევალირებულია ისეთი სტრუქტურები, რომელთა მონაცემები პიროვნების მრავალფაზიანი კითხვარის რიგ სკალაზე ნორმიდან გადახრას უჩვენებენ.

ამ მონაცემების სტატისტიკური დაშუშავებისათვის გამოყენებული იყო კორელაციური ანალიზის მეთოდი.

ამრიგად, მცირე სოციალური შრომითი ბრიგადების ოფიციალური, არაოფიციალური და „გარიყულუბის“ აგრეთვე, მთლიანობის მიხედვით, სამი განსხვავებული კატეგორიის ბრიგადების ცალკეული რიგითი წევრების, ფიქსირებული განწყობის მეთოდით, აგრეთვე მრავალფაზიანი კითხვარით კვლევამ დაადასტურა, რომ პიროვნების სტრუქტურის ტიპოლოგიის ფაქტორს (რომელიც განაპირობებს პიროვნების ხასიათის ტიპოლოგიასაც) უთუოდ მნიშვნელობა აქვს შრომითი საწარმოო მთლიანი კოლექტივის შემადგენელი მცირე ჯგუფის, კერძოდ, შრომითი ბრიგადების ორგანიზაციისათვის ადგილებზე ზოგიერთი მნიშვნელოვანი ასპექტის, კერძოდ, მისი შინაგანი მთლიანობის, დინამიკურობის და მართვის ეფექტურობის დასახასიათებლად. აღნიშნული ცდების მიხედვით გამოირკვა, რომ მაღალი მთლიანობის ნიშნის მქონე ბრიგადირები (ოფიციალური და არაოფიციალური) დინამიკური განწყობის აღამიანებია (პლასტიკური-დინამიკური და ტლანქი-დინამიკური განწყობის სტრუქტურები).

ეს მონაცემები აყენებენ მცირე შრომითი ჯგუფებში (საერთოდ, მთლიანი შრომითი საწარმოო ორგანიზაციის, რომლის ერთ-ერთ ნაწილს წარმოადგენს შრომითი ბრიგადა) შესატყვისი ლიდერის შერჩევის ფსიქოდიანოსტიკის საკითხს. საბჭოთა საწარმოს სოციალურ ფსიქოლოგიაში ამ საკითხის

შესახებ არსებობს მნიშვნელოვანი გამოკვლევები. გ. ანდრეევს აზრით, ამ ამოცანის გადაწყვეტის სირთულე და სიძნელე მდგომარეობს იმაში, რომ სოციალისტური კოლექტივის პრობლემატიკა უნიკალურია, მას არ აქვს პრეცედენტი მსოფლიო მეცნიერებაში, ამიტომ აუცილებელია ამ საკითხის მეცნიერული შესწავლა. საპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სოციალისტური კოლექტივის კანონზომიერების შესასწავლად მიუღებელია დასავლეთის სოციალური ფსიქოლოგიის გამოცდილება და თეორიული შეხედულებები, სადაც ხელმძღვანელობის პრობლემა მუშაუდებმა ტრადიციული ლიდერობისა და ჯგუფის დინამიკის სხვადასხვა კონცეფციის ჩარჩოებში. ამავე დროს თითქმის ნახევარსაუკუნოვანი კვლევის შედეგად ბურჟუაზიულმა მეცნიერებამ ლიდერობის ფენომენის შესახებ მოგვცა მთელი რიგი საკმაოდ მნიშვნელოვანი დებულებები და მეთოდები, რომლებიც შესატყვისი მოდიფიკაციით შეიძლება გამოყენებულ იქნენ სამამულო სოციალური ფსიქოლოგიის პრაქტიკაში. მიუხედავად დახვეწილი ექსპერიმენტული მიდგომისა, მონაცემების ზუსტი რეგისტრაციისა და მიღებული შედეგების ანალიზის ტექნიკის მაღალი დონისა, დასავლეთის სოციალური ფსიქოლოგია უუნარო აღმოჩნდა ჩამოეყალიბებინა გარკვეული თანამიმდევრული თეორია, რომელიც ახსნიდა ლიდერობისა და ხელმძღვანელობის პრობლემას მცირე ჯგუფების ფარგლებში მდგომარეობაში [5].

დასავლეთის სოციალურ ფსიქოლოგიაში ლიდერობის პრობლემის შესახებ არსებული მრავალი გამოკვლევის განმაზოგადებელი ნაშრომების (რომელთა ნიმუშები მოცემულია ამერიკული სოციალური ფსიქოლოგიის კომპილაციებში) ანალიზის მიხედვით არსებობს ლიდერობის სამი თეორია: 1. თვისებების თეორია, 2. თვისებათა კონსტელაციის თეორია, 3. ურთიერთქმედების თეორია. საბჭოთა სოციალურ ფსიქოლოგიაში მოცემულია აქ დასახელებული თეორიების კრიტიკული ანალიზი. ხაზგასმულია ამ თეორიებში მოცემული დადებითი მხარეები. ჩვენთვის აქ საინტერესოა ურთიერთქმედების თეორიის ძირითადი ასპექტები. ამ თეორიის მიხედვით, ნებისმიერი სოციალური ჯგუფი არის ურთიერთქმედებათა სისტემა, რომლის შეიქმნაში მუშაუდებმა გარკვეული სტაბილური ურთიერთობა, რომელიც განაპირობებს თითოეული წევრის მიმართ ჯგუფის მოლოდინს: 1. თუ რა როლი უნდა შეასრულოს მან ჯგუფში, რას მოელიან მისგან, 2. როლის დიფერენციაცია, როლის შესრულების თავისებურება განსაზღვრულია ცალკეული პიროვნების ხასიათის თვისებებით, უნარებით, რითაც იგი განსხვავდება ჯგუფის სხვა წევრებისაგან; 3. ლიდერობა არის ჯგუფში მიმდინარე შინაგანი პროცესის ერთი ასპექტი, რომელიც გამოიხატება ერთი რომელიმე ჯგუფის წევრისათვის ლიდერის როლის მინიჭებაში — მის მიმართ გარკვეული მოლოდინის შემუშავებაში, 4. ლიდერობა, როგორც ყოველი რეალური ჩვევა არის პიროვნული თვისებების და სოციალური სისტემების ფუნქციონირების დინამიკური ურთიერთობა. ლიდერობა ასახიერებს მისი მიმდევრების მრავალ თვისებას და მათ შორის ურთიერთობა შეიძლება იყოს ისე შვიდრო, რომ ძნელია განვსაზღვროთ ვინ ახდენს გავლენას და რამდენად.

ამ თეორიის ავტორების ძირითად ამოცანას შეადგენს ლიდერობის შესახებ არსებული ყველა მიდგომის ვაერითიანება, ყველა აქამდე არსებულ კონცეფციათა სინთეზი, რაც უზრუნველყოფს ლიდერობის ჭეშმარიტი, ყველასათვის მისაღები კონცეფციის გამოქვეყნებას [1; 8], [9; 10].

ეს შეხედულება საბჭოთა სოციალური ფსიქოლოგიის მიხედვით ყველაზე გონიერ კონცეფციად ითვლება. საბჭოთა ფსიქოლოგების აზრით, ეს თეორია ეყრდნობა სრულიად საღ მოსაზრებას, რომ ლიდერი არ არსებობს მიმდევრების გარეშე. ამ მიდგომაზე დაფუძნებული ემპირიული გამოკვლევები ობიექტურად ადასტურებენ მარქსის დებულებას, რომ სოციალური პროცესი მასების შემოქმედების პროდუქტია, მაგრამ, ამავე დროს, ამ თეორიის მიხედვით, იგნორირებულია ცალკეული ინდივიდის საქმიანობა, მათი აქტივობა. ამ კონცეფციის ნაკლი, გარდა მისი აპოლოგეტური ხასიათისა არის ის, რომ მრავალი ფაქტორის შემცველი ამგვარი სოციალური ფენომენის ახსნითი მოდელის შესაბამისად კმაყოფილებიან მხოლოდ ფსიქოლოგიური ფაქტორებით.

საბჭოთა სოციალურ ფსიქოლოგიაში ხაზგასმულია, რომ ამ პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზე, რომელიც რთული სოციალური მოვლენების შემეცნებისას ემყარება ისტორიულ-გენეტიკურ და სისტემურ-სტრუქტურულ ახსნას. სოციალური მოვლენის ამ რთულ სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს იმ სოციალურ გარემოს, რომელიც განაპირობებს საწარმოო კოლექტივის ჩამოყალიბებას, მის სტრუქტურულ თავისებურებას, ამ საწარმოს კოლექტივის სოციალურ მიკროსტრუქტურას, რომლის ერთ-ერთ უჯრედს წარმოადგენს მცირე შრომითი ჯგუფი — ბრიგადა, რომელსაც გააჩნია თავისი შინაგანი კანონზომიერებანი. მთლიანი საწარმოო კოლექტივის, მასში შემავალი მცირე შრომითი ჯგუფების ხელმძღვანელობის ბუნების ახსნა და გაგებაში შეუძლებელია შემოვიფარგლოთ მხოლოდ ხელმძღვანელის პიროვნების უნარების დადგენით. ამიტომ ფსიქოლოგიაში შემოღებულია სისტემური ხასიათის ცნება — ორგანიზაციული პოტენციალი, რომელიც გულისხმობს არა მხოლოდ პიროვნების (ლიდერის) თვისებებს, რაც ამ ცნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, არამედ სოციალური გარემოს იმ რთულ პარამეტრებს, რომლებშიც ყალიბდება პიროვნების, როგორც ლიდერისათვის დამახასიათებელი ქცევა. ორგანიზაციული პოტენციალი, როგორც პიროვნული თვისება უთუოდ ფსიქოლოგიის საგანია. ამ პოტენციალის, როგორც პიროვნების თვისების მეცნიერული ანალიზი შესაძლებელია ისეთი ფსიქოლოგიური ცნების ნიადაგზე, რომელიც ემყარება პიროვნების შინაგანისა და გარეგანის, ფსიქიკურისა და გარემოს ერთიანობის პრინციპს — ემყარება საბჭოთა ფსიქოლოგიაში დამუშავებულ განწყობისა და საქმიანობის თეორიას [1; 5].

წინა თავში ვიხილეთ, რომ ყოველივე იმას, რაც ნების ობიექტად გვევლინება მორალურ კანონამდე, ნების განმსაზღვრელ საფუძველთა რიგიდან, როგორც უპირობოდ კეთილის სახელის მატარებელს, გამორიცხავს თვით ეს კანონი, როგორც პრაქტიკული გონების უმაღლესი პირობა; და ოდენ პრაქტიკული ფორმა, რომელიც მდგომარეობს საყოველთაო კანონმდებლობისათვის მაქსიმუმის გამოსადგეობაში, პირველი განსაზღვრავს იმას, თუ რაა თავისთავად და უცილობლად კეთილი, აფუძნებს რა წმინდა ნების მაქსიმას,—ნებისა, რომელიც (და მხოლოდ იგი) კეთილია ყველა თვალსაზრისით. მაგრამ ჩვენი ბუნება, რაკილა იგი გრძობად არსებათა ბუნებაა, იმგვარად არის მოწყობილი, რომ, უწინარეს ყოვლისა, ნდომის უნარის მატერია (მიღრეკილების—იმედისა თუ შიშის—საგნები) აგვეკვიატება; და ჩვენი პათოლოგიურად განსაზღვრადი „მე“, თუმცა კი იგი თავისი მაქსიმუმის მხრივ სრულიად უფარვისა საყოველთაო კანონმდებლობისათვის, მიუხედავად ამისა, თითქოსდა მთელს ჩვენს თვითობას შეადგენდესო, ლამობს წინ წამოსწიოს თავისი პრეტენზიები, როგორც უპირველესი და ამოსავალი. ამგვარ მისწრაფებას—ჩვენი თვითნებლობის განმსაზღვრელი სუბიექტური საფუძვლისდა მიხედვით ჩვენი თავი საერთოდ ნების განმსაზღვრელ ობიექტურ საფუძველად ვაქციოთ, შეგვიძლია თავის მოყვარეობა ვუწოდოთ, რომელსაც თვითგანდიდება დაერქმეოდა, თუ იგი თავის თავს კანონმდებლად და უპირობოდ პრაქტიკულ პრინციპად დაგვისახავს. ამრიგად, მორალური კანონი, რომელიც ერთადერთი მართლაც (სახელდობრ, ყოველის მხრივ) ობიექტური კანონია, სრულიად გამორიცხავს თავისმოყვარეობის ზეგავლენას უზენაეს პრაქტიკულ პრინციპზე და უსაზღვროდ დიდ ზიანს აყენებს თავდაჯერებას, რომელიც ლამობს პირველის (თავისმოყვარეობის) სუბიექტური პირობები კანონებად დაგვიწესოს. ხოლო ის, რაც ჩვენს თვალში ჩვენს თავდაჯერებას თრჯუნავს, თვინიერსაც ვგვხდის. მაშასადამე, მორალური კანონი ყოველ ადამიანს, ვინც კი თავისი ბუნების გრძობად სწრაფვას ამ კანონს შეუდარებს, გარღვევლად უნერგავს თავმდაბლობას. ის, რისი წარმოდგენაც, ვითარცა ჩვენს ნების განმსაზღვრელი საფუძველისა, ჩვენს თვითცნობიერებაში თავმდაბლობას გვინერგავს, რამეთუ იგი დადებითად გვევლინება და განმსაზღვრელი საფუძველია, თავისთავად აღგვიძრავს საკუთარი თავისადმი პატივისცემას. ამგვარად, მორალური კანონი სუბიექტურადაც პატივისცემის საფუძველს შეადგენს. მაგრამ რაკი ყველაფერი, რაც თავისმოყვარეობაში შე-

74

დის, მიღრეკილებას ეკუთვნის, ყოველი მიღრეკილება კი გრძნობებს ემყარება, მაშასადამე, ის, რაც თავისმოყვარეობაში გაერთიანებულ ყველა მიღრეკილებას თრგუნავს, სწორედ ამის ძალით უცილობლად ზემოქმედებს გრძნობაზეც, — ამიტომ გასაგები ხდება, თუ როგორ არის შესაძლებელი, *a priori* დავინახოთ ის, რომ მორალურ კანონს ძალუქს ზემოქმედება მოახდინოს გრძნობაზე, მოუქრის რა უზენაესი კანონმდებლობის ყველა მისაღვამს მიღრეკილებებსა და მათს უმაღლეს პრაქტიკულ პირობად გადაქცევის მისწრაფებას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თავისმოყვარეობას; ამგვარი ზემოქმედება, ერთი მხრივ, ნ ე გ ა ტ ი უ რ ი ა, ხოლო, მეორე მხრივ, სახელდობრ, იმ შემზღულდველი საფუძვლის მხრივ, რომელსაც წმინდა პრაქტიკული გონება იძლევა—პ ო ზ ი ტ ი უ რ ი ა, და არავითარი საჭიროება არ მოითხოვს, დაეუშვათ რაიმე განსაკუთრებული სახეობა პრაქტიკულის ან მორალურის სახელით, როგორც მორალური კანონის წინამავალი და მის საფუძველში მდებარე.

ნეგატიური ზემოქმედება გრძნობაზე (უსიამობა) პ ა თ ო ლ ო გ ი უ რ ი ა ისევე, როგორც ყოველი ზეგავლენა მასზე და ყოველი გრძნობა საზოგადოდ. მაგრამ, როგორც მორალური კანონის ცნობიერების ზემოქმედებას—მაშასადამე, რალაც ზეგრძნობად მიზეზთან, სახელდობრ, წმინდა პრაქტიკული გონების სუბიექტთან, როგორც უზენაეს კანონმდებელთან, მიმართებაში—გონიერი და მიღრეკილებათაგან აფიცირებული სუბიექტის ამ გრძნობას თავმდაბლობა (ინტელექტუალური თვითდამცირება) ეწოდება, ხოლო ამ უკანასკნელის პოზიტიურ საფუძველთან, ანუ კანონთან, მიმართებაში, იმედროულად, კანონისადმი პატივისცემა ჰქვია; ამ კანონისათვის არ არსებობს არავითარი გრძნობა, არამედ, ვინაიდან იგი (ეს კანონი) გზიდან იცილებს ხსენებულ წინააღმდეგობას (ნების გრძნობისმიერ განსაზღვრას), დაბრკოლების ეს მოხსნა გონებისეულ სჯაში ისე ფასდება, როგორც მისი (ამ გონების) კულალობისათვის ხელის შეწყობა. ამიტომ შეგვიძლია მას (ამ გრძნობას) ვუწოდოთ მორალური კანონისადმი პატივისცემის გრძნობაც, ხოლო ორივე მიზეზის გამო—მ ო რ ა ლ უ რ ი გ რ ძ ნ ო ბ ა (moralisches Gefühl).

მაშასადამე, მორალური კანონი, რაკი იგი ქმედების ფორმალური განმსაზღვრელი საფუძველია წმინდა პრაქტიკული გონების მეშვეობით, და რაკი კეთილისა და ბოროტის სახელით წოდებულ ქმედების საგანთა თუმცა კი მატერიალური, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ობიექტური განმსაზღვრელი საფუძველია, ამიტომ იგი სუბიექტური, განმსაზღვრელი საფუძველიცაა, ანუ ქმედების მამოძრავებელი ზამბარა; მორალური კანონი ზეგავლენას ახდენს სუბიექტის მგრძნობელობაზე და წარმოშობს გრძნობას, რომელიც ხელს უწყობს ნებაზე კანონის ზემოქმედებას. აქ სუბიექტში ვერ ვიპოვით ვერავითარ წ ი ნ ა მ ა ვ ა ლ გ რ ძ ნ ო ბ ა ს, რომელიც მორალურობაზე იქნებოდა მომართული. ეს შეუძლებელიცაა, ვინაიდან ყოველი გრძნობა გრძნობადია, ხოლო ზნეობრივი ზრახვის მამოძრავებელი ზამბარა შეუბორკავი უნდა იყოს ყოველგვარი გრძნობადი პირობისაგან. გრძნობადი გრძნობა, რაც ყველა ჩვენს მიღრეკილებას საფუძველად უდევს, თუმცა იმ განცდის პირობაა, რომელსაც პატივისცემას ვეძახით, მაგრამ მისი (ამ გრძნობის) განმსაზღვრელი მიზეზი წმინდა პრაქტიკული გონებაში ძევს და ამიტომ, ამგვარ განცდას, მისი წარმოშობის მიხედვით, უნდა დავარქვათ პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი და არა პათოლოგიური. თუ მორალური კანონის შესახებ წარმოდგენა თავისმოყვარეობას ლავამს ამოსდებს, ხოლო თვით-

განდიდებას ფრთებს შეაკეცეს, ამით წმინდა პრაქტიკული გონებისათვის დაბრკოლებაც შემცირდება და გაჩნდება გრძობად ლტოლვებზე მისი (ამ გონების) ობიექტური კანონის უპირატესობის წარმოდგენა; მაშასადამე, გონებისეულ შეფასებაში საპირისპირო წონის გაუქმებით წონა ემატება კანონს (გრძობადი ლტოლვებით აფიცირებულ ნებასთან მიმართებაში). ამგვარად, კანონისადმი პატივისცემა ზნეობის მამოძრავებელი ზამბარა კი არ არის, არამედ თავადაა ზნეობა, რომელსაც, სუბიექტურად, განვიხილავთ როგორც მამოძრავებელ ზამბარას; მართლაც, წმინდა პრაქტიკული გონება, უკუაგდება რა თავისმოყვარეობის ყველა საპირისპირო პრეტენზიას, ავტორიტეტს უქმნის კანონს, რომელსაც ახლა ერთადერთსაა აქვს ზეგავლენა. ოღონდ აქვე უნდა შევნიშნოთ: რაკილა პატივისცემა ზემოქმედებაა გრძობაზე და, მაშასადამე, განიერი არსებების მგრძობელობაზე, ის უკვე გულისხმობს ამ მგრძობელობას, მაშასადამე, იმ არსებათა ბოლოვადობასაც, რომლებსაც მორალური კანონი პატივისცემას ჩაავსებს, და კ ა ნ ო ნ ი ს ა დ მ ი პ ა ტ ი ვ ი ს ც ე მ ა ს ვერ მივაწერთ უზენაეს, ანუ ყოველივე მგრძობელობისაგან თავისუფალ არსებას, ვისაც, მაშასადამე, მგრძობელობა ვერ შეუქმნის რაიმე დაბრკოლებას პრაქტიკული გონებისათვის.

ამგვარად, ეს გრძობა (მორალურს რომ ვუწოდებთ) აღიძვრის მარტოოდენ გონების მიერ. იგი გვემსახურება არა ქმედებათა შესაფასებლად, ან კიდევ, თვით ობიექტური ზნეობრივი კანონის დასაფუძნებლად, არამედ—ოდენ მამოძრავებელ ზამბარად იმისათვის, რომ ეს კანონი, თავისთავად აღებული, მაქსიმალ იქცეს. მაშ, რომელი სახელი მოერგებოდა ყველაზე მარჯვედ ამ უჩვეულო გრძობას, რომელსაც ვერავითარი პათოლოგიური გრძობა ვერ შეედრება? იგი იმდენად თავისებურია, რომ, როგორც ჩანს, მხოლოდ და მხოლოდ გონების, სახელდობრ, წმინდა პრაქტიკული გონების განკარგულებაში იმყოფება.

პ ა ტ ი ვ ი ს ც ე მ ა ს ვგრძობით მუდამ მხოლოდ ადამიანისადმი და არასოდეს საგნებისადმი. ამ უკანასკნელთ ძალუძთ ჩვენში აღძრან მ ი დ რ ე კ ი ლ ე ბ ა, ხოლო თუ ისინი პირუტყვებია (ვთქვათ, ცხენი, ძალი და მისთ.)—თვით ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ც ე, ან კიდევ, შ ი შ ი, რასაც ჩვენში იწვევს ზღვა, ვულკანი, ნადირი და სხვა მისთანანი; მაგრამ ისინი ვერასოდეს გავვიღვიძებენ პ ა ტ ი ვ ი ს ც ე მ ა ს. რაღაც ისეთი, რაც ამ გრძობას უახლოვდება, გ ა კ ვ ი რ ე ე ბ ა ა და იგი, აფექტის სახით, როგორც გაცემა, საგნების მიმართაც განიცდება, მაგალითად, ცად აზიდული მთების, ციურ სხეულთა სიდიდის, სიმრავლისა და სიშორის, ზოგიერთ ცხოველთა ღონის, სიმარდისა და სხვა ამგვართა ხილვისას. მაგრამ ყოველივე ეს როდია პატივისცემა. შესაძლებელია, ადამიანიც იქცეს ჩვენი სიყვარულის, შიშის, გაკვირვების, თვით განცვიფრების საგნადაც კი, მაგრამ პატივისცემა მაინც ვერ აღძრას, იქნებ მისმა იუმორმა, სიმხნემ და გულოვნობამ, მისმა ძალაუფლებამ საზოგადოებაში მოპოვებულ მდგომარეობის გამოისობთ, მსგავსი განცდებიც ჩაგვინერგოს, მისდამი შინაგანი პატივისცემა კი მაინც ვერ აღძრას. როგორც ფ ო ნ ტ ე ნ ე ლ ი იტყობა: წ ა რ ჩ ი ნ ე ბ უ ლ თ ა წ ი ნ ა შ ე ვ ი ს რ ე ბ ი მ ე, ჩ ე მ ი ს უ ლ ი კ ი ა რ ჩ ი ს რ ე ბ ა. მე დავეუმატებდი: ჩ ე მ ი ს უ ლ ი ქ ე დ ს ი ს რ ი ს უ ბ რ ა ლ ო, ჩ ე ე უ ლ ე ბ რ ი ვ ი მ ო ქ ა ლ ა ქ ი ს წ ი ნ ა შ ე, ვისაც ვამჩნევ ხასიათის პატიოსნებას იმ ზომით, რა ზომითაც იგი ჩემში არ მეგულება; და ეს ხდება ჩემდა უნებურად, თუნდაც მასთან თავი მალა მეჭიროს, რათა ჩემი უპირატესობა დავანახო. რატომ ხდება ეს? პასუხი ერთია: მისი მაგალითი თვალწინ მიყენებს იმ კანონს, რომელიც, ჩემს

ქცევასთან შედარებისას, ჩემს ქედმაღლობას სპობს და მის (ამ კანონის) დაცვას, მაშასადამე, მის შ ე ს რ უ ლ ე ბ ა დ ო ბ ა ს (Thunlichkeit) საქმით მიმტკიცებს. მისდამი პატივისცემა ძალაში რჩება მაშინაც, თუ ჩემში ასეთივე პატიოსნება მეგულება. ადამიანში ყოველი სიკეთე მუდამ ნაკლოვანია; ამიტომ, ამა თუ იმ მაგალითზე თვალსაჩინოდ დანახული კანონი ჩემს სიამაყეს აცხრობს, რისთვისაც საზომს მაწვდის, ჩემს თვალწინ მდგომი ადამიანი, ვისი ბიწიერებაც, რაც მას, შესაძლებელია, მაინც ახასიათებდეს, ჩემსაზე ნაკლებად ვიცი და ვინც, მაშასადამე, ჩემს თვალში უფრო წმინდა შუქით იმოსება. პ ა ტ ი ვ ი ს ც ე მ ა ხ ა რ კ ი ა (Tribut), რომელიც ჩვენი ნება-სურვილის დაუკითხავად უნდა გავიღოთ დამსახურების წინაშე; რასაკვირველია, ჩვენ ძალგვიძს პატივისცემა გარეგნულად არ დავიმჩნიოთ, მაგრამ უქლურნი ვართ, იგი შინაგანად არ განვცავდით.

პატივისცემა ის ე შ ო რ ს ა ა ს ი ა მ ო ვ ნ ე ბ ი ს (Lust) გრძნობისაგან, რომ მას მხოლოდ უხალისოდ თუ ავეყვებით ხოლმე ამა თუ იმ ადამიანის მიმართ, ვედილობთ რა მასში გამოვწახოთ რაღაც ისეთი, რაც პატივისცემის ტვირთს შეგვიმსუბუქებს, რაღაც დასაგმობი იმ დამცირების ასანაზღაურებლად, რასაც ამგვარი მაგალითი გვაგრძნობინებს. გარდაცვილინიც კი არ არიან დაზღვეულნი ასეთი კრიტიკისაგან, განსაკუთრებით, თუ მათი მაგალითი მიუბაძვად გვეჩვენება. თვით მ ე ფ უ რ ი ს ი დ ი ა დ ი თ მ ო ს ი ლ ი მორალური კანონიც კი იწვევს მისდამი პატივისცემის თავიდან აშორების ამგვარ მისწრაფებას. ხომ არ გვგონია, სხვა მიზეზითაა ნაკარნახევი ის, რომ სიხარულით ჩამოვაქვეითებთ ხოლმე ხსენებულ კანონს ჩვენი ინტიმური მიდრეკილების დონემდე და სხვა რამ მიზეზით ვედილობთ ყველანი, ეს კანონი წარმოვსახოთ ჩვენივე სწორად გააზრებული სარგებლიანობის ჩვეულ მოთხოვნად,—თუ არ იმის გამო, რომ ვლამობთ გავექცეთ მის მიმართ იმ დამაფრთხობელ პატივისცემას, ასე მკაცრად რომ აშიშვლებს ჩვენს საკუთარ უღირსობას? მეორე მხრივ, მისგან ის ე შ ო რ ს ა ა უ ს ი ა მ ო ბ ა ც (Unlust), რომ, (თუკი ერთხელ მაინც შევეშვებით ცუდმედიდობას და ამ პატივისცემას მივანიჭებთ პრაქტიკული ზეგავლენის უნარს, მორალური კანონის ბრწყინვალეების ქვერტით ჩვენი თვალი ვერ ვაძლებ, ხოლო სული იმ ზომამდე აღზევდება, რა ზომითაც წმიდა კანონი ჩვენს თავსა და ჩვენს მერყევ ბუნებაზე აღმატებულად მიგვაჩნია. უეჭველია, ღიდ ტალანტებსა და მათთვის ჩვეულ მოღვაწეობასაც ძალუძთ პატივისცემის, ან რაიმე ანალოგიური გრძნობის გამოწვევა, და მათ უნდა მივავით კიდევაც ამგვარი პატივი; ასეთ შემთხვევაში გვგონია, რომ ეს გრძნობა და გაცემა ერთია. მაგრამ თუ უკეთ დავაკვირდებით, შევნიშნავთ, რომ რაკი მუდამ გაურკვეველია, რა ძალით მონაწილეობს ამ უნარში თანშობილი ნიჭი და რა ძალით—შრომისმოყვარეობის კულტურა, ამიტომ გონება მას (ამ უნარს) ვარაუდით წარმოგვიდგენს, როგორც კულტურის ნაყოფს, მაშასადამე—როგორც დამსახურებას, რაც შესაძლებელია აცხრობს ჩვენს თავდაჯერებას; და იგი ამის გამო ან გვიცხვავს, ან გვაგალებს, ამგვარ მაგალითის მივსდიოთ ისე, როგორც ეს ჩვენს შესაძლებლობას შეეფერება. როგორც ვხედავთ, პატივისცემა, რომელსაც ასეთი პირისადმი (არსებითად კი კანონისადმი, რომელსაც მისი მაგალითი მოგვაგონებს) ვიჩენთ, არ ყოფილა მხოლოდ განცვიფრება, რასაც შემდეგიც ადასტურებს: საკმარისია მოყვარულთა ბრბომ ყური მოჰკრას ასეთი კაცის (ვთქვათ, ვოლტერის) რომელსამე ცუდ თვისებას, რომ მყისვე მის მიმართ პატივისცემა დაკარგოს; მაგრამ ქეშმა-

78

რიტი სწავლული მუდამ ინარჩუნებს პატივისცემას, ყოველ შემთხვევაში, მისი ტალანტის მიმართ მაინც, რადგან იგი თავად მისდევს იმგვარ საქმიანობას და მოწოდებას, რაც მას ასეთი კაცის მიბაძვას ერთგვარ კანონად უსახავს.

ამგვარად, მორალური კანონისადმი პატივისცემა არის ერთადერთი და უეჭველი მორალური მოტივი, თუ იგი (ეს გრძობა) ობიექტისაკენ მიმართულია მხოლოდ და მხოლოდ ამ კანონის საფუძველზე. მორალური კანონი, უწინარეს ყოვლისა, უშუალოდ და ობიექტურად განსაზღვრავს ნებას გონებისეულ მსჯელობაში; ხოლო თავისუფლება, რომლის მიზეზობრიობაც მარტოოდენ კანონით განისაზღვრება, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ყველა მიდრეკილებას, მაშასადამე, საკუთარი თავისადმი პატივისცემასაც იგი ზღუდავს გონების წმინდა კანონისადმი მიდევნების პირობით. ასეთი შეზღუდვა შემოქმედებს გრძობაზე და იწვევს უსიამო ვანცდას, რაც ძალგვიძს მორალურ კანონში a priori შევიცნოთ. მაგრამ რაკი იგი ამის გამო ნეგატიური შემოქმედებაა, რომელიც წმინდა პრაქტიკული გონების ზეგავლენით შობილი, არსებითად, სუბიექტის აქტივობას (რამდენადაც სუბიექტი მიდრეკილებებითაა განსაზღვრული) ეღობება, მაშასადამე, ამცირებს შეხედულებას მის პირად ღირსებაზე (რომელიც მორალურ კანონთან თანხმობის ვარაუდ ნულია), ამიტომ, ამ კანონის შემოქმედება გრძობაზე მხოლოდ დამდაბლებას წარმოადგენს. ამ უკანასკნელს, მართალია, a priori ვხედავთ, მაგრამ მასში შევიცნობთ მარტოოდენ გრძობად-მამოძკავებელი ზამბარებისადმი წინააღმდეგობას და არა წმინდა პრაქტიკული გონების ძალას, როგორც მამოძრავებელ ზამბარას. ხოლო ვინაიდან იგივე კანონი მაინც ობიექტურად, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წმინდა გონების წარმოდგენაში, ნების უშუალო განმსაზღვრელი საფუძველია და, მაშასადამე, ამგვარ დამდაბლებას აღვკვირებ აქვს მხოლოდ ფარდობითად, კანონის სიწმინდესთან მიმართებაში, ამიტომ მორალური თვითშეფასების პრეტენზიათა შეზღუდვა, ანუ დამდაბლება მგრძობელობის სფეროში, წარმოადგენს თვით კანონის მორალური, ანუ პრაქტიკული შეფასების ამაღლებას ინტელექტუალურ სფეროში; ერთი სიტყვით, იგი კანონის პატივისცემაა, მაშასადამე, თავისი ინტელექტუალური მიზეზის მიხედვით, პოზიტიური გრძობაცაა, რომელსაც a priori ვიმეცნებთ, რადგან ამა თუ იმ აქტივობის დაბრკოლებათა ყოველი დათრგუნვა ამ აქტივობასვე უწყობს ხელს. მაგრამ მორალური კანონის აღიარება ნიშნავს ობიექტური საფუძვლებიდან ამოსვლით პრაქტიკული გონების აქტივობის ცნობიერებას, და თუ იგი (ეს ცნობიერება) თავის ზეგავლენას ქმედებებში ვერ ამქლავნებს, ეს იმითომ, რომ მას სუბიექტური (პათოლოგიური) მიზეზები ეღობებიან. ამგვარად, მორალური კანონისადმი პატივისცემა უნდა განვიხილოთ, ავრეთვე, როგორც მისი (ამ კანონის) პოზიტიური, მაგრამ არაპირდაპირი შემოქმედება გრძობაზე, რამდენადაც ეს კანონი თვითგანდიდების მოღუნებით ძალას აცლის მიდრეკილებათა შემაფრგნებელ შემოქმედებას. მაშასადამე, იგი უნდა განვიხილოთ, როგორც აქტივობის სუბიექტური საფუძველი, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორც ხსენებული კანონის მიყოლის მამოძრავებელი ზამბარა და მის შესაბამის ქმედებათა მამოძრავებელი საფუძველი. მამოძრავებელი ზამბარის ცნებიდან გამომდინარეობს ინტერესის ცნება, რომელიც მარტოოდენ გონების მქონე არსებას მიეწერება. ინტერესი ნიშნავს ნების მამოძრავებელ ზამბარას, რამდენადაც მისი წარმოდგენა გონების მიეწერება. ვინაიდან მორალურად კეთილ ნებაში თავად კანონია მამოძრავ-

ვებელი ზამბარა, აქედან გამომდინარე, მორალური ინტერესი ოდენ პრაქტიკული გონების წმინდა, გრძობადობისაგან დაცილილი ინტერესია. ინტერესის ცნებას ეფუძნება მაქსიმიზმის ცნებაც. მაქსიზმა, მაშასადამე, მართლა მორალურია, თუკი იგი ემყარება მართოდენ კანონის მიყოლის ინტერესს. სამივე ცნება—მაქსიზმი, აქედან გამომდინარე, ინტერესი და მაქსიზმი—მიყენებოდა მხოლოდ ბოლოვადი არსების მიმართ. ისინი ერთობლივად გულისხმობენ არსების ბუნების დასაზღვრულობას, რადგანაც მისი (ამ არსების) თვითმწებობის სუბიექტური ხასიათი თავისთავად როდი ეთანხმება პრაქტიკული გონების ობიექტურ კანონს; ეს არის მოთხოვნილება იმისა, რომ რაღაცამ მოქმედებისაკენ გვიბიძგოს, ვინაიდან ამ მოქმედებას შინაგანი დაბრკოლება აფერხებს. მაშასადამე, ეს ცნებები გამოუყენებოდა ღვთიური ნების მიმართ.

80 არის რაღაც განსაკუთრებული ამ წმინდა და ყოველივე სარგებლიანობისაგან განძარცული მორალური კანონის უსაზღვროდ მაღალ შეფასებაში, რაღაც მას პრაქტიკული გონება წარმოსახავს მისი მიღევნების მიზნით; ამ კანონის ხმა შიშის ზარს სცემს თვით ყველაზე უდრეკ მკრეხელსაც კი, და აიძულებს მას, ამ კანონის მზერას დაემალოს: ამიტომ ვასაკვირი არ არის, თუ წმინდა ინტელექტუალური იდეის ასეთ ზეგავლენას გრძობაზე სპეკულატიური გონებისათვის მიუწვდომლად ვთვლით და იმას ვცერდებით, რომ a priori ის მაინც შეგვიძლია დავინახოთ, რომ ეს გრძობა განუყრელად უკავშირდება მორალური კანონის წარმოდგენას ყოველ ბოლოვად გონიერ არსებაში. პატივისცემის ამგვარი გრძობა რომ პათოლოგიური და, მაშასადამე, შინა შეგრძნებაზე (innerer Sinn) დამყარებული სიამოვნების განცდა ყოფილიყო, ამაო იქნებოდა მისი კავშირის ძიება ამა თუ იმ აპრიორულ იდეასთან. მაგრამ ჩვენს წინაშეა ისეთი გრძობა, რომელიც მხოლოდ იმისკენაა მიმართული, რაც ოდენ პრაქტიკულია და, მართალია, ეს გრძობა კანონისწარმოდგენისეულია მხოლოდ და მხოლოდ ფორმის მხრივ და არა ამა თუ იმ ობიექტის გამო (მაშასადამე, ის არც ტანჯვაა და არც განცხრომა), მიუხედავად ამისა, იგი აღძრავს ინტერესს კანონის მიყოლისადმი, რომელსაც მორალურ ინტერესს ვუწოდებთ, ისევე, როგორც კანონისადმი ამგვარი ინტერესის გამოჩენის უნარი (ანუ თვით მორალური კანონისადმი პატივისცემა) საკუთრივ მორალურ გრძობას წარმოადგენს.

კანონისადმი ნების თავისუფალი დაქვემდებარების ცნობიერება, რომელსაც თან ახლავს ყველა მიდრეკილებაზე გარდუვალი ძალდატანებაც, ოღონდ მხოლოდ ჩვენზე გონების მხრივ,—აი, რა არის კანონისადმი პატივისცემა. კანონი, ამგვარ პატივისცემას რომ მოითხოვს და კიდევაც ჩავგავიწყებს, როგორც ვხედავთ, სხვა არაფერია, თუ არა მორალური კანონი (რადგან არც ერთი სხვა კანონი გზას არ უჭრის ყველა მიდრეკილებას, ნებაზე უშუალო ზეგავლენა მოახდინოს). ქმედებას, რომელიც ამ კანონის თანახმად (მიდრეკილებიდან გამომდინარე ყველა განმსაზღვრელი საფუძვლის გამოორიგებით) ობიექტურად პრაქტიკულია, მოვალეობა (Pflicht) ჰქვია; ხსენებული გამოორიგების გამო იგი (მოვალეობა) თავის ცნებაში შეიცავს პრაქტიკულ იძულებას (Nöthigung), სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქმედებების განსაზღვრას, რაგინდ უხალი სოდაც უნდა სრულდებოდეს ისინი. ამ იძულების ცნობიერებიდან გამომდინარე გრძობა პათოლოგიური კი არ არის, ანუ ისეთი, რომელსაც გრძობა-

დი საგანი წარმოშობს, არამედ ოდენ პრაქტიკულია, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნების წინამავალი (ობიექტური) გონებისმიერი განსაზღვრისა და გონების მიზეზობრიობის ძალით არის შესაძლებელი. შესაბამისად, იგი, როგორც კანონისადმი მოჩილება, ანუ განკარგულება (რომელიც გვამცნობს ძალადობას შეგრძნებებით აფიცირებულ სუბიექტზე), თავის თავში შეიცავს არა სიამოვნებას, არამედ, უფრო, მოქმედებით გამოწვეულ უსიამოვნებას. მეორე მხრივ, რაკი ეს ძალდატანება ხდება მარტოოდენ საქუთარი გონების კანონმდებლობით, იგი აგვამალღებს, ხოლო სუბიექტურ ზემოქმედებას გრძობაზე, რამდენადაც მისი ერთადერთი მიზეზი წმინდა პრაქტიკული გონებაა, შეიძლება ამ უკანასკნელის თვალსაზრისით სულაც თავმოწონება (Selbstbilligung) ეწოდოს; რადგან, აღამიანი შეიცნობს, რომ იგი ამგვარი ქმედებისათვის განსაზღვრება ყოველგვარი ინტერესის გარეშე, მხოლოდ კანონის მიერ და ცნობიერყოფს ახლა უკვე სრულიად სხვა, ამ კანონის მიერ სუბიექტურად აღძრულ ინტერესს, რომელიც პირწმინდად პრაქტიკული და თავისუფალია; ამგვარი ინტერესის გამოჩენა მოვალეობის შესაბამისი ქმედების მიმართ, რაიმე მიდრეკილების ჩაგონებით კი არ ხდება, არამედ მას უცილობლად გონება გვიბრძანებს და წარმოშობს კიდევაც პრაქტიკული კანონის მეშვეობით, რის გამოც ამ გრძობას სრულიად საგანგებო სახელი, სახელდობრ, პატივისცემა ჰქვია.

ამგვარად, მოვალეობის ცნება ობიექტურად მოითხოვს ქცევის თანხედრობას კანონთან მის (ამ ქცევის) მაქსიმალში, ხოლო სუბიექტურად მოითხოვს კანონისადმი პატივისცემას, როგორც ამ კანონის მეშვეობით ნების განსაზღვრის ერთადერთ სახეს. ამას ემყარება განსხვავება მოვალეობის შიშისა და მოვალეობის (pflichtmäßige) და მოვალეობიდან გამომდინარე (aus Pflicht), ანუ კანონისადმი პატივისცემაზე დამყარებული მოქმედების, ცნობიერებას შორის; ამათგან პირველი (ლეგალურობა) მაშინაც არის შესაძლებელი, ნების განმსაზღვრელი საფუძვლები თუ ოდენ მიდრეკილებებია, მეორე კი (მორალურობა)—მორალური ღირსება—მხოლოდ იქუნდა დაეინახოთ, სადაც მოქმედება ხდება მოვალეობიდან ამოსვლით, ე. ი. მარტოოდენ კანონის გულისათვის\*.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ყველა მორალურ შეფასებაში განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ ყველა მაქსიმის სუბიექტურ პრინციპს, რათა ქმედებათა მთელი მორალურობა დაეინახოთ მათს აუცილებლობაში მოვალეობისა და კანონისადმი პატივისცემის გამო და არა სიყვარულისა და პატივისცემის გამო იმის მიმართ, რაც ამ ქმედებებმა უნდა წარმოშვას. აღამიანისთვის და ყველა ქმნილი გონიერი არსებისათვის მორალური აუცილებლობა არის იძულება, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვალდებულება (Verbindlichkeit), ხოლო ყოველი მასზე დაფუძნებული მოქმედება უსათუოდ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც მოვალეობა და არა იმგვარი საქციელი, რომელიც უკვე თავისთავადვე მოგვეწონს, ან მოგვეწონება განა კანონისადმი პატივისცემის გარეშე, რაც

\* თუ პირთა მიმართ პატივისცემის ცნებას ზუსტად ავწონ-დავწონით იმგვარად, როგორც ეს ზემოთ ვნახეთ, დავრწმუნდებით, რომ იგი მუდამ ემყარება მოვალეობის ცნობიერებას, რომელიც თვალწინ გვიყენებს მაგალითს; და რომ, პატივისცემას ვერასოდეს ვერ ექნება სხვა რამ საფუძველი, თუ არ მორალური, და ძალზე კარგი, ხოლო ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, აღამიანის შემეცნებისათვის მეტად სასარგებლოც კია, თუ ყველგან, სადაც კი ამ ტერმინს ვიყენებთ, გულისყურს მივაპყრობთ ერთ იდუმალსა და გასაკვირველ შემთხვევას: თავის განსჯა-შეფასებაში რარც ხშირად უწყევს აღამიანი ანგარიშს მორალურ კანონს.

82 კავშირშია მისი (კანონის) დარღვევის შიშთან ან, ყოველ შემთხვევაში, ამგვარი საფრთხის გამო შეფიქრიანებასთან მიანიც, ჩვენ, ყოველსავე დამოკიდებულებაზე ამაღლებული ღმერთით, ოდესმე შევძლებდით ჩვენით, თითქოსდა ჩვენს ბუნებად ქცეული მტკიცე თანხმობით ჩვენს ნებასა და წმინდა ზნეობრივ კანონს შორის (რომელიც, რაჟილა ვერასოდეს ვერ დაგვძლევადა მისი დარღვევის ცდუნება, ბოლოს და ბოლოს, ბრძანების ფუნქციასაც დაკარგავდა), ნების ს ი წ მ ი დ ი ს ა თ ვ ი ს (Heiligkeit) მიგველწია?

მორალური კანონი ს ი წ მ ი დ ი ს (Heiligkeit) კანონია სწორედ ყოველდღის რეალურ ქმნილებას არსების ნებისათვის, ხოლო ყოველი ბოლოვადი გონიერი არსებისათვის იგი არის მ ო ვ ა ლ ე ბ ი ს, მორალური იძულებისა და მისი ქმედების განმსაზღვრელი კანონი, ამ კანონისადმი პ ა ტ ი ვ ე ს ც ე მ ი ს ა და საკუთარი მოვალეობის წინაშე მოწიწების გამო/ არ შეიძლება მამოძრავებელ ზამბარად დავეშვათ სხვა რამ სუბიექტური პრინციპი, რადგან, მოქმედება, მართალია, შეიძლება მოხდეს კანონის მოთხოვნის შესაბამისად, მაგრამ ვინაიდან იგი, თუმცაკი მოვალეობის შესაბამისია, მოვალეობის გამო არ სრულდება, ამიტომ ამგვარი საქციელის ჩადენის ზრახვა ვერ იქნება მორალური; ამ კანონმდებლობაში კი სწორედ ზრახვაა მნიშვნელოვანი.

იმზე კარგი რაღაა, თუ ადამიანების სიყვარულისა და მათდამი გულისხმიერი კეთილმოსურნეობის გამო სიკეთეს ჩაიდენ, ან წესრიგის სიყვარულით სამართლიანი იქნები; მაგრამ ყოველივე ეს ჭერ კიდევ როდია ჩვენი ქცევის ნამდვილი მორალური მაქსიმა, რომელიც შეეფერება გონიერ არსებათა შორის ჩვენს პოზიციას, ვ ი თ ა რ ც ა ა დ ა მ ი ა ნ ე ბ ი ს ა ს, თუ გავკადნიერდებით და, ვოლონტიორთა მსგავსად, ამპარტავენულად თავიდან მოვიშორებთ მოვალეობაზე ზრუნვას და, ყოველგვარი განკარგულების უკითხავად, მარტოოდენ საკუთარი სიამოვნების გულისათვის იმის გაკეთებას მოვისურვებთ, რისთვისაც არავითარი განკარგულება არ გვჭირდება. ჩვენ ვემორჩილებით გონებისუელ დ ი ს ც ი პ ლ ი ნ ა ს და გვმართებს, არც ერთ ჩვენს მაქსიმაში არ დავიფიქროთ იგი, არც თავისმოყვარეობის ილუზიას შევალახვინოთ კანონის ავტორიტეტი (თუმცა ამ კანონს ჩვენივე გონება იძლევა) იმით, რომ ჩვენი ნების განმსაზღვრელ საფუძველს სადმე სხვაგან დაუწყუოთ ძიება და არა თვით კანონსა და ამ კანონისადმი პატივისცემაში. მოვალეობა და ვალდებულება—აი, ერთადერთი სახელები, რომლებიც უნდა ეწოდოს ჩვენს მიმართებას მორალურ კანონთან/ მართალია, ჩვენ ვართ ზნეობის იმ სამეფოს კანონმდებელი წევრები, რომელიც თავისუფლების მეოხებითაა შესაძლებელი და რომელსაც პრაქტიკული გონება პატივისცემის ღირსად წარმოგვიდგენს, მაგრამ, ამავე დროს, ჩვენ ვართ ამ სამეფოს ქვეშევრდომნი და არა მეთაურნი; ხოლო თუ არ ვცნობთ იმას, რომ ვითარცა ქმნილნი, უფრო დაბალ საფეხურზე ვდგავართ, თანაც, თუ წმიდა კანონს ამპარტავენულად უგულვებელყოფთ, ეს უკვე ნიშნავს ამ კანონის სულსიკვეთებისაგან განდგომას, თუნდაც იგი (ეს კანონი) ჩვენს მიერ ასოებრივ იყოს დაცული.

83 ამას საეგზეით ეთანხმება შემდეგი მცნების შესაძლებლობა: გ ი ყ ვ ა რ დ ე ს ღ მ ე რ თ ი ყ ვ ე ლ ა ზ ე მ ე ტ ა დ და მ ო ყ ვ ა ს ი შ ე ნ ი, ვ ი თ ა რ ც ა თ ა ვ ი შ ე ნ ი\*; რადგან, როგორც მცნება, იგი მოითხოვს პა-

\* პირადი ბედნიერების პრინციპი, ზოგიერთს რომ სურს ზნეობის უმაღლეს პრინციპად გავვიხადოს, გასაოცარ კონტრასტს ქმნის ამ კანონთან; მისი რჩევაა: გიყვარდეს თავი შენი ყველაზე მეტად, ხოლო ღმერთი და მოყვასი შენივე თანისათვის.

ტივისცემას იმ კანონისადმი, რომელიც სიყვარულს გვიბრძანებს და მის პრინციპად ქცევას ჩვენს თვითნებურ არჩევანს არ მიიხდობს. მაგრამ ღმერთის სიყვარული, როგორც მიდრეკილება (პათოლოგიური სიყვარული), შეუძლებელია, რადგან იგი არ არის გრძნობადი საგანი. თუმცადა ასეთი სიყვარული ადამიანთა მიმართ შესაძლებელია, მაგრამ მისი ბრძანება შეუძლებელია, რადგან ადამიანის ძალას აღემატება ვისიმე ბრძანებით შეყვარება. მაშასადამე, მხოლოდ პრაქტიკული სიყვარული ყოფილა ის, რაც ყველა კანონთა ამ გულისგულს შეადგენს. გიყვარდეს ღმერთი, ამ გაგებით ნიშნავს, მისი მცნებები ხალისით აღასრულო; გიყვარდეს მოყვასი, ნიშნავს, მის მიმართ ყველა მოვალეობა ხალისით მოიხადო. ხოლო მცნებას, რომელიც ამას წესად გვისახავს, ძალუძს გვიბრძანოს არა ის, რომ მოვალეობის შესაბამის ქცევებში ამგვარი ზრახვა გვიქონდეს, არამედ—მხოლოდ ის, რომ ამისკენ ვისწრაფოდეთ. მართლაც, მცნება იმისა, რომ გვმართებს რაღაცა ხალისით გავაკეთოთ, თავის თავში წინააღმდეგობის შემცველია, რადგან, თუ უკვე თავისთავად გვეცოდინებოდა, რისი ვაკეთება გვმართებს და, თან, შეგნებულად გვექნებოდა, რომ იგი აუცილებლად ხალისით უნდა გავაკეთოთ, მაშინ მცნება ამის შესახებ სრულიად ზედმეტი იქნებოდა; ხოლო თუ ჩვენ რაიმეს ვაკეთებთ, ოღონდ არა ხალისით, არამედ მარტოოდენ კანონის პატივისცემის გამო, მაშინ მცნება, რომელიც ამგვარ პატივისცემას მაქსიმის მაშობრავებელ ზამბარად გვიხდის, გააქარწყლებდა სწორედ ნამცნების ზრახვასა და სულისკვეთებას. ამგვარად, ეს კანონთა კანონი, ისევე, როგორც სახარების ყველა მორალური მოთხოვნა, ზნეობრივ ზრახვას წარმოგვიდგენს მთელი სრულყოფილებით; მას, როგორც სიწმიდის იდეალს, თუმცა ვერც ერთი ქმნილება ვერ მისწვდება, მაგრამ იგია პირველხატი, რასთან მიახლოებაცა და მსგავსებაც უნდა შეადგენდეს ჩვენი მოსწრაფების მიზანს უსასრულო პროგრესში. თუ რომელიმე გონიერი არსება ოდესმე შეძლებდა მიეღწია იმისათვის, რომ ყველა მორალური კანონი სრული ხალისით აღესრულებინა, ეს იმის მაჩვენებელი იქნებოდა, რომ მასში ვერ ვიპოვიდით იმ სურვილის შესაძლებლობასაც კი, რომელიც მას ამ კანონთა დარღვევისაკენ უბიძგებდა; მართლაც, ამგვარი სურვილის გადალახვა სუბიექტისაგან მულამ მოითხოვს მსხვერპლს, მაშასადამე, თვითიძულებას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შინაგან იძულებას, აკეთოს ის, რასაც, ჩვეულებრივ, მთლად ხალისით არ აკეთებენ. მაგრამ მორალური სულისკვეთების ამ საფეხურს ვერც ერთი ქმნილება ვერ მიაღწევს ოდესმე, რადგან ყოველი არსება მულამდამს დამოკიდებულია იმის მხრივ, რასაც მოითხოვს საკუთარი მდგომარეობით სრული კმაყოფილება; ამიტომ იგი სახვებით ვერასოდეს განთავისუფლდება სურვილებისა და მიდრეკილებებისაგან, რომლებიც, ემყარებიან რა ფიზიკურ მიზეზებს, თავისთავად არ ეთანხმებიან სრულიად სხვა წყაროდან მომდინარე მორალურ კანონს; მაშასადამე, მათთან მიმართებაში აუცილებელია, რომ ყოველი არსების მაქსიმათა სულისკვეთება ეფუძნებოდეს მორალურ იძულებას და არა მზა ერთგულებას, ეფუძნებოდეს პატივისცემას, რომელიც მოითხოვს კანონის მიყოლას, თუნდაც ეს უკანასკნელი უხალისოდ ზნეობდეს, და არა—სიყვარულს, რომელიც არ უფრთხის კანონის არავითარ შინაგან უგულვებელყოფას; მიუხედავად ამისა, აუცილებელია, რომ ეს უკანასკნელი, სახელდობრ, წმინდა სიყვარული კანონისადმი (რადგან მაშინ იგი აღარ იქნებოდა ნამცნებო, ხოლო მორალურობას, რომელიც, სუბიექტურად, სიწმიდესი გადავიდოდა, აღარ

დაერქმეოდა ს ა თ ნ ო ე ბ ა) იქცეს ჩვენი მისწრაფების უცვლელ, თუმცა კი მიუწვდომელ მიზნად. რადგან, თუ რაიმეს დიდად ვაფასებთ, მაგრამ (ვიციტ რა ჩვენი სისუსტენი) მისი გვეშინია, ჩვენს მიერ ამ უკანასკნელის მეტი და მეტი ხალისით დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოკრძალებული შიში მის მიმართ სიმპათიით შეგვეცვლება, ხოლო პატივისცემა—სიყვარულით. ყოველ შემთხვევაში, ეს იქნებოდა კანონის მიმართ ჩვენი ზრახვის განსრულება, თუკი რომელიმე არსება შეძლებდა ოდესმე მიეღწია ამისათვის.

ეს მსჯელობა აქ გამიზნულია არა იმდენად სახარების ხსენებული მცნების ნათელ ცნებებზე დასაყვანად, რათა საზღვრები დაედოს რ ე ლ ი გ ი უ რ ფ ა ნ ა ტ ი ზ მ ს ლმერთის სიყვარულის თაობაზე, არამედ იმისათვის, რომ ზუსტად განვსაზღვროთ ზნეობრივი ზრახვა იმ მოვალეობათა მხრივაც, რაც ადამიანთა მიმართ უშუალოდ გვაკისრია და წინ აღვუდგეთ, ან, სადაც ეს შესაძლებელია, აღვეკვეთოთ წ მ ი ნ და წ ყ ლ ი ს მ ო რ ა ლ უ რ ი ფანატიზმი, რითაც არა ერთი მოწამლულა. ზნეობრივი საფეხური, რომელზეც ადამიანი (და, ჩვენი შეხედულებით, ყოველი გონიერი არსება) დგას, მორალური კანონისადმი პატივისცემაა. ზრახვა, რომელიც ამ კანონის მიყოლას გვაკისრებს, არის მისი მიყოლა მოვალეობიდან ამოსვლით და არა ნებაყოფლობითი სიმპათიის, ან ძალდაუტანებელი, თავისთავად სახალისო მისწრაფების გამო; ადამიანის მორალური მდგომარეობა, რაშიაც მას ძალუძს მუდამ იმყოფებოდეს, ს ა თ ნ ო ე ბ ა ა (Tugend), სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მებრძოლი მორალური ზრახვაა და არა ს ი წ მ ი ღ ე (Heiligkeit), რომლის აღიარებაც იმას ნიშნავს, თითქოს ადამიანს ნების ზრახვათა სრული ს ი წ მ ი ნ დ ე (Reinigkeit) ახასიათებდეს. მას წმინდა წყლის მორალურ ფანატიზმს და თავის თავზე ვადამეტებულ წარმოდგენას ვუღვივებთ, როდესაც ვაქებებთ ჩაიღინოს რაღაც საქციელი, როგორც კეთილშობილი, ამაღლებული და დიდსულოვანი; ამით მას იმ ილუზიას ვუქმნით, თითქოს ეს არ იყოს მოვალეობა, ანუ კანონისადმი პატივისცემა, რისი უღელიც (რომელიც, ამისდა მიუხედავად, მაინც მჩატეა, ვინაიდან მას თავად გონება გვაუდგამს) მან უნდა ატაროს, თუნდაც უხალისოდ, და თითქოს ეს არ შეადგენდეს მის ქცევათა განმსაზღვრელ საფუძველს, რომლის მიღეწეობაც (მ ო რ ჩ ი ლ ე ბ ა ც) მას მუდამ თავმდაბლობას უნერგავს; თითქოს ასეთ ქცევებს მისგან უნდა მოველოდეთ არა მოვალეობის გამო, არამედ, როგორც წმინდა წყლის დამსახურებას. ამგვარ საქმეთა მიბაძვით, სახელობრ, ამგვარი პრინციპიდან ამოსვლით არათუ ოდნავადაც ვერ შევძლებდით დაგვეკმაყოფილებინა კანონის სულისკვეთება, რაც კანონს დაქვემდებარებულ ზრახვაში მდგომარეობს და არა ქცევის კანონშესაბამისობაში (პრინციპი ხომ აქნებისმიერი შეიძლება იყოს), არამედ მამოძრავებელ ზამბარებს ვხედავთ რა—პ ა თ ო ლ ო გ ი უ რ ა დ—სიმპათიასა ან თავისმოყვარეობაში და არა—მორალურად—კანონში, ამ გზით ვიქმნით ქარაფშეტულ, ზერელე და ფანტასტიურ შეხედულებებს; ჩვენ სიამეს გვეგვრის ჩვენი სულის ნებაყოფლობითი კეთილზნეობა, რასაც არც ღეზის კვრა სჭირდება, არც მოთოკვა და არც თვით მცნება, ვივიწყებთ რა ჩვენი ვალდებულებას, რაზედაც გვმართებს მეტი ვიფიქროთ, ვინემ დამსახურებაზე. რასაკვირველია, სხვათა საქმეები, ჩადენილი დიდი თავგანწირვითა და სწორედ მოვალეობის გამო, იმსახურებენ კეთილშობილისა და დ ი ა დ ი ს სახელს, მაგრამ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც სახეზეა კვალი, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ ისინი ჩადენილია მთლიანად მოვალეობისადმი პატივისცემის გამო და არა სულიერი მღ-

ელვარების შედეგად. ხოლო თუ ვეცდებით, ისინი მისაბამ მავალითად დაეუსახოთ ვისმე, მაშინ მამოძრავებელ ზამბარად უთუოდ მოვალეობისადმი პატივისცემა (როგორც ერთადერთი ნაღდი მორალური გრძნობა) უნდა გამოვიყენოთ. ეს სერიოზული, წმიდა მოთხოვნაა, რომელიც ჩვენს ფუჭ თავისმოყვარეობას ნებას არ აძლევს პათოლოგიური იმპულსებით თავი შეიქციოს (რამდენადაც ისინი ზნეობის ანალოგიური არიან) და რალაც მოგონილი დ ა მ ს ა ხ უ რ ე ბ უ ლ ი ლირსებით თავი მოიწონოს. თუ კარგად გამოვიძიებთ, ყველა ქცევისათვის, რომელიც კი ქების ღირსია, აღმოვაჩენთ მოვალეობის კანონს, რომელიც გ ვ ი ბ რ ძ ა ნ ე ბ ს და ჩვენს ნება-სურვილზე არ შეაგდებს იმ არჩევანს, თუ რას მოიწონ-დაიწუნებს ჩვენი მიდრეკილებები. ეს არის ერთადერთი წარმოსადგენი ვითარება, რომელიც სულს მორალურად ჩამოქნის, რადგან მას და მხოლოდ მას ძალუძს მტკიცედ და ზუსტად განსაზღვროს პრინციპები.

თ უ ფ ა ნ ა ტ ი ზ მ ი (Schwärmerei), უზოგადესი მნიშვნელობით, ადამიანის გონების საზღვართადალახვია პრინციპებთან შეთანხმებით, მ ა შ ი ნ მ ო რ ა ლ უ რ ი ფ ა ნ ა ტ ი ზ მ ი ასეთივე გადალახვია საზღვრებისა, რომლებსაც წმინდა პრაქტიკული გონება კაცთა მოდგმას უწესებს, გვიკრძალავს რა, რომ მოვალეობის შესაბამის ქმედებათა განმსაზღვრელი სუბიექტური საფუძველი, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათი მორალური მოტივი, ვეძიოთ სადმე სხვაგან და არა თვით კანონში, ხოლო ეს ზრახვა, რომელიც ამით მაქსიმალური მოექცევა, დაეინახოთ სხვა რამეში და არა კანონისადმი პატივისცემაში; მაშასადამე, იგი (ეს გონება) გვიბრძანებს, ადამიანში ყოველივე მორალურობის უმაღლეს ს ა ს ი ც ა ც ხ ლ ო პ რ ი ნ ც ი პ ა დ გავიხადოთ როგორც ქედმაღლობის, ისე ფუჭი თავისმოყვარეობის დამორგუნველი ფიქრი მოვალეობაზე. თუ ასეა, მორალური ფანატიზმის დამწერგავთა შორის ყოფილან არა მართომანომთხვევლები და სენტიმენტალური აღმზრდელები (თუმცა კი ისინი ასე თავგამოდებით კიცხავენ მგრძნობიარობას), არამედ ზოგჯერ ფილოსოფოსებიცა და მათ შორის უმკაცრესნიც — სტოელები; მათ დანერგეს მ ო რ ა ლ უ რ ი ფ ა ნ ა ტ ი ზ მ ი, ნაცვლად ზნეობის უფრო ფხიზელი, მაგრამ ბრძნული დისციპლინისა, თუმცა უკანასკნელთა ფანატიზმი უფრო გვირუკი იყო, პირველთა კი — უნიათო და მიწაზებული. მთელი სამართლიანობითა და ყოველგვარი პირმოთენობის გარეშე შეგვიძლია გავიმეოროთ სახარების მორალური მოძღვრება, რომ ამ უკანასკნელმა, თავისი მორალური პრინციპის სიწმინდის მეშვეობით, მაგრამ, იმავდროულად, ბოლოვად არსებათა საზღვრებთან ამ პრინციპის შესაბამისობის წყალობით, ადამიანთა ყოველივე კეთილი ქცევა პირველმა დაუქვემდებარა მთლიანად მათზე დაკისრებული მოვალეობის დისციპლინას (რომელიც მათ ნებას არ აძლევს, თავი მისცენ ოცნებას რალაც წარმოსახულ მორალურ სრულქმნილებებზე) და თავმდაბლობის (ე. ი. თვითშემცუნების) ზღუდე აღუმართა როგორც ცუდმედიდობას, ისე ეგოიზმს, რომლებიც დიდი ხალისით ვადადიან ხოლმე თავიანთ საზღვრებს.

მ ო ვ ა ლ ე ო ბ ა ე! საპატო და დიადო სიტყვავე, შენში არაფერია პირფერული და მამებლური; შენ მოითხოვ მორჩილებას, ოღონდ — ნების ასამოძრავებლად, და არ მიმართავ არავითარ მუქარას, რაც აგვიძრავდა ბუნებრივ ანტიპათიას და დაგვაფრთხოვდა, არამედ მარტოოდენ გვიწესებ კანონს, რომელიც თავისით იკვალავს გზას ჩვენს სულში. მას, თვით წინააღმდეგუნებისა, ძალუძს ჩვენში პატივისცემა (თუმც არა მუდამ მისი აღსრულება) მოიხვევოს, და მის წი-

86

ნაშე ყველა მიდრეკილება მუნჯდება, თუნდაც ისინი მას უჩუმრად ეწინააღმდეგებოდეს. რომელია შენი ღირსეული სათავე? სად ვიპოვოთ შენი კეთილშობილი წარმომავლობის ფესვი, რომელიც ამაყად უარყოფს ყოველივე ნათესაობას მიდრეკილებებთან და საიდან წარმომავლობაც იმ ღირსების გარდუვალი პირობაა, მხოლოდ ადამიანს რომ ძალუძს თავის თავს მიანიჭოს?

ეს ფესვია სწორედ ის, რითაც ადამიანი თავის თავს (ვითარცა გრძნობადი სამყაროს წევრს) აღემატება და რაც მას ისეთ საგანთრიგთან აკავშირებს, რომლის მოაზრებაც ოდენ განსჯას შეუძლია; მას იმავდროულად ემორჩილება მთელი გრძნობადი სამყარო, ხოლო, მასთან ერთად, დროში ადამიანის ემპირიულად განსაზღვრადი არსებობაც; მასვე ემორჩილება ყველა მიზანთა ერთობლიობა (რაც ერთადერთი შეესაბამება იმგვარ უპირობოდ პრაქტიკულ კანონებს, როგორიც მორალურია). ეს ფესვი სხვა არაფერია, თუ არ პ ი რ ო ვ ე ნ უ ლ ო ბ ა (Persönlichkeit), სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თავისუფლება და მთელი ბუნების მექანიზმისაგან დამოუკიდებლობა; მაგრამ, ამავე დროს, იგი იმ არსების უნარია, რომელიც ექვემდებარება თავისებურ, სახელდობრ, საკუთარი გონებისაგან მოცემულ წმინდა პრაქტიკულ კანონებს; მაშასადამე, ის პირია (Person), რომელიც ეკუთვნის გრძნობად სამყაროს და ექვემდებარება საკუთარ პიროვნებას (Persönlichkeit), რამდენადაც იგი (ეს პირი), იმავდროულად, გონებისაწვედომი სამყაროს წევრია; ამიტომაც არაფერია გასაკვირი იმაში, თუ ადამიანს, როგორც ორივე სამყაროს კუთვნილებას, არ ძალუძს საკუთარი არსება, თავის მეორე და უმაღლეს დანიშნულებასთან მიმართებაში, განიხილოს სხვაგვარად, თუ არ მოწიწებით, ხოლო მის კანონებს უდიდესი პატივისცემით არ მოეპყრას.

ასეთ წარმომავლობას ემყარება ზოგიერთი გამოთქმა, რომლებიც გამოხატავს საგანთღირებულებას მორალურ იდეების შესაბამისად. მორალური კანონი წ მ ი დ ა ა (შეუბღალავია). თუმცა ადამიანი საკმაოდ არაწმიდაა, მაგრამ შეუძლებელია, მისთვის წმიდათა-წმიდა არ იყოს მასშივე მოცემული ა დ ა მ ი ა ნ ო ბ ა (Menschheit). ქმნილთა შორის ყველა და ყველაფერი, რაც კი მოგვესურება, ან რის მიმართაც ძალა შეგვწევს, შეგვიძლია გამოვიყენოთ ო დ ე ნ ს ა შ უ ა ლ ე ბ ა დ; ერთადერთი ადამიანი და, მასთან ერთად, ყოველი გონიერი არსება წარმოადგენს მ ი ზ ა ნ ს თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ. იგია სწორედ სუბიექტი იმ მორალური კანონისა, რომელიც წმიდა საკუთარი თავისუფლების ავტონომიის ძალით. ამიტომაც, ყოველი ნება, თვით ყოველი პირის ინდივიდუალური ნება, საკუთარ თავთან მიმართებაშიც კი, საზღვარდებულია გონიერი არსების ა ვ ტ ო ნ ო მ ი ა ს თ ა ნ თანხმობის პირობით, სახელდობრ, იმ პირობით, რომ ეს არსება არ აპყვეს არავითარ ისეთ მიზანს, რომელიც არ ეთანხმება იმ სუბიექტის ნებიდან მომდინარე კანონს, რომელიც სხვის ზემოქმედებას განიცდის, მაშასადამე, იმ პირობით, რომ ეს სუბიექტი არასოდეს გამოვიყენოთ ოდენ საშუალებად, არამედ, ამავე დროს, იგი მიზანიც იყოს. ამ პირობას სამართლიანად მივაწერთ თვით ღვთიურ ნებასაც სამყაროს გონიერ არსებებთან, როგორც მისი ქმნილებებთან, მიმართებაში, ვინაიდან იგი ეფუძნება მათს პ ი რ ო ვ ე ნ უ ლ ო ბ ა ს, რომლის გამოც, — და მხოლოდ მის გამო, — ისინი წარმოადგენენ მიზნებს თავისთავად.

ეს პატივისცემის აღმძვრელი იდეა პიროვნებისა, თვალწინ რომ გვიყენებს ჩვენი ბუნების (მისი დანიშნულების შესაბამისად) სიღიადეს, ამავე დროს, დაგვანახებს რა ჩვენი ქცევის შესაბამობას ამ იდეასთან, რითაც ჩვენს ქედმაღლობას თრგუნავს, თვით უჩვეულებრივად ადამიანური გონებისთვისაც ბუნებრივი

და ადვილად დასანახია. განა ყოველ, თუნდაც საშუალო პატიოსნების მქონე, ადამიანს ხელი არ აუღია თუნდაც უწყინარ სიცრუეზე, რომლის წყალობითაც იგი თავს დაიძვრებდა უსიამოვნო საქმიდან, ან, სულაც, სარგებლობას მოუტანდა საყვარელ და ღირსეულ მეგობარს? ხელი აუღია მარტოოდენ იმისათვის, რომ საკუთარი თავი არ შეზიზღებოდა. განა უდიდესი ვაჭირების ჟამს, რომელსაც თავს დააღწევდა, თუკი მოვალეობას ზურგს შეაქცევდა, მართალსა და პატიოსან ადამიანს არ ამხნევეს იმის შეგნება, რომ მან თავისი სახით ღირსება შეუნარჩუნა და პატივი სცა ადამიანობას, რის გამოც საფუძველი არა აქვს თავისი თავის წინაშე შერცხვეს და თვითგამომცდელ მზერას თვალი აარიდოს? ასეთი ნუგეში არც ბედნიერებაა და არც ბედნიერების უმცირესი ნაწილი, რადგან არავინ ისურვებს ასეთი რამ დაემართოს, ან ასეთ დღეში ჩავარდეს. მაგრამ კიცი ცხოვრობს და ვერ აუტანია, რომ საკუთარ თვალში სიცოცხლის უღირსი გამოდგეს. ამ ნუგეშით მოპოვებული სულიერი სიმშვიდე, მაშასადამე, მხოლოდ ნეგატიურია ყოველივე იმასთან მიმართებაში, რასაც ძალუძს სიცოცხლე სასიამოვნო გახადოს. მაგრამ სწორედ ეს ნუგეში გვიფარავს პირადი ღირსების დაკარგვის საფრთხისაგან მას შემდეგ, რაც სავსებით დავთმეთ ყოველივე ის, რაც ჩვენთვის სასარგებლოა. იგი პატივისცემის შედეგია იმისადმი, რაც სიცოცხლისაგან უკიდურესად განსხვავდება და რასთან შეჭერება-დაპირისპირებითაც ამქვეყნიური სიამენი სრულიად კარგავენ თავიანთ ღირებულებას. ამ ვითარებაში ვცხოვრობთ მხოლოდ მოვალეობის გულისათვის და არა იმიტომ, რომ ცხოვრებისაგან რაიმე სიამოვნებას მოველით.

ასეთია წმინდა პრაქტიკული გონების ნამდვილი მამოძრავებელი ზამბარა. იგი სხვა არაფერია, თუ არ თვით წმინდა მორალური კანონი, რომელიც გვაგრძნობინებს საკუთარი ზეგრძნობადი არსებობის სიდიადეს და, სუბიექტურად, ჩავვაგონებს პატივისცემას მაღალი დანიშნულებისადმი ადამიანში, რომელმაც, ამავე დროს, იცის თავისი გრძნობადი არსებობა და შესაბამისი დამოკიდებულებაც თავის ბუნებაზე, ძლიერ პათოლოგიურ ზემოქმედებას რომ განიცდის. მაგრამ ხსენებულ ზამბარას ცხოვრების იმდენი სიამე და მომხიბლობა ერწყმის, რომ მარტო ამის გულისათვის, თვით ჰეკვიანი და ცხოვრების უდიდეს სიკეთეზე ჩაფიქრებული ე პ ი კ უ რ ე ლ ი ს ყველაზე ბრძნული არჩევანიც ზნეკეთილ საქციელს მიემხრობოდა; და სასურველიც კია, განცხრომით ცხოვრების ამგვარი პერსპექტივა შეგვეერთებინა ხსენებულ უმაღლესსა და თავისთავადვე საკმარისად განმსაზღვრელ მამოძრავებელ მიზეზთან, ოღონდ—მხოლოდ იმისათვის, რომ ვაგვეწინასწორებინა ცთუნებები, საითკენაც გვიტყუებს მოპირდაპირე მხარეს ჩასაფრებული ცოდვა, და არა იმისათვის, რომ მათში, როდესაც საქმე მოვალეობას ეხება, თუნდაც სულ მცირე ზომით, დაგვენახა მამოძრავებელი ძალა, რადგან ეს იქნებოდა მორალური ზრახვის წაბილწვა მისსავე სათავეში. მოვალეობის მაღალ ღირსებას არაფერი აქვს საერთო სიცოცხლით ტკბობასთან; მას მოეპოვება საკუთარი კანონი, აგრეთვე, საკუთარი სამსჯავრო, და რაგინდ მაგრად არ უნდა შეაზავონ და შეანჯღრიონ ისინი, რათა სწეულ სულს წამლად დაადონ, ისინი მაინც მყისვე გაიმიჯნებიან; წინააღმდეგ შემთხვევაში, მოვალეობისეული კანონი ძალას დაკარგავს და თუ ფიზიკური არსებობა ამის მეოხებით რღავანობად მაინც მომაგრდება, მორალურ არსებობას უკვალოდ ვაჭრობა მოეღოს.

გერმანულიდან თარგმნა  
ლამარა რამიშვილი

88

89

ანზორ კაციტაძე

ქართველ ფილოსოფოსთა რიგებს კიდევ ერთი პიროვნება გამოაკლდა — გარდაიცვალა ანზორ კირილეს ძე კაციტაძე.

ანზორ კაციტაძემ (დაიბადა 1932 წ.) 1957 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი და მაშინვე შეუდგა შრომით საქმიანობას — მუშაობდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის გამომცემლობაში ტექნიკურ რედაქტორად, რედაქტორად გამომცემლობა „განათლებაში“. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მისი მუშაობა საქ. მეცნიერებათა აკადემიის ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სამეცნიერო რედაქციაში ფილოსოფიის განყოფილების უფროს სამეცნიერო რედაქტორად. 1966 წლიდან იგი სკკპ წევრია.

მთელი სისრულით გამოვლინდა მისი შესაძლებლობები 1968 წლიდან, როდესაც მან მუშაობა დაიწყო საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში. იგი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო ჩვენში, ვინც სერიოზულად მოკიდა ხელი ლევ ტოლსტოის რელიგიურ და ესთეტიკურ შეხედულებათა ანალიზსა და კრიტიკას. ამის შედეგი იყო სწორედ მის მიერ წარმატებით დაცული საკანდიდატო დისერტაცია 1973 წ. აგრეთვე სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული საყურადღებო წერილები და სტატიები — „ლევ ტოლსტოის ესთეტიკური შეხედულებები“, „ჰუმანიზმის პრინციპი ლევ ტოლსტოის ესთეტიკაში“, „კრიტიკული რეალიზმი და მშვენიერების პრობლემა“, „ესთეტიკური აღზრდა და ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის იდეალი“, „ვ. ი. ლენინი ლევ ტოლსტოის შესახებ“ და სხვა. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე ყოფნის წლებში მან ბევრი საინტერესო გამოკვლევა მიუძღვნა ევროპული რომანტიზმის ესთეტიკური მრწამსის ანალიზს. სადაც კი ანზორ კაციტაძეს უმუშავია, ყველგან გამოირჩეოდა პიროვნულ ღირსებათა სიუხვით: საქმის ერთგულებითა და პასუხისმგებლობით, სიკეთითა და კეთილშობილებით, პრინციპულობით და იმ იშვიათი შემწყყნარებლობით სხვა ადამიანთა მიმართ, რომელიც მხოლოდ ცხოვრების მკაცრი სკოლის გავლით მიღებულ სიბრძნეს მოაქვს. პირადი ქცევით იგი ლაღად და ძალდაუტანებლად ანუღავნებდა ადამიანურ ურთიერთობაში ვაჟკაცური თანადგომის, მეგობრობისა და სიყვარულის შესაშურ უნარს.

.... ამიტომ განვიცდით ასე მტკივნეულად მის დაკარგვას მეგობრები და ფართო ფილოსოფიური საზოგადოება.

ანზორ კაციტაძის ხსოვნას დიდხანს სათუთად შეინახავენ კოლეგები და მეგობრები, ხოლო მის ნამოღვაწარს ჩვენთან ლევ ტოლსტოის ფილოსოფიით დაინტერესებული ვერც ერთი მკვლევარი მომავალში გვერდს ვერ აუვლის.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტი, საქართველოს ფილოსოფიური საზოგადოება

ოთარ ბაკურაძე

გარდაიცვალა სკკპ წევრი 1948 წლიდან, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ოთარ მიხეილის ძე ბაკურაძე.

დაიბადა 1926 წ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ფილოსოფიის ინსტიტუტში, დაამთავრა ასპირანტურა, დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. მის კალამს ეკუთვნის ასამდე ნაშრომი, მათ შორის 10 მონოგრაფია. ზოგი მათგანი თარგმნილია რუსულ, ჩინურ, ფრანგულ, ინგლისურ ენებზე. განსვენებული სხვადასხვა დროს მუშაობდა ბათუმის, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტების რექტორად, ბოლო პერიოდში კი ვანაგებდა კონსერვატორიის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრას. არჩეული იყო პარტიის აჭარის საოლქო და ქუთაისის საქალაქო კომიტეტების წევრად, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, მიღებული ჰქონდა სახელმწიფო ჯილდოები.

ო. ბაკურაძის შეგნებული ცხოვრება სამშობლოს, მეცნიერების ერთგული სამსახურის მაგალითია.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო, ბათუმისა და ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტები, ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია.

**ვალერიან კილაძე**

ქართველმა ფილოსოფოსებმა დიდი დანაკლისი განიცადეს. მოულოდნელად გარდაიცვალა პარტიის წევრი 1941 წლიდან, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ვალერიან სოლომონის ძე კილაძე, რომელიც 50 წლის მანძილზე გულმოდგინედ და უანგაროდ ემსახურებოდა ჩვენი ქვეყნის უმაღლესი განათლების საქმეს.

ვ. ს. კილაძე დაიბადა 1913 წ. წარჩინებით დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკულტეტის ფილოსოფიის განყოფილება და ასპირანტურა. 1941 წ. მიენიჭა ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. სხვადასხვა დროს მუშაობდა პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტში, ქუთაისისა და სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტებში, 1947 წლიდან — თსუ ფილოსოფიის ისტორიის კათედრაზე. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და 1968 წლიდან პროფესორია. იყო თსუ ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტის დეკანი. იგი მრავალი სამეცნიერო შრომის ავტორია. მკითხველთა მოწონება დაიმსახურა მისმა ნარკვევებმა არაბული და რუსული ფილოსოფიური აზრის ისტორიიდან.

პროფ. ვ. ს. კილაძე იყო დიდად განათლებული ლექტორი, გულისხმიერი და კეთილმოსურნე აღმზრდელი, ერთგული მეგობარი. მისი ხსოვნა დიდხანს დარჩება აღზრდილების, მეგობრების და თანამშრომლების გულში.

**საქ. სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ფილოსოფიური საზოგადოება, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.**

## ავტორთა საყურადღებოდ

ჟურნალში გამოთქევენებული მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს ორ ცალად, ქართულ ან რუსულ ენაზე. ქართულ ტექსტს უნდა ახლდეს რუსული რეზიუმე არა უმეტეს მანქანაზე დაბეჭდილი ერთი გვერდისა. წერილის მოცულობა, რეზიუმეს ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს ერთ საავტორო თაბახს (40 ათასი ასო ნიშანი); დაბეჭდილი უნდა იყოს სტანდარტის დაცვით.

წერილში გამოყენებული ნაშრომების სია დაერთოს ბოლოს, ტექსტში კი მიეთითოს რიგითი ნომერი კუთხოვან ფრჩხილებში. ავტორისეული შენიშვნები მიეთითება გვერდების მიხედვით.

სარედაქციო კოლეგია ნაშრომებს შიილებს მეცნიერებათა აკადემიის შესაბამისი დაწესებულებების ან ამ დარგის აკადემიის ნამდვილი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების წარდგინებით.

ჩვენი მისამართია: 380008, თბილისი 8, რუსთაველის 29,  
საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის

ფილოსოფიის ინსტიტუტი  
(ჟურნალ „მაცნესათვის“)

სარედაქციო კოლეგია

6118/191



ფასი 85 კპ.

ინდექსი 76195